პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი
მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—46.

დღიური

ბულგარეთში კვლავ დაიწყო პარტიზანული გამოსვლები.
— გადადგა ავსტრიის მთავრობა.
— ფრანგ მწერლების დელეგაციამ დემონსტრატიულად დასტოვა ვარშავა.
— კონკონგში (ჩინეთი) მივიდა ინგლისის ნაღმოსნების ჯგუფი.
— განზრახულია საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ტრესტის დაარსება.
— ერიომ საბოლოოდ განაცხადა უარი რადიკალური პარტიის თავმჯდომარეობაზე.
— 13 ოქტომბერს ჰამბურგში (გერმანია) გაიხსნა საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის სესია.

კვირა, 17 ოქტომბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 237 (1782)

საქ. კომპ. ცეკას და ც. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი

პლენუმის მოწოდება

საქართველოს კომპარტიის ყველა ორგანიზაციებისა და წევრებისადმი

ამხანაგებო! ამ ბოლო ხანს ჩვენი პარტიის ბუნებრივი დამშვიდებული მუშაობა შეფერხებული იყო ე. წ. გაერთიანებული ოპოზიციის თავდასხმით. მოსკოვის და ლენინგრადის პარტიულ უჯრედების კრებებზე ოპოზიციის ლიდერების შეჭრა და ხელახალი დისკუსიის მოთხოვნა დამთავრება იყო იმ გაცხარებული ანტიპარტიული და ფარული მუშაობის, რასაც ეწეოდენ ოპოზიციის წარმომადგენლები მე-14 პარტყრილობის და განსაკუთრებით ც. კ. ივლისის პლენუმის შემდეგ. კონსპირატიული პარტიული მასალების ბეჭდვა - გამრავლების, მათი გავრცელების და ყველა უკმაყოფილო ელემენტების თავმოყრის შემდეგ ოპოზიცია გადავიდა შეტევაზე და შეეცადა პარტიის რიგების შერყევას და თავისი საპროგრამო ხაზით პარტიის ხაზის შეცვლას. დღეს უკვე გამორკვეულია ოპოზიციის გაუგონარი ანტიპარტიული გამოსვლის უსასტიკესი დამარცხება მოსკოვ - ლენინგრადის პროლეტარ - კომუნისტების მიერ: პარტიულ ორგანიზაციამ შეახვედრა ალვირაგდებულ დეზორგანიზატორებს მტკიცე, ლენინიზმით ჩაქვითკირებული ერთობა ბოლშევიკურ პარტიის და იდეურ - პოლიტიკური სიმწიფე. წვრილ - ბურჟუაზიულ მერყეობა ქანაობის გმირები, უსაზღვრო დემაგოგები და გაუსწორებელი ფრაქციონერები უკუგდებულ იქნენ დამარცხებულნი, ნიღაბახდილნი.

ტროცკი - ზინოვიევის გამოსვლა სიგნალი იყო საქართველოს კომპარტიის შინაპარტიულ ოპოზიციის ფარულ ანტიპარტიულ მუშაობიდან აშკარა შეტევაზე გადასვლისათვის.

ვინ მოგვევლინა ჩვენ ოპოზიციონერებათ? ძველი ნაცნობები, ის იდეურათ და პოლიტიკურათ გაკოტრებული უკლონისტები, რომლებიც მსგავსად ამ უწინდელი ფრაქციის დიდი უმრავლესობისა არ დაუბრუნდა თავის პარტიას, არამედ განაგრძობს ჯიუტობას და გაუსწორებელ შეურიგებლობას პარტიისადმი, რომელმაც არ მიიკარა მათი გადახრა ბოლშევიკურ სწორი ხაზიდან. აი ეს ჯიუტი კოტრები ბოლშევიზმისა, უმეტეს წილად ყოველდღიურ დადებით მუშაობაზე მეტის-მეტად მწყრალნი, დღეს ევლინებიან შავ მუშაობაში ჩაფლულ პარტიას სავსებით უპასუხისმგებლო დემაგოგების და გახელებულ ავანტიურისტების სამოსელში და ასეთ ბრალდებებს ისვრიან პარტიისაკენ:პროლეტარულ კალაპოტს გადასცდით, სოციალიზმს კი არა, ბურჟუაზიულ წესწყობილებას ამაგრებთ, ინდუსტრიალიზაცია სავსებით უკუაგდეთ, გლეხობას არ აღებთ დიდ გადასახადებს ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ნაბიჯით ჩასატარებლად, მუშებს ცოტა ხელფასი ეძლევათ, პარტია დამპალია, შინაპარტიული დემოკრატიის მაგიერ ხალასი ბიუროკრატიზმია მასში გამეფებული და სხვ., აი რა ნიღაბს ეფარებიან დღეს ისინი, ვინც გუშინ უკიდურეს მემარჯვენეობის ჭაობში იყო ჩაფლული. ჩვენი გაერთიანებული პლენუმი დღეს აღნიშნავს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია გარდუვალ და შეუნგრეველ კედლად აღუდგა გზაზე დეზორგანიზატორებს და სამარცხვინოთ გარიყა ისინი. თბილისის ორგანიზაცია, რომლის დიდი, თუმც სავსებით უსაფუძვლო, იმედები ჰქონდა ჩვენებურ ფერნაცვალ ოპოზიციას, მიუვალი შეიქნა მათთვის: ძველ „ნაცნობებს" თბილისის კომუნარები შეხვდენ შესაფერისად. მხილება, ნიღაბის ჩამოგლეჯა და ზიზღი—აი რა მიიღო პასუხად ოპოზიციამ თბილისის ყველა რაიონებში. ოპოზიციის ლიდერების ჯარს აქ არ შემატებია არც ერთი პროლეტარ-კომუნისტი; ოპოზიციას, პირიქით, ჩამოსცილდა მთელი ჯგუფი პარტიის წევრების, რომლებიც აქამდის „უკლონისტებად" ითვლებოდენ. თბილისის ორგანიზაციის წევრებიდან, რვა ათასზე მეტ ამხანაგებში, რომლებიც დაესწრენ ამ უკანასკნელ დროს უჯრედების ჯგუფურ კრებებს ოპოზიციაში აღმოჩნდა — ლიდერების ჩათვლით — მხოლოდ 27 პარტწევრი — მოხელეები და სტუდენტები. ასეთივე სურათი გადაიშალა მეორე მუშურ ცენტრში — ბათომში, სადაც პარტიულ ორგანიზაციამ ოპოზიციის საგასტროლოთ ჩასული ლიდერები სავსებით უჯაროთ დასტოვა. ასეთივე უნაყოფო დარჩა გამთიშველების ცდა სხვა ორგანიზაციებშიც: ძირს დემაგოგები, არ გვინდა უსარგებლო დისკუსია, ჩვენი მტკიცე ნება-სურვილია მე-14 პარტყრილობის და ც. კ. ივლისის პლენუმის დადგენილებათა ნიადაგზე მუშაობა — აი საერთო პასუხი მთელი პარტიის ოპოზიციონურ ლიდერების ამოძრავებაზე.

რისი მომასწავებელია ეს ერთსულოვნობა პარტიული მასსების?

პარტია გაიზარდა, ის მომწიფდა იდეურად, ის გრძნობს მთელს პასუხისმგებლობას საქართველოს მშრომელთა მდგომარეობის, მათი წინსვლა - განვითარების, საბოლოო ბრძოლა - გამარჯვების საკითხში. ვის შეუძლია დღეს ჩვენს პარტიას მოახვიოს თავზე ანტილენინური სახელმძღვანელო ხაზი, გადააცდინოს იმ სამეურნეო კალაპოტს, რომელმაც მოგვცა სახალხო მეურნეობის სრული აღდგენა და რომელმაც უზრუნველჰყო სოციალისტური ელემენტების თანდათანი მომეტებული ზრდა. პარტიას შეთვისებული, შესისხლხორცებული აქვს ძირითადი ლენინური დებულება, რომ საბჭოთა წყობილების დასაყრდენობი ნიადაგია მუშისა და გლეხის პოლიტიკურ - ეკონომიური ბლოკი და რომ მთელი ჩვენი მუშაობა და მშენებლობა სოციალიზმის შეფარდებული უნდა იყოს ამ ბლოკის შენარჩუნებასთან. ამიტომაც მას ვერ გაიტაცებს ავანტიურისტული გეგმა ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ჩატარებისა გლეხების ხარჯზე. პარტია გრძნობს თავის ზრდას იმ მხრითაც, რომ დღეს მასში იშლება შინაპარტიული დემოკრატია: მთელი რივი ხელმძღვანელ მუშაკებისა იკრიფება მასსებში და მასსასთან მჭიდრო კავშირში წინუძღვის საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობას; პარტიული მასსის აქტივობა, იზრდება, პარტია თვეობით ატარებს სისტემატიურ კამპანიას ძირითად ორგანიზაციებში პარტიულ ყრილობების და ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებათა შესწავლისა და გაშუქებისა. თვითეულ პარტიულ წევრს არა თუ უფლება აქვს, შესაძლებლობაც ეძლევა საქმიან მსჯელობაში თავისი განსაკუთრებული აზრი დაიცვას კრებაზე. მაგრამ პარტიამ იცის ისიც, რომ სასტიკი ფოლადისებური დისციპლინა არის ყოვლად აუცილებელი პირობა ლენინის პარტიის მთლიანობის და სიძლიერის, რომ შინაპარტიული დემოკრატია არ უნდა გახდეს ნიადაგათ პარტიაში ფრაქციების და ჯგუფების არსებობისა და მით პროლეტარიატის დიქტატურის შიგნიდან დასუსტებისა და გახრწნის. აი ამიტომ პარტიულმა მასსამ გასაქანი არ მისცა ოპოზიციის ლიდერებს, ყველა ცინცაძეებს, დუმბაძეებს, ოკუჯავას, კალანდაძეს, კიკნაძეს, ზალუცკის. პარტიამ ხელაღებით უარჰყო ფრაქციონერთა დემაგოგიური ფიცი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტია ან პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები არ ხედავენ ჩვენს მრავალს ნაკლს და სატკივარს როგორც სახელმწიფოებრივ მუშაობაში, ისე შინაპარტიულ მდგომარეობაში. შეუჩერებლივი იდეური ზრდა, უდიდესი აქტივობის მიღწევა პარტიის თვითეული წევრის მიერ, არ დაკმაყოფილება მიღწევით, თვითკრიტიკა — აი პარტიის ამოცანები დიდი ხნის განმავლობაში. მაგრამ ეს შესაძლებელი იყო და იქნება მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ მთლიანს, განუყოფელ და განუკვეთელ ბოლშევიკურ პარტიაში.

ოპოზიციამ იერიში მიიტანა პარტიის მთლიანობაზე და მით მოიგო გული მთელი თეთრი გვარდიის ბანაკის, საიდანაც დღეს ისმის ოპოზიციის ქება, როგორც კომუნისტური პარტიის სიმტკიცის დამრღვევი „პროგრესიული და რევოლიუციონური" ძალის.ობიექტიურად ოპოზიციამ დაიმსახურა ეს ქება და შეფასება. კომპარტიის მტრებს ჩვენ ჩავამწარებთ მათ უნიადაგო სიხარულს. მაგრამ პარტია მკაცრ პასუხს გასცემს ბოლშევიკური დისციპლინის უმგვანო დამრღვევთაც, მათ ანტიპარტიულ გათარეშებას, თუ ისინი გადაჭრით არ აღიარებენ თავის უდიდეს შეცდომას, ხელაღებით არ უარყოფენ ფრაქციონერებას და მავნებელ დისკუსიურ ლაყბობის მაგიერ არ ჩაებმებიან პარტიასთან ერთად და მის ხელმძღვანელობით ყოველდღიურ მუშაობაში. შეერთებულმა პლენუმმა უკვე მიიღო შესაფერი ზომები გაუსწორებელ, სავსებით გადაგვარებულ, პარტიისათვის ზედმეტ, წვრილ ბურჟუაზიულ ბარგათ ქცეულ პარტიის წევრების მიმართ. ც. კ. და ც. საკ. კომისია დაუზოგველად მოიმარჯვებს პარტიის წესდებას ყველა მის წინააღმდეგ, წარსულში დამსახურების მიუხედავათ, ვინც პარტიის წინააღმდეგ ამოღებულ იარაღს შორს და სამუდამოთ არ გადისვრის.

ჩვენ გვწადია მუშაობა - მშენებლობა. ჩვენ გვწადია მუშა-გლეხ შორის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის შენარჩუნება - განმტკიცება. ჩვენ გვწადია შინაპარტიული ერთობა - სიმტკიცის გაალმასება, იდეური ზრდა ლენინიზმის დროშის ქვეშ. პარტყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

და ამიტომ ჩვენ პარტიასთან ერთად გავიძახით:

ძირს გაკოტრებული ოპოზიცია!

შორს შემოქმედ პარტიისაგან უსარგებლო, მავნე დისკუსია!

საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისია.

პირველი სხდომა

გუშინ დილით, სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და ც. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად. პლენუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის უხუცესმა წევრმა ამხ. მიხა ცხაკაიამ. მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1) შინაპარტიული მდგომარეობა და 2) დელეგატების არჩევა მე-15 საკავშირო პარტკონფერენციისათვის.

საქართველოს ორგანიზაციის შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი ამხ. ლ. ქართველიშვილი.

ამხ. ლ. ქართველიშვილის მოხსენება

შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმს სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად—ამბობს ამხ. ქართველიშვილი — მოუხდება გაარჩიოს საკითხი ჩვენი ორგანიზაციების შინაური მდგომარეობის შესახებ.

ეს საკითხი მეტად სერიოზულია იმიტომ, რომ პარტია ხელისუფლებას უდგას სათავეში პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში. ამხ. ლენინი არა ერთხელ გვასწავლიდა, რომ ასეთი პარტიისათვის აუცილებელია მტკიცე, აბსოლიუტური, რკინისებური დისციპლინა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შესძლებს პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელობას და დაიწყება მისი დაშლა. ამასვე ამბობდა ამხ. ზინოვიევიც მე-13 ყრილობაზე, ხოლო მე-14 ყრილობის შემდეგ მან დაივიწყა ეს. მეტად დამახასიათებელია, რომ საბჭ. ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მტრები სიხარულს ეძლევიან: ოპოზიცია მათ სასარგებლოთ მუშაობს, ვინაიდან იგი არყევს პროლეტარიატის დიქტატურას.

მომხსენებელი ეხება შინაპარტიული უთანხმოების ისტორიას მე-14 ყრილობიდან დაწყებული და აღნიშნავს, რომ უთანხმოებას ადგილი ქონდა ყრილობის ძირითადი საკითხების გარშემო, როგორიცაა: სახელმწიფო მრეწველობის ხასიათი, გლეხობის საკითხი, კოოპერაცია, ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ყრილობამ გარკვეული გარდაწყვეტილებანი გამოიტანა ამ საკითხების შესახებ და ყველა ის, ვინც საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავდა, უნდა დამორჩილებოდა უმრავლესობის დადგენილებას. პარტიის ყოველი წევრისათვის ამ საანბანო ჭეშმარიტებას არა ერთხელ აგონებდა ამხ. ზინოვიევი ამხ. ტროცკის, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი მას, რომ ყრილობის გათავების მეორე დღესვე განეახლებინა ფრაქციული მუშაობა.

ჯგუფების შექმნა, უპირველეს ყოვლისა გამოიხატა იმაში, რომ კავშირი შეჰკრეს კამენევმა, შლიაპნიკოვმა, მედვედევმა, ტროცკიმ და ოსოვსკიმ. მაგრამ ზინოვიევს ეს ბლოკი ტროცკისთან მეტად ძვირად დაუჯდა—მან ამ ბლოკის გულისათვის აღიარა მისი „ახალი კურსი", რომლის წინააღმდეგაც ასე სასტიკად იბრძოდენ ცოტა ადრე ზინოვიევი და კამენევი.

ამხ. ქართველიშვილი ხაზს უსვამს, რომ ძირითადი მიზანი, რომლის მიღწევასაც ისახავს ოპოზიცია, არის სახელის გატეხა უმაღლესი პარტიული ორგანოებისათვის. აქედან—გამძაფრებული შეტევა პარტიული აპარატის წინააღმდეგ, რომ ამ გზით მოამზადონ მასა დისკუსიის დასაწყებად. მაგრამ ზინოვიევ-ტროცკისტული ბლოკი ანგარიშში მოსტყუვდა, ვინაიდან პარტიამ უპასუხა, რომ არ არსებობს პარტიული ხელმძღვანელობა იმ უმაღლეს ორგანოების ხელმძღვანელობის გარეშე, რომლებსაც იგი თვითონ ირჩევს.

ამგვარად, რამოდენიმე თვე მე-14 ყრილობის შემდეგ ოპოზიციამ მოანდომა საორგანიზაციო მუშაობას. იგი აწარმოებდა ფართო კამპანიას, ავრცელებდა პარტიის საიდუმლო დოკუმენტებს, იჩენდა ინსტრუქტორებს და სხვ. ოქტომბერში კი ოპოზიცია პირველად გავიდა მასაში, სადაც მან სრული მარცხი განიცადა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საქართველოს პარტორგანიზაციების მდგომარეობას და აღნიშნა, რომ აქ, პარტიის მე-2 და მე-3 ყრილობაზე განხილულ იქნა ის სადავო საკითხები, რომლებსაც აყენებდენ ეგრედ წოდებული ქართველი „უკლონისტები". (ძირითადი საკითხი: საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლად, და არა ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუალებით შესვლა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში).

მაგრამ ქართული ოპოზიციის საუკეთესო ნაწილი მალე დაუბრუნდა ერთადერთ სწორ, ლენინურ გზას და მან კვლავ დაიწყო სინდისიერი, ერთგული მუშაობა პარტიასთან ერთად. დარჩენ მხოლოდ, ამხ. ფ. მახარაძის მოსწრებული გამოთქმით „თითო-ოროლა ჯიუტები", რომელნიც მაინც ებღაუჭებოდენ პარტიის მიერ დაგმობილ გადახრას. „უკლონისტების" დარჩენილმა ჯგუფმა პატარა გათარეშება მოახდინა პარტიის მე-4 ყრილობაზე (ხმის მიცემა იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც იწონებდა ცეკას მოქმედებას და ამ.-კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შექმნის საკითხი).

საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობის შემდეგ ეს ქართული ჯგუფი საბოლოოდ დადგა ოპოზიციონური ბლოკის დროშის ქვეშ. ვისგან შესდგება ეს ჯგუფი? ესენი არიან კოტე ცინცაძე, მიხ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე, ს. ქავთარაძე, ბ. კალანდაძე, ნიკო კიკნაძე (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ყოფ. მუშაკი) და სხ., რომლებსაც შეუერთდა „თვით" პ. ზალუცკი. ამათგან ზოგიერთი შედიოდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკაში.

მომხსენებელი იძლევა ამ ფრაქციონერების მოკლე დახასიათებას: კოტე ცინცაძე—ეს მუდმივი ოპოზიციონერია, რომელიც 2 წელი იმყოფებოდა საზღვარ-გარედ სამკურნალოდ და სასწრაფოდ ჩამოვიდა აქ, უეჭველია, თავისი ოპოზიციონური ცენტრის დირექტივებით.

პ. ზალუცკი, რომელიც ოპოზიციაში იყო მე-14 ყრილობაზედაც.

მიხ. ოკუჯავა—ოპოზიციის ტიპიური წარმომადგენელია თავისი მუდმივი მერყეობით: მეთოთხმეტე პარტყრილობა-

იგი ხმას აძლევს ბოლშევიზმის ხაზს. ყრილობის შემდეგ საქართველოში ჩამოსვლისას აკეთებს მოხსენებათა მთელ რიგ ყრილობის შედეგების შესახებ, ერთსულოვნად მუშაობს საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში —პრეზიდიუმში და ცეკას სამდივნოში; შემდეგ კი იგი იწყებს მერყეობას და აი, დღეს მ. ოკუჯავა ოპოზიციის იდეური „ბელადია", მისი ნამდვილი „თეორეტიკოსი".

ბენო კალანდაძე, ცეკას კანდიდატია. სამეურნეო მუშაკი. ჯერ კიდევ საბჭოების გადარჩევის კამპანიის დროს არ იჩენდა არავითარ უთანხმოებას ცეკას ხაზთან არავითარ სხვა საკითხში გარდა ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს საკითხისა, ის არ გამოდიოდა ცეკას კრიტიკით.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ოპოზიცია ორგანიზაციულად დარაზმულია: მას ყავს თავისი ცეკა, პროპაგანდისტთა ჯგუფი, რწმუნებულები მაზრებში, თავისი ინსტრუქტორები.

ისინი ავრცელებდენ პარტიის მიერ აკრძალულ საიდუმლო დოკუმენტებს და ოპოზიციისათვის სასარგებლო ამონაწერებს უცხოეთის გაზეთებიდან. ამ მასალებს ის ბეჭდავდა სტეკლოგრაფზე და ავრცელებდა მათ სადაც კი ხელი მიუწვდებოდა.

იყო აგრეთვე ადგილობრივი „ლიტერატურაც", მათ შორის ყველაზე უფრო დამახასიათებელია შეკითხვათა კრებული, რომელიც 60-ზე მეტ კითხვას შეიცავს. ამ კითხვებს ოპოზიცია იძლეოდა თავის აგენტების საშუალებით კომუჯრედების ჯგუფურ კრებებზე, სადაც ირჩეოდა საკითხი პარტიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ. ამ კითხვებს ეჭვს გარეშე ადგენდა ოპოზიციის ხელმძღვანელი ცენტრი. ამ კითხვებს ისინი აყენებდენ საქართველოს კომპარტიის სხვა ორგანიზაციების კრებებზეც. ეს შეკითხვები მეტად განსაცვიფრებელი იყვენ თავისი თეთრგვარდიულ - მენშევიკური ხასიათით.

სწარმოებდა პროპაგანდაც. მცირერიცხოვან ჯგუფებში კითხულობდენ მოხსენებებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გადაგვარების და ამის საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდების შესახებ.

სწარმოებდა ინდივიდუალური აგიტაციაც ბინებზე და გარეთ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ოპოზიციონერებმა თავისი გამოსვლებით გვიჩვენეს, რომ მათ სრულიად არ აქვთ შინაგანი კავშირი მასასთან და საბოლოოდ გაირიყენ მისგან. ასე იყო მოსკოვში და ლენინგრადში, ამასვე ქონდა ადგილი თბილისშიაც. სწორედ ლენინგრადის ორგანიზაციამ, რომლის წარმომადგენელიც იყო ზინოვიევი მე-14 ყრილობაზე, სასტიკი პასუხი გასცა მას უკანასკნელი, ოქტომბრის გამოსვლების დროს. საქართველოს ფრაქციონერებმაც, მიუხედავად თავიანთი ენერგიული ორგანიზაციული მუშაობისა, შესძლეს მხოლოდ ცალკე პირების გადაბირება. ამგვარად, ოპოზიციის მიერ შეთხზული აზრები იმის შესახებ, რომ პარტია „ავადმყოფია", რომ პარტიაში გაბატონებულია შევიწროება და სხვ., თვით ცხოვრებამ გააცამტვერა სავსებით: ავადმყოფია არა პარტია,—გაათავა მომხსენებელმა—არამედ ზოგი მისი წევრი—ეს სთქვა პარტიულმა მასამ, როცა მან სასტიკი პასუხი გასცა ოპოზიციონურ გამოსვლებს, და გადაჭრით მოითხოვა ბოლო მოღებოდა დისკუსიას, ლაგამი ამოსდებოდა თავაშვებულ ოპოზიციონერებს. თბილისში პარტუჯრედების ჯგუფურ კრებებზე დაესწრო 8.100 კაცი პარტწევრების მთელი რიცხვიდან და მხოლოდ ოცდაშვიდმა მისცა ხმა ოპოზიციას. მან დაამტკიცა, რომ არა ის არის დაავადმყოფებული, არამედ დასნეულებულია თვით ოპოზიციის ბელადები. ამ ამხანაგებს ჩვენ არ მივსცემთ ნებას დაშალონ ჩვენი პარტია. საკონტროლო კომისია იქნება თავისი დანიშნულების სიმაღლეზე და საკადრის მიუზღავს ოპოზიციონერებს.

რაც არ უნდა სთქვან პანიკის მთესავებმა, ჩვენი პარტია არის ერთიანი და ძლიერი. მან საკადრისი პასუხი გასცა პანიკიორებს და თუ ისინი ისწავლიან ჭკუას—მოვლენ პარტიასთან და თუ არ მოვლენ მასთან სამუშაოთ, მაშინ მათ სხვა არა დარჩენიათ, რომ მოგვცილდენ თვითონ. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. შამშე ლეჟავას მოხსენება

თავის სიტყვის დასაწყისში ორატორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ოპოზიციას სრული უპრინციპობა ახასიათებს. ოპოზიცია, განაცხადა ორატორმა, არ ემორჩილება ჩვენი წესების ელემენტარულ მოთხოვნილებებს, არღვევს პარტიულ დისციპლინას და ამრიგად საფრთხეს უმზადებს პარტიის მთლიანობასა და სიმტკიცის საქმეს. ჩვენს ბოლშევიკურ პარტიაში ასეთი მეთაურთაგანი, ზინოვიევი, თავის დროზე ამბობდა, რომ ბოლშევიკური პარტია, ფოლადისებური დისციპლინით არის აღჭურვილი. დისციპლინა,—ამბობდა ის, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ პარტიის ან ცეკას დადგენილებებს დაემორჩილო მაშინ, როდესაც შენ მათ თვითონ ეთანხმები, არამედ დისციპლინა მდგომარეობს იმაში, რომ დაემორჩილო მათ მაშინ, როდესაც შენ ამ დადგენილებებს არ ეთანხმები. კარგი იქნებოდა, რომ ოპოზიციის მესვეურებს არც ეხლა დავიწყებოდათ ეს ჭეშმარიტება და თავის ფრაქციული მუშაობით არ დაერღვიათ ლენინის პარტიის დისციპლინა.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ, ამხანაგებო, მოგვიხდა არა სასიამოვნო და მძიმე მოვალეობის ასრულება. სასიამოვნო როდია ის მოვლენა, როდესაც ჩვენ იძულებული ვხდებით პარტიიდან გავრიცხოთ გუშინდელი ჩვენი ამხანაგები, რომლებიც გუშინ ჩვენს რიგებში იყვენ; მაგრამ ჩვენ იძულებული შევიქენით მოვქცეულიყავით ასე, რადგან ოპოზიციონერებმა დაარღვიეს პარტიის წესდება და ისინი გადასცილდენ ყოველგვარ წრესა და საზღვარს. საკონტროლო კომისიამ გამოარკვია, რომ საქართველოში დაარსებულია ოპოზიციონური ცენტრი, რომელსაც ჰყავს, როგორც იდეური ხელმძღვანელები, ისე ტეხნიკური აპარატიც. მით დაგზავნილი ჰყავთ წარმომადგენლები, როგორც თბილისის რაიონებში, ისე პროვინციაშიც. საკონტროლო კომისიის ხელში არსებული მასალებით მტკიცდება ეს. ზოგიერთი ამხანაგები უკვე ჩაუვარდენ ხელში საკონტროლო კომისიას: პირველი მათგანი იყო ვანო ცინცაძე. ის გაემგზავრა ხაშურში კავშირის გასაბმელად, მას ჰქონდა საიდუმლო დოკუმენტები. ოპოზიციის იდეური ხელმძღვანელები არიან კოტე ცინცაძე, მიშა ოკუჯავა, და პეტრე ზალუცკი. ჩვენ გავიგეთ, რომ საიდუმლო დოკუმენტებს ავრცელებდა კოტე ცინცაძე. რაიონებში მათ ჰყავდათ ჩიკაშვილი, ჯავახოვი, ჭკუასელი და სხვები. ოპოზიციონერები შეეცადენ კავშირი გაებათ სამხედრო პარტორგანიზაციებთანაც. გაიჩინეს საბეჭდავი საშუალებებიც (სტეკლოგრაფი) და ფრიად კონსპირატიულ მუშაობასაც აწარმოებდენ, მაგრამ ჩვენს პარტიას არაფერი დაემალება და ყველაფერი ეს ძალიან ადრე გამოაშკარავდა. გამოირკვა, რომ ოპოზიციონერები სცდილობდენ ფრაქციების ჩამოყალიბებას პროვინციაში; თელავში მათ მაგალითად აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში მოაწყვეს არალეგალური კრება, რომელსაც მეთაურობდა ბულდიაშვილი.

საკონტროლო კომისიას ჰქონდა მსჯელობა და პარტიიდან გარიცხა ვანო ცინცაძე, ვართან პეტროსიანი, ვიქტორ ცინცაძე, კალენიკე იაშვილი, კოტე ჯავახოვი, ჭკუასელი, ქსენია ცინცაძე გრ. ხუნდაძე, ბულდიაშვილი და სხვები. სულ 14 კაცი.

ზოგიერთ ამხანაგების მიმართ, რომლებმაც გულწრფელად აღიარეს თავიანთი შეცდომა პარტიის წინაშე, საკონტროლო კომისია სასტიკი საყვედურის გამოცხადებით დაკმაყოფილდა.

მთელი რიგი ამხანაგების საქმე ირჩევა საკონტროლო კომისიაში და ყველამ უნდა იცოდეს, რომ პარტია თავის რიგებში არ დაუშვებს ფრაქციებს და სასტიკად შეებრძოლება იმათ, ვინც ცდილობს დაარღვიოს ლენინის პარტიის მთლიანობა და სიმტკიცე.

კამათი

მოხსენების მოსმენის შემდეგ, სანამ კამათი გაიხსნებოდა სიტყვა რიგ გარეშე განცხადებისათვის აიღო ამხ. კახიანმა, რომელმაც გამოაქვეყნა პლენუმის სახელზე ქუთაისიდან მიღებული დეპეშა და რეზოლიუცია, რომელიც გამოტანილ იქნა ქუთაისის სამხედრო და სამოქალაქო პარტორგანიზაციების გაერთიანებულ კრებაზე:

„15 ოქტომბერს შემდგარი ქუთაისის ქალაქის კომუჯრედების გაერთიანებული კრება სამხედრო ორგანიზაციასთან ერთად მხურვალე სალამს უძღვნის ცეკასა და ც. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმს. კრება გრძნობს იმას, რომ თქვენ გიხდებათ განსაკუთრებულ მომენტში განსაკუთრებული ზომების მიღება პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლად. ფრაქციები, ჯგუფები დღევანდელი ოპოზიციონური ბლოკის სახით ჩვენს პარტიაში—ეს დაავადებული და დაჩირქებული ადგილია ჩვენი პარტიის სხეულზე. თქვენ მოწოდებული ხართ დღეს, როგორც გამოცდილი დოსტაქარი, ლენინიზმის იარაღით ხელში მოჰკვეთოთ პარტიის სხეულიდან მავნე წუწუკები. ამას მოითხოვს პარტიის მთლიანობის ინტერესი, ამას მოითხოვს ოქტომბრის რევოლიუციის ინტერესი, ამას მოითხოვს მსოფლიო რევოლიუციის ინტერესი. პარტიის მთლიანობისათვის და ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩვენ თქვენთან ვართ მთლიანად, როგორც ერთი კაცი, გახსოვდეთ ლენინის მიერ მეათე ყრილობაზე შეტანილი და მიღებული რეზოლიუცია. აიძულეთ ოპოზიციის ლიდერები დაშალონ ყოველგვარი ჯგუფები, ფრაქციები და შესწყვიტონ ოპოზიციონური მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოჰკვეთეთ ისინი პარტიას, გააძევეთ პარტიიდან დაუყოვნებლივ.

ძირს თავხედი ოპოზიციონერები, გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას.

კომუნისტური ლენინური სალამით ქ. ქუთაისის სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციები. ამ მომართვას ხმას აძლევს ხუთასი კაცი, ორი წინააღმდეგია.

კრების თავმჯდომარე ა. ურუშაძე".

ამხ. ქავთარაძე

(ლენინის რაიონი)

ამხანაგებო, პროვინციიდან ჩამოსულ ამხანაგებს გაინტერესებთ ალბად, რა მუშაობას ეწეოდენ და როგორი მეთოდებით მუშაობდენ ფრაქციონერები ისეთ მუშათა რაიონში, როგორიც ლენინის უბანი არის. უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიცია იმთავითვე შეტევაზე გადავიდა. პირველ ხანებში რაიკომის ერთ-ერთი წევრის ინიციატივით შეეცადენ პირველი რაიკომის მდივნად წამოეყენებიათ ლ. დუმბაძის კანდიდატურა და შემდეგ მთელი რაიონი ჩაეგდოთ ხელში. გარდა ამისა მათ ყველა უჯრედებში დაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები. ასე მაგ. ამწყობ ცეხში—გრიგოლია, სახარატო ცეხში—შენგელია, რონოდების ცეხში—იტრიევი. ჩამომსხმელში—აბრამიშვილი, დეპოში—ლელაშვილი, რკინის გზის მცველ რაზმში—ჯავახოვი, ამკრეფსა და ლიანდაგის სამსახურებში—კალანდარაშვილი, მჭედელთა საამქროში—კალანდარაშვილი, სამმართველოში ჭოლოკავა და სხ. ყველა ამათ პირველ რაიონში მთავარ ხელმძღვანელობას უწევდა გიორგი რთველაძე, რომელიც ძალიან ხშირად დადიოდა ყველა ცეხებში და ალბად შესაფერის დარიგებასაც აძლევდა მათ. გიორგი რთველაძემ მათ მისცა თავისი ტელეფონის ნომერი და თუ შეიძლება ასე ითქვას, შიფრიც კი გაიჩინა. ასე მაგალითად. მან დაარიგა თავისი კაცები, რომ ტელეფონში მისთვის გაეგებინებიათ ამბავი კრების დანიშვნის შესახებ რაიონში, მაგრამ რადგანაც საჭირო იყო, რომ ეს ერთგვარ საიდუმლოდ მომხდარიყო, დაარიგა ისინი, ტელეფონით ბევრი არაფერი ეთქვათ, გარდა ორი სიტყვისა, თუ იყო კრება მაშინ დაეძახათ არის,—ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის და ამით გაეთავებიათ ლაპარაკი. რასაკვირველია, რთველაძეს ეს ზედმეტი სიფრთხილით მოსდიოდა.

ამ წინასწარი მუშაობის შემდეგ შეუდგენ უკვე საქმიანობას. დაუძახეს მუშა გიგო ლელაშვილს და დაავალეს უჯრედებში მუშაობის გაწევა. როდესაც გიგო ლელაშვილმა კითხა მათ, რა მუშაობა უნდა ეკისრა მას, რადგან როგორც აგიტატორი ის, მისი სიტყვით არ გამოდგებოდა, უპასუხეს, რომ შენ ძველი მუშა ხარ, ძველი ტერორისტი და საჭირო იქნებიო. დაავალეს გამართა ძველი ტერორისტების ქორიძის, მირიმანოვის და სხვების კრება, სადაც ოპოზიციონერების ლიდერები უნდა გამოსულიყვენ მოხსენებით. ამ კრებაზე გაიგზავნა სერიოჟა ქავთარაძე, მან გააკეთა მოხსენება პარტიის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. შემდეგ ესენი შეუდგენ საიდუმლო დოკუმენტების გავრცელებას. აწყობდენ კრებებს, და ემზადებოდენ გამოსვლებისათვის.

უნდა ითქვას მუშების სასახელოდ, რომ ისინი ოპოზიციონერებს და ფრაქციონერებს არ აყვენ. რაიონულ კომიტეტში გამოცხადდენ და თვით შემოიტანეს განცხადება ფრაქციონერების მუშაობის შესახებ.

აქ საინტერესოა ცოტაოდენი ისტორია.

კამპანიის ჩატარება რაიონში მე-14 პარტყრილობის შესწავლის შესახებ ჩვენ დავიწყეთ 28 ივლისს. მოვიწვიეთ პარტაქტივის კრება, რომელზედაც ცხადი გახდა, რომ ყველა უჯრედები უჭერდა მხარს პარტიის მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებებს. ამ კრებაზე, მართალია, იყო ზოგიერთი უმნიშვნელო შეკითხვები, მაგრამ გამოსვლით არავინ გამოსულა. 6 აგვისტოს მოხდა მეორე კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. ქართველიშვილი. ამ კრებაზე უკვე 12 კაცი გამოვიდა. კრებამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ოპოზიციას და სავსებით დაუჭირა მხარი პარტყრილობის ყველა დადგენილებებს.

პირველ სექტემბერს დავიწყეთ კამპანიების ჩატარება უჯრედებში. უჯრედებშიაც რეზოლიუციები ყველგან ერთხმად გადიოდა, გარდა სამი შემთხვევისა, როდესაც ერთმა-ორმა თავი შეიკავეს. შემდეგ ოპოზიციამ თანდათანობით უფრო მეტი და მეტი აქტივობა გამოიჩინა. მოხსენებაზე, რომელიც ფილიპე მახარაძემ გააკეთა, ოპოზიციის წარმომადგენლები უკვე აშკარად გამოვიდენ, აშკარა შეტევაზე გადავიდენ. იქ, სხვათა შორის გამოვიდა არაქელა ოქუაშვილი, რომელმაც დემაგოგიური სიტყვა სთქვა და გაილაშქრა ფილიპეს წინააღმდეგ. კრება არ აყვა მათ და სავსებით დაუჭირა მხარი მომხსენებელს. მე არ ვილაპარაკებ სხვა კრებების შესახებ, სადაც გამოვიდა კოტე ცინცაძე და სადაც ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ პარტია არ მიჰყვება ოპოზიციას. ლენინის რაიონის ორგანიზაციამ გადაჭრით განაცხადა მთელ რიგ კრებებზე, რომ მას არ სურს დისკუსია, რომ ის მტკიცედ სდგას პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე. ჩვენი რაიონი იბრძოდა უკლონიზმის წინააღმდეგ 1923 წელს. ის დღეს თავგამოდებით იბრძვის ახალი ოპოზიციის წინააღმდეგაც და მოითხოვს ოპოზიციის ბელადების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას, რათა ბოლო მოეღოს პარტიის მუშაობის ხელის შეშლას და დაუსრულებელ ოპოზიციებს.

ამხ. აფციაური

ჩემი გამოსვლა—დაიწყო ამხ. აფციაურმა, ოპოზიციის წრეებში დაფასებული იქნება, როგორც ღალატი, მაგრამ მე ამის არ მეშინია, რადგან ვიცი, რომ ასეთი განცხადებები იმათ შესახებ, ვინც აღარ თანაუგრძნობს ოპოზიციას, მათ უკვე სისტემად აქვთ შემოღებული. საქმე იმაშია ამხანაგებო, რომ მე მ[illegible] ისეთი პერიოდი, როდესაც ვყოყმანობდი, გარკვეული არ ვიყავი და ურთიერთობა მქონდა ოპოზიციონერებთან. ამიტომ იყო, რომ როდესაც მე მთხოვეს მოხსენება გამეკეთებინა, უარი ვსთქვი. შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ არც ერთ პარტიოსან კომუნისტს არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს ოპოზიციასთან და მტკიცედ დავადექი იმავე გზას, რომელსაც ჩვენი პარტია ადგია. მე მეკითხებოდენ: შენ ხომ უკლონისტი იყავი, რატომ არ ემხრობი ოპოზიციას. ზოგიერთმა ამხანაგებმა ოპოზიციონერობა ხელობად გაიხადეს და სადაც არ უნდა გაჩნდეს ოპოზიცია, მარჯვნივ თუ მარცხნივ, რომელი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს, მოვალეთ სთვლიან თავიანთ თავს ხელი მოუწერონ მას და აწარმოონ დეზორგანიზატორული მუშაობა პარტიის შიგნით.

რა აერთებს ახალ ოპოზიციას? რა არის საერთო შლიაპნიკოვსა და ტროცკის შორის? რასაკვირველია, შლიაპნიკოვსა და ტროცკის შორის, იმ ტროცკის, რომელიც მე-10 ყრილობაზე სასტიკად ილაშქრებდა შლიაპნიკოვის წინააღმდეგ, საერთო არაფერი არ უნდა იყოს. და თუ ოპოზიცია მაინც გაერთიანდა, ეს იმიტომ, რომ შეტევა აწარმოონ ლენინურ ცეკას წინააღმდეგ.

ამხ. შამშე ლეჟავამ სთქვა აქ უკვე, რომ ოპოზიციას აქვს თავისი ცენტრი აქაც. ამ ოპოზიციის ცენტრში არის კოტე ცინცაძე, რომელთანაც საუბარმა დამარწმუნა, რომ ისინი ასცდენ ლენინის გზას. ისინი ამბობენ, რომ ჩვენი ხელისუფლება გადაიქცა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ხელისუფლებად, რომ პარტია წვრილ - ბურჟუაზიული პარტია არის და სხვა. აქედან ცხადია ბრძოლის მეთოდები, რომელსაც უნდა მიმართოს ამ ხალხმა. ერთი ოპოზიციონერთაგანი გიორგი რთველაძე იქამდისაც კი მივიდა, რომ დაკარგა რწმენა ჩვენში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ და აშკარა ლიკვიდატორების გზას დაადგა. ოპოზიციონერებმა მოაწყვეს აპარატი და შემდეგ დაიწყეს შეტევა. მათ გაანაწილეს თავისი ძალები და მძიმე არტილერია გაუშვეს პირველ რაიონში. (კოტე ცინცაძე, ოკუჯავა მ. და ზალუცკი), ლადო დუმბაძე და სეფი მეოთხე რაიონში და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლადო დუმბაძე გამოვიდა კრებაზე მეოთხე რაიონში და განაცხადა: ამხ. ბესო ლომინაძის მოხსენების გარეშე არსებითად ვერაფერს ვიტყვი, რადგან არა ვარ მომზადებულიო. მუშებს გაუკვირდათ ლ. დუმბაძის ასეთი განცხადება. აკი ჩვენ გვამზადებდა, ამბობდენ ისინი, გვგზავნიდა კრებებზე. აქ კი იძახის, რომ მომზადებული არა ვარო.

ორატორმა მოითხოვა, რათა პლენუმმა ბოლო მოუღოს ოპოზიციის უმსგავსო საქმიანობას. დაუშვებელია ისეთი ფაქტები, რომელსაც ადგილი აქვს ოპოზიციის საქმიანობაში. ლადო დუმბაძე მაგალითად იჯდა თავის კაბინეტში, სადაც მასთან ერთად იჯდა უპარტიო თანამშრომელი, ღებულობდა ფრაქციონერებს და სათანადო დარიგებებს აძლევდა მათ. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. კოტე ცინცაძემ და სხვებმა უნდა დაშალონ თავისი გაკოტრებული

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

პლენუმის დადგენილება

ოპოზიციის ზოგიერთი წევრების ფრაქციული და გამთიშავი მუშაობის შესახებ

ადგილობრივი ოპოზიციის ფრაქციული და ანტიპარტიული, მოქმედების გამო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიამ განიხილა მთელი რიგი საქმეები პარტიის წევრთა, რომელთაც ბრალი ედებოდათ გამთიშავ-ფრაქციულ მუშაობაში და მიუსაჯა მათ სათანადო პარტსასჯელი.

1. ამხ. ვიქტორ ცინცაძის, კალენიკე იაშვილის, მუშეგ სოლოვიანის და რომან გლადკოვის საქმე ფრაქციულ-გამთიშავ მუშაობის შესახებ

ცენტ. საკონტროლო კომისიამ გამოარკვია, რომ ზემოხსენებულმა პირებმა დაარღვიეს მე-10, მე-13 და 14 ყრილობის დადგენილება პარტიის მთლიანობისა, ფრაქციებისა და ჯგუფების შესახებ.

ამ პირთა ჯგუფი წარმოადგენდა კონსპირატიულად შეკავშირებულ ტეხნიკურ აპარატს, რომელიც იღებდა და ქართულ ენაზე სთარგმნიდა საიდუმლო პარტიულ დოკუმენტებს, ბეჭდავდა მათ და ავრცელებდა არა მარტო ქ. თბილისში, არამედ პროვინციაშიაც (ახალციხის, თელავის, ლეჩხუმის და სხ. მაზრებში). დოკუმენტების არალეგალური გზით გავრცელებასთან ერთად ეს ჯგუფი, სცდილობდა თავისი ცენტრის ირგვლივ დაერაზმა ოპოზიციური ძალები, ცოცხალ კავშირს იჭერდა ოპოზიციონურად განწყობილ პარტიის ცალკე წევრებთან როგორც თბილისში, ისე მაზრებში.

ამავე დროს, ამ ჯგუფმა ჩაატარა ინტენსიური მუშაობა პარტიის ცალკე წევრების ტენდენციოზურ-ოპოზიციონურად მომზადებისათვის და მათი ინდივიდუალურად ან ჯგუფობრივად თავის მხარეზე გადაბირებისათვის.

ზემოხსენებულ პირთა ბინები მუდმივი ადგილი იყო, სადაც იკრიბებოდენ და [illegible] ფრაქციული თანამოაზრენი.

ქალ. თბილისის პარტკრებებზე ზემოხსენებული პირნი აწყობდენ აყალ-მაყალს, იჩენდენ უკიდურეს თავ-გაუშვებლობას, არა კომუნისტურ საქციელს, რომელიც პარტიის სახელის გატეხვისა და კრებების ჩაშლისაკენ იყო მიმართული.

როგორც საგამომძიებლო კომისიის, ისე ცენტრ. საკონტ. კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე, ზემოხსენებულნი პირნი არ იჩენდენ გულწრფელობას და მხოლოდ ცარიელი სიტყვით უარჰყოფდენ მათ წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდების ფაქტებს, აბსოლიუტურად უარს ამბობდენ ფრაქციულ მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე.

მიიღო რა მხედველობაში ზემოხსენებული, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ დაადგინა: გამოირიცხოს პარტიიდან:

1) ცინცაძე ვიქტორ ვასილისძე, 23 წლის, მოსამსახურე, პარტიის წევრი 1917 წლიდან.

2) იაშვილი კალენიკე სვიმონისძე, 27 წლისა, მოსამსახურე, პარტიის წევრი 1917 წლიდან.

3) სოლოვიანი მუშეგ იაკიმესძე, მოსამსახურე, პარტიის წევრი 1917 წლიდან.

4) გლადკოვი რომან კონსტანტინესძე, 37 წლისა, მოსამსახურე, პარტიის წევრი 1919 წლიდან.

2) საქმე მიხეილ პავლეს ძე ჭიპაშვილისა,

საქართველოს კომპარტიის წევრი 1919 წლიდან. განათლება საშუალო, 23 წლისა, მოსამსახურე. ამჟამად კოოპერატიული ამხანაგობა „საქართველოს ღვინოს" საორგანიზაციო განყოფილების გამგის თანაშემწე.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ გამოარკვია, რომ მიხეილ ჭიპაშვილმა დაარღვია მე-10, მე-13 და მე-14 ყრილობების დადგენილება პარტიის მთლიანობისა, ფრაქციებისა და ჯგუფების შესახებ.

იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიის შიგნით ფრაქციული მუშაკების დარაზმვაში ისეთი მუშაობის მიზნით, რომელიც მიმართული იყო მე-14 ყრილობისა და პარტიის ცეკას გარდაწყვეტილებათა წინააღმდეგ, ავრცელებდა საიდუმლო, ცალმხრივად შერჩეულ დოკუმენტებს, რომელნიც პარტიის უმაღლეს ორგანოებს ეხებოდნენ, იგი კავშირს იჭერდა ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების მუშაკებთან წითელ არმიაში ფრაქციული მუშაობის მიზნით; სცდილობდა პროვინციასთან-ც დაეჭირა კავშირი იმავე მიზნით, იგი იყო პარტიის წევრთა არალეგალური კრებების ორგანიზატორი; ამ კრებებზე იგი ეწეოდა ოპოზიციონურ აგიტაციას და პარტიის წევრებს ითრევდა ფრაქციულ ბრძოლაში, აწარმოებდა წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას არალეგალური სტამბის მოსაწყობად საიდუმლო პარტდოკუმენტების გავრცელების მიზნით.

როგორც საგამომძიებლო კომისიის, ისე ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე იგი ოდნავადაც არ იჩენდა გულწრფელობას, უარი განაცხადა ეთქვა, თუ როგორ მიიღო ეს დოკუმენტები და თავისი მოქმედება სცნო მართებულად.

მიიღო რა მხედველობაში ზემოხსენებული, საქართველოს კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიამ დაადგინა—გამოირიცხოს ამხ. მიხეილ ჭიპაშვილი პარტიიდან. ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა გააფრთხილა და განუმარტა ამხ. ხ. ი. თაბაგარს, ა. მ. ბოჯგუაძეს, ი. ი. მიქაძეს, რომ ისინი თავისი დამოკიდებულებით ოპოზიციონერებისადმი, რომელნიც სცდილობენ ფრაქციული ორგანიზაცია შექმნან პარტიის შიგნით, არღვევენ პარტიის დადგენილებას მთლიანობის შესახებ, ხელს უწყობენ პარტიის გათიშვას, აძლევენ სხვას მაგალითს დისციპლინის დარღვევისას, რომელიც სრულიად დაუშვებელია პარტიაში.

3) საქმე ვართან გალუსტის ძე პეტროსიანისა

32 წლისა, პარტიის წევრი 1918 წლიდან, საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფტრესტის მმართველი.

მასაც ბრალად ედება დარღვევა მე-10, მე-13 და მე-14 პარტყრილობის დადგენილებისა ფრაქციებისა და ჯგუფების შესახებ.

იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიის შიგნით ფრაქციული მუშაობის მომხრეთა დარაზმვაში, რომელთა მოქმედება მიმართული იყო მე-14 ყრილობისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის დადგენილებათა წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები მიიღებდენ რეპრესიებს, იგი ჰპირდებოდა სათანადო ნივთიერ დახმარებას აღმოჩენას თავის თანამოაზრეთა მხრივ, რომელნიც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იმყოფებოდენ. იგი ავრცელებდა ცალმხრივად შერჩეულ საიდუმლო პარტდოკუმენტებს პარტიის უმაღლეს ორგანოთა მუშაობისათვის სახელის გატეხის მიზნით.

მიიღო რა მხედველობაში ზემოხსენებული, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ დაადგინა, გამოირიცხოს პეტროსიანი პარტიიდან.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა:

სასტიკი საყვედური გამოეცხადოს პარტიის წევრებს— დარია ჯანბაშევას, პროკოფი ბურძენიშვილს და სერგო მანუჩოვს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ოპოზიციონერების მიერ გადაღებულ საიდუმლო დოკუმენტების დამალვაში და გავრცელებაში, მაგრამ საგამომძიებლო კომისიის კრებაზე აღიარეს თავისი შეცდომა და მოინანიეს დანაშაული.

4) საქმე ვარლამ ონისიმესძე ჭკუასელისა

31 წლისა, მუშა, პარტიის წევრი 1921 წლიდან.

ბრალი ედება საიდუმლო დოკუმენტების გავრცელებაში, არალეგალურ კრებების მოწყობაში და პარტკრებების ჩაშლის განზრახვაში.

როგორც საგამომძიებლო, ისე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის კრებაზე იგი ოდნავად არ იჩენდა გულწრფელობას კატეგორიულად უარი განაცხადა ფრაქციულ მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე და მიღებული დოკუმენტების წყაროს დასახელებაზე.

მიიღო რა მხედველობაში ზემოხსენებული საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიამ გამორიცხა ვ. ო. ჭკუასელი პარტიიდან.

5) საქმე კონსტანტინე რაჟდენის ძე ჯავახიშვილისა

32 წლისა, პარტიის წევრი 1917 წლიდან, მოსამსახურე.

მას ბრალი ედება ცალმხრივად შერჩეული დოკუმენტების დამალვაში და ფრაქციული ბრძოლის მიზნით გავრცელებაში, პარტიის შიგნით ფრაქციული მუშაობის მომხრეთა დარაზმვაში, რომელთა მოქმედება მიმართული იყო საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-14 ყრილობისა და ცეკას და ცენტრალურ საკონტრ. კომისიის ივლისის პლენუმის გარდაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

საგამომძიებლო კომისიისა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წინაშე ჯავახიშვილმა აღიარა, რომ იგი ლეგალურ და არალეგალურ მუშაობას აწარმოებდა, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადა ფრაქციული მუშაობის ფაქტების აღნიშვნაზე.

მიიღო რა მხედველობაში ზემოხსენებული, საქართველოს კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა გამორიცხა ჯავახიშვილი პარტიიდან.

6) საქართველოს კომპარტიის (ბ) თელავის ორგანიზაციის პარტიის წევრთა გიორგი ანდრიაშვილის, ვასილ ბულდიაშვილის, სვიმონ მამულაშვილის საქმე

მათ ბრალად ედებათ ფრაქციულ მუშაობაში მონაწილეობის მიღება, რომელიც მიმართული იყო პარტიის მე-14 ყრილობის გარდაწყვეტილებათა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის დადგენილებათა წინააღმდეგ, არალეგალურ კრებების მოწყობაში, პარტიის ზოგიერთი წევრების დარაზმვაში ფრაქციული მუშაობის მიზნით, საიდუმლო პარტდოკუმენტების და პარტიისა და საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ ყალბი ხმების გავრცელებაში, პარტიისა და მის ხელმძღვანელთათვის სახელის გატეხვაში.

ზემოხსენებულის მიხედვით საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა—გამოირიცხონ პარტიიდან:

1) გ. ანდრიაშვილი,
თელავის მაზრის პროკურორის მოადგილე, პარტიის წევრი 1919 წლიდან.

2) ვ. ზ. ბულდიაშვილი,
პარტიის წევრი 1917 წლიდან, აბრეშუმის სართავი ქარხნის დირექტორის თანაშემწე.

3) სვიმონ მამულაშვილი,
პარტიის წევრი 1918 წლიდან, თელავის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრი.

ამავე დროს, მათ საქმესთან დაკავშირებით ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა: გამოეცხადოს სასტიკი საყვედური, გაფრთხილებით, იოსებ ქარატიელს, შ. ჩიხლაძეს, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ფრაქციის არალეგალურ კრებაზე და რომლებმაც მოინანიეს დანაშაული ცენტ. საკონტროლო კომისიის წინაშე; აგრეთვე გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით ზოსიმე ესიტაშვილს, რომელიც ყალბ ხმებს ავრცელებდა პარტიის მდგომარეობის შესახებ.

ფრაქციონური შტაბი. ტროცკისა და სხვა ბელადებს ოპოზიციიდან უნდა ეთხრათ: ან ჩვენთან, ან მონახეთ სხვა პარტია.

გ. რთველაძე

აცხადებს, რომ ბრალდება იმის შესახებ, თითქოს მას დაეკარგოს რწმენა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისა, სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია, იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მე ვლაპარაკობდი ამ საკითხზე, მაგრამ მე მსურდა საკითხის გარკვევა და განმარტებისათვის მივმართე ამხ. ლეჟავას. მან ამიხსნა საკითხი. ამან მე სრულიად დამაკმაყოფილა. შემდეგ ასეთივე კითხვით მივმართე მაჩაიძეს და ოქციაურსაც. ფრაქციონურ მუშაობას ორატორი უარყოფს, მაგრამ აცხადებს, რომ ის ურჩევდა მუშებს კარგად ჩაჰკვირვებოდენ საქმეს და რეზოლიუციებისათვის შეუგნებლად ხელი არ აეწიათ.

ორატორი კატეგორიულად აცხადებს, რომ ის ფრაქციების წინააღმდეგია და რომ არც ერთ კრებაზე პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო სიტყვით არ გამოსულა.

გიორგი ჩხეიძე

აცხადებს, რომ აზრი იმის შესახებ, თითქოს ის მერყეობდეს და გარკვეული პოზიცია არ ეჭიროს, მართალი არ არის. ამგვარი ოპოზიციის გამოსვლების შესახებ, ორატორს გაუგია კისლავოდსკში ყოფნის დროს და მაშინვე განუცხადებია, რომ ის ცეკას ხაზზე სდგას.

მე, აცხადებს ორატორი, ოპოზიციასთან არაფერი საერთო არა მაქვს.

ა. კიკნაძე

ამხ. კიკნაძე სასტიკად ილაშქრებს ოპოზიციის წინააღმდეგ და მოითხოვს მათ წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას.

მ. ოკუჯავა

კიკნაძის შემდეგ გამოვიდა ოპოზიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ამხ. მ. ოკუჯავა, რომელიც 40 წუთის განმავლობაში არკვევდა ოპოზიციის პლატფორმას. თავიდანვე მან უარყო ბრალდება ოპოზიციის მუშაობის შესახებ უპარტიოთა შორის და განაცხადა, რომ ოპოზიცია იბრძვის მხოლოდ პარტიის ფარგლებში. ფრაქციების დაარსება პარტიაში, რასაკვირველია არ არის დასაშვები. პარტია უნდა იყოს მთლიანი, მაგრამ ამასთანავე ერთად, პარტიაში უნდა იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ ფრაქციის შექმნა არ იყოს შესაძლებელი. ორატორი აცხადებს, რომ ოპოზიცია სვამს საკითხს შინა-პარტიული დემოკრატიზმის შესახებ, რომელიც მისი აზრით პარტიაში არ ტარდება.

გადადის რა, დისკუსიის საჭიროების დაცვაზე, ორატორი აცხადებს, რომ პარტიის წინაშე მრავალი ისეთი საკითხები სდგას, რომელთა გარკვევაში უნდა იქნეს ჩაბმული მთელი პარტიული მასა. დისკუსიებიდან პარტია ყოველთვის გაჯანსაღებული და განმტკიცებული გამოდიოდა. დისკუსია ეხლაც არის საჭირო იმისათვის, რომ საკითხები გაშიშვლდეს, მის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღოს მთელმა პარტიამ და მასას შეუმუშავდეს მტკიცე რწმენა და შეგნება. ჩვენმა მასწავლებელმა იცოდა, რომ დისკუსიები პარტიას ძვირი უჯდებოდა, რომელიც ერთგვარი ფუფუნება იყო, მაგრამ ის უძღვებდა დისკუსიებს და აშკარავებდა მოწინააღმდეგეთა იდეებს. ორატორს არ მიაჩნია სწორად პარტიის ცეკას ხაზი გლეხთა, ინდუსტრიალიზაციის, შინა-პარტიული დემოკრატიის და სხვა საკითხებში. ის სცდილობს დაამტკიცოს, რომ ხდება კერძო კაპიტალის კონცენტრაცია, რომ სოფლად იზრდება კულაკი და სხვა, და რომ ყველაფერი ეს საფრთხეს უქადის რევოლიუციას.

მ. კახიანი

ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ ადგილობრივ უკლონისტების და ახალი ოპოზიციის ლიდერის მ. ოკუჯავას სიტყვა. მას თავის განკარგულებაში ჰქონდა 40 წუთი და ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეთქვა, რაც ქონდა სათქმელი. თქვენ დაინახეთ, რომ ამ 40 წუთის განმავლობაში თქმული მისი სიტყვა აზრთა სრული არევ-დარევა იყო.

მე ადგილიდან დაუძახე მას შპარგალკებით მუშაობთ მეთქი და ეს სავსებით მართალიც არის. მათ მიიღეს დირექტივები ცენტრიდან და ამ დირექტივების თანახმად მუშაობდენ. სხვანაირად როგორ აიხსნება ეს გარემოება, რომ მე-14-ტე პარტყრილობის დელეგატი მ. ოკუჯავა ეთანხმება პარტიის ყველა დადგენილებებს, თვით სასტიკად ილაშქრებს კამენევის და ზინოვიევის წინააღმდეგ, ეხლა კი ამ უკანასკნელთა პლატფორმის დამცველად გამოდის. რა მოხდა მას შემდეგ? დავა სწარმოებს იმავე საკითხების შესახებ, რომელზედაც სწარმოებდა მე-14-ტე ყრილობაზე. ახალი აქ არაფერია: მაშ როგორ მოხდა, რომ მ. ოკუჯავამ გამოიცვალა თავისი აზრი? ჩვენ პატივს ვსცემდით მას. მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ არ შეიძლება შემდეგშიაც ვსცეთ პატივი ისეთ ადამიანს, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში მუდამ იბნევა სისტემატიურად და რომელსაც ვერ უპოვია გზა. 21—22 წელში ის იყო ე. წ. „ბუდისტების" რიგებში. მაშინ ის ამბობდა, რომ საქართველოში უნდა წავიდეთ დათმობაზე წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტების მიმართ, ნაციონალისტურ ინტელიგენციის მიმართ; წინააღმდეგი იყო აგრარულ რევოლიუციის — მიწების ჩამორთმევის; დღეს კი ის რადიკალურად წინააღმდეგ პოზიციას ადგია. 24 წელში ოკუჯავა გამოდის თბილისის მე-4 პარტკონფერენციაზე შემოაქვს განცხადება, რომელშიაც აცხადებს, რომ მე-12 პარტყრილობის შემდეგ ბრძოლა ინერციით გრძელდებოდა და შინაარს მოკლებული იყო. ამ დეკლარაციით ის მოუწოდებდა პარტიას მთლიანობისაკენ. მე-14-ტე პარტყრილობაზე ის ეთანხმებოდა პარტიას, დღეს კი კვლავ გამოდის და იბრძვის პარტიის იმ ხაზის წინააღმდეგ, რომელსაც რამოდენიმე თვის წინეთ თვით იზიარებდა და რომელსაც ცეკას დავალებით წაკითხულ რამოდენიმე მოხსენებაში თვითონ იცავდა. ეს არის დამახასიათებელი თვისება ოპორტიუნიზმისა. აქ მე არ შეუდგები ამხ. ოკუჯავასთან კამათს იმ პლატფორმის შესახებ, რომელზედაც ის ლაპარაკობდა. არ შეუდგები, რადგან ჩვენ აქ ვარჩევთ საკითხს შინა პარტიული მდგომარეობის შესახებ და გარდა ამისა ზედმეტია კამათი ისეთ ადამიანთან, რომელიც მე-14-ტე პარტყრილობას დაესწრო, ვერ გაიგო იქ საქმის შინაარსი. რასაკვირველია, მას აზრს ვერ შეაცვლევინებ და ჩვენ ამისათვის არც გვცალია. ამხ. ლენინი ამბობდა, რომ ფრაქციულ ბრძოლის ლოღიკას საუკეთესო ამხანაგებიც კი უპრინციპო დემაგოგიამდე მიყავსო.

ორატორი გადადის ოპოზიციის ფრაქციულ ბრძოლის მეთოდების დახასიათებაზე საქართველოში და აღნიშნავს, რომ ბრძოლამ სამი პერიოდი განვლო: პირველი პერიოდი იყო აგვისტო, როდესაც ოპოზიცია დირექტივებს ელოდა და გაჩუმებული იყო. მეორე პერიოდი: სექტემბერი, ნაწილობრივი გაცხოველება ამ თვეში, როგორც ეს ოპოზიციონერმა კიკნაძემ აღნიშნა თბილისის კომიტეტის სხდომაზე; მათ მოსდით ცნობები, დირექტივები და კრებებზე ხდება პატარა ოპოზიციონერების გამოსვლა. იწყება უკმაყოფილო შეკითხვების გზავნა და ლაპარაკი. არ არის მართალი რთველაძე, როდესაც ლაპარაკობს თითქოს ის მუშების აზრს ლაპარაკობდა ვაგონების და სხვა ასეთების შესახებ. ჩვენ პატივს ვსცემთ ძველ რევოლიუციონერებს, მაგრამ მანამ, სანამ თქვენ სწორ ხაზს ატარებთ, მაგრამ როდესაც თქვენ ამახინჯებთ ამ ხაზს ნურას უკაცრავად თუ ჩვენ ამისთვის თქვენ პატივს ვერ გცემთ. გ. რთველაძე აქ აცხადებდა, რომ ის პარტიის ხაზის წინააღმდეგ არ გამოდიოდა, მაგრამ მე ვეკითხები, რას ნიშნავს მისი განცხადება ზოგიერთ მუშებისადმი უსინდისოდ, შეუგნებლად რეზოლიუციას ხელი არ აუწიოთო. რას ნიშნავს ეს განცხადება? ნუ თუ ის გარემოება, რომ პარტიის წევრი პარტიულ კრებაზე პარტიის უდიდესი უმრავლესობის რეზოლიუციას აუწევს ხელს უსინდისობაა. ან და რას ნიშნავს მისი განცხადება—მე ჩემთვის ვარო. პარტიაში ნეიტრალიტეტი არ შეიძლება. მან სთქვა, რომ ძველ მუშებს სდევნიანო, ეს ტყუილია და ცილისწამება პარტიაზე. ძველი მუშები პატივისცემის ღირსნი არიან და პარტია კიდეც სცემს პატივს, მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ ასევე ვერ მოგეპყრენ თქვენ, რომლებიც პარტიის რიგებს ხან-და-ხან რყვნით და აროვევთ.

ამ მეორე პერიოდში, როგორც აღვნიშნე გამოდიან პატარა ოპოზიციონერები, რომლებიც თავიანთი განცხადებებით სცილდებიან ლენინის გზას და მენშევიზმამდეც კი მიდიან. კრებებზე ჩნდება კითხვარები, რომელშიაც 61 კითხვა არის ჩამოთვლილი. ასეთი კითხვარი ჩნდება პროვინციაში მაგ. თელავში, ცხადია ფრაქციული ცენტრი გზავნის მას ადგილებზე. ერთი ასეთი კითხვართაგანი წაართვეს ოპოზიციონერ ქკუასელს (თუ ქკუათხელს?) კრებებზე იგზავნება აშკარა კონტრ-რევოლიუციონური შეკითხვები, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდება მენშევიკურ შეკითხვებს. ამავე დროს ოპოზიცია ჩრენს საბეჭდავ საშუალებებს, ავრცელებენ არალეგალურ ლიტერატურას და სხვა. აი სანამდე მივიდა ოპოზიცია.

აქ ამხ. ოკუჯავა ბევრს ლაპარაკობდა ჩვენი მასწავლებელი ლენინის შესახებ. მე უნდა განვაცხადო, რომ ის ტყვილა ეპოტინება ლენინს, **მათი მასწავლებელია ტროცკი**, ოპოზიციაში არის ტროცკის ჰეგემონია. მან თავი მოუყარა ყველა ოპოზიციონურ ელემენტებს და შეტევით გადავიდა ცეკას წინააღმდეგ. ორატორს მოყავს კამენევის სიტყვები, რომელიც მის მიერ იყო თქმული ტროცკის ერთ-ერთი წინანდელი გამოლაშქრების დროს. კამენევი ამბობდა, რომ ტროცკიმ თავი მოუყარა ყველა უკმაყოფილო ელემენტებს და თავისი დროშა გაშალა ლენინის წინააღმდეგ. ეხლანდელი ოპოზიციის დროშა არის დროშა კომპარტიის წინააღმდეგ.

მესამე პერიოდი ხასიათდება მით, რომ აქ უკვე ამოძრავდენ ოპოზიციის ლიდერები. მოსკოვში და ლენინგრადში გამოდიან ზინოვიევი, კამენევი, ტროცკი და მიდიან მუშათა კრებებზე. აქ გამოდის ოკუჯავა, ცინცაძე და სხვები. მას ფრაქციამ უბრძანა ხელი გამოედო ზალუცკისათვის, ამ არხი-ინტერნაციონალისტისათვის და წასულიყო მუშათა კრებებზე. ხდება ოპოზიციონური ძალების მობილიზაცია. ოპოზიციონერები გამოდიან ოჯახობით, მთელი გვარეულობით.

მიშა ოკუჯავასათვის ზურგის გამაგრება საჭიროდ დაინახა მისმა ძმამ კოლია ოკუჯავამ, რომელიც ბათომში მიდის მუშათა უჯრედებში და თხოულობს სიტყვის ნებას, როგორც ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრი. მასთან არის თედორე კალანდაძე, რომლის საქმიანობა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში თვითეულმა თქვენთაგანმა კარგად იცის. ყველა ესენი გამოდიან პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ პარტია მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევს და ისინი ყველგან მარცხდებიან.

ასეთ გამოსვლებს პარტია ეხლა აღარ დაანებებს არავის. ეს შესაძლებელი იყო კიდევ 1921—22 წლებში, მაგრამ მას შემდეგ პარტია გაიზარდა, გაიზარდა სწორედ იმიტომ, რომ გატარდა და ტარდება შინაპარტიული დემოკრატია. პარტიული საკითხების განხილვაში ჩვენ ჩავაბით მთელი პარტია. უჯრედების სხდომებზე ათჯერ იდგა საკითხი პარტიის პოლიტიკის შესახებ სხვადასხვა დარგებში, განხილულ იქნა ყრილობის ყველა რეზოლიუციები. აი ეს არის ნამდვილი დემოკრატია, ისე როგორც ეს ესმის პარტიას, ე. ი. პარტიული მასის ჩაბმა საკითხების განხილვაში. ამიტომ არის, რომ მთელი ორგანიზაცია ადგა თქვენს წინააღმდეგ და არ მოგცათ საშუალება გაგელაშქრებიათ პარტიის წინააღმდეგ. აქ ამხ. ოკუჯავა ლაპარაკობდა შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ და ამხ. სერგო ორჯონიკიძეს იმოწმებდა, თითქოს სერგოს ეთქვას, რომ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში შინაპარტიული დემოკრატია არ ტარდება. ეს არ არის მართალი. ამხ. სერგოს არ უთქვამს შინაპარტიული დემოკრატია არ ტარდებაო. მან სთქვა მხოლოდ, რომ შინაპარტიული დემოკრატია ცუდათ ტარდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არ ტარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ტარდება,. მაგრამ არის ნაკლი, არის დეფექტები, რომლებსაც გამოსწორება უნდა. ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ხელმძღვანელმა ამაზე პარტორგანიზაციის ყურადღება შეაჩერა.

აქ სთქვეს, თითქოს პარტიაში იყოს სხვაგვარათ მოაზროვნე პარტიულების დევნა. ეს ცილისწამებაა. არის არა სხვაგვარათ მოაზროვნე პარტიულების დევნა, არამედ ანტიპარტიულ ელემენტების დევნა. არ არის მართალი ისიც, თითქოს უცხოეთის თეთრგვარდიელთა და მენშევიკური პრესის აზრს არ ქონდეს მნიშვნელობა, თითქოს ეს არაფერს ნიშნავდეს. ძალიან ბევრს ნიშნავს ის გარემოება, რომ ნოე ჟორდანია უცხოეთიდან პირდაპირი მავთულით ემბორება ოპოზიციის ბელადებს და ტაშს უკრავს მათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციის პოზიცია მისი პოზიციაც არის, რომ ის ხელსაყრელია მისთვის.

დისკუსია ჩვენ არ გვინდა. არ გვინდა იმიტომ კი არა, თითქოს ჩვენ დისკუსიის გვეშინოდეს, არამედ იმიტომ, რომ დისკუსია მიიქცევს ჩვენს ყურადღებას მთლიანად, შეაჩერებს და შეაფერხებს სამეურნეო აღმშენებლობას და ამ რიგათ ხელს შეგვიშლის მუშაობაში. აქ ოპოზიციამ დისკუსია კი არ უნდა მოითხოვოს, არამედ თუ ის საქმით არის დაინტერესებული, მან უნდა მოითხოვოს საქმიანი მუშაობა.

დასასრულ მინდა აღვნიშნო ამხანაგებო, რომ ოპოზიცია შინაპარტიულ საკითხებში დამარცხდა. ის ცდილობდა აეცდინა პარტია ლენინის გზიდან, მაგრამ ვერ მოახერხა ეს. ჩვენი პარტია მიდიოდა, ეხლაც მიდის და მომავალშიც ივლის იმ გზით, რომელიც გაუკაფა მას ლენინმა. **(მხურვალე ტაში).**

ამხ. ვაცეკი

ეხება უმთავრესად გ. რთველაძის გამოსვლას. როდესაც ხედავ, რომ იბნევა გ. რთველაძე, ეს არ არის იმდენად გასაკვირი, მაგრამ გასაკვირი ის არის, რატომ იბნევა ისეთი ადამიანი, როგორც მ. ოკუჯავა არის.

ორატორი აცხადებს, რომ პარტიას არ სურს დისკუსია. დისკუსია სჭირდებათ იმათ ვინც დაჰკარგა სოციალისტური აღმშენებლობის ჩვენს ქვეყანაში შესაძლებლობის იმედები.

ამხ. ვაცეკი მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას ისეთი ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც პარტიას ხელს უშლის მუშაობაში.

ამხ. ვაცეკის სიტყვის შემდეგ სხდომა საღამოსთვის გადაიდო.

მეორე სხდომა

ამხ. გ. სტურუას სიტყვა

საღამოს სხდომაზე პირველი სიტყვა აიღო ამხ. გიორგი სტურუამ (აფხაზეთი).

ამხ. სტურუამ აღნიშნა დღევანდელი ოპოზიციის ძირითადი განსხვავება წინა ოპოზიციებთან შედარებით, მისი ჩამოყალიბებული ფრაქციული ხასიათით და ხაზი გაუსვა იმას, რომ ოპოზიციამ ვერ მოახერხა აფხაზეთში გაედგა ფესვი. მართალია, გახწესრიგების მიხედვით ლენინგრადიდან აქ ჩამოვიდა ორი გასტროლიორი. ერთი მათგანი შეეცადა საკუთარი „პოზიციით" გამოსვლას, მაგრამ როცა აღარავინ გამოეხმაურა, გაქრა. მეორე კი, სულ გაჩუმებულია და მისი სიჩუმეც, როგორც სჩანს, ურყევია. შეეხო რა პარტიის შესამჩნევ პოლიტიკურ ზრდას, ამხ. სტურუა აღნიშნავს, რომ ოპოზიცია ამას სრულებით არ ითვალისწინებს. ამასთანავე ერთად, აფხაზეთის სულ ჩამორჩენილი სასოფლო უჯრედებიც კი, ივლისის პლენუმის შედეგების დამუშავების დროს მოითხოვდენ პარტიიდან გამოუსწორებელ ოპოზიციონერების გამორიცხვას, ინსტიქტიურად გრძნობდენ რა, რომ მათი ეს პოლიტიკა დამღუპველი იქნებოდა პარტიისათვის.

აღნიშნა რა პარტიისა და ხელისუფლების საზარალოდ დახარჯული აუარებელი დრო, ამხ. სტურუამ მოითხოვა ოპოზიციის წინააღმდეგ ისეთი ზომების მიღება, რომ არავის აღარ დაებადოს დისკუსიის ხალისი შემდეგში.

ამხ. რატნეკი,

აღნიშნავს, რომ თუ პარტიულ ორგანიზაციის მიღწევების საზომს წარმოადგენს მისი აქტივობა, ეს არ შეიძლება სავსებით ითქვას ჯარის ორგანიზაციებზე. ოპოზიციის სამწუხაროდ, მის მიერ თავის აზრისა და ნების თავისუფალმა გამოთქმამ შედეგათ გამოიღო ცეკას ხაზის სისწორის დადასტურებაო. იყო გამონაკლისი, იშვიათი შემთხვევები, როცა თავს იკავებდენ ხმის მიცემისაგან, და ისიც იმ დრომდე, სანამ შეიგნებდენ თავის შეცდომას.

ამხ. რატნეკი აღნიშნავს, რომ ამხ. ოკუჯავას მტკიცებით ფრაქციები თავის-თავად ჩნდებიან. არმიაში მყოფი ორიოდე ოპოზიციონერი ლენინგრადიდან არიან ჩამოსული.

ოპოზიციას დაავიწყდა, რომ არმია ომის იარაღია, რომელთანაც ხუმრობა არ შეიძლება და შეეცადა ფესვები გაედგა სამხედრო პარტორგანიზაციებში. მაგრამ მათი ცდა დამარცხდა. სამიოთხი ლენინგრადელი არმიაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ. დამახასიათებელია, რომ ყოფილ „უკლონისტებთან" ბლოკი მათ ესირცხვებათ, თუმცა ისინი ამ „უკლონისტებთან" ერთად გამოდიან.

ამხ. რატნეკი აცხადებს, რომ ქართველ „უკლონისტების" და ტროცკისტების ცდები, რათა ძაფი გაებათ ქართულ დივიზიასთან უშედეგოთ დამთავრდა. ერთ-ერთ პოლკში, სადაც შეტანილ იქნა რეზოლიუცია ცეკას ხაზის წინააღმდეგ, რეზოლიუციას ხმა მისცა მხოლოდ თვითონ მისმა შემტანმა.

ამხ. ქვანია

(ზუგდიდი)

ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ არალეგალური ოპოზიციონური ორგანიზაცია ჯერ კიდევ ივლისში აღმოაჩინა. მათ ორგანიზაციულ სტრუქტურის შემდეგი სქემა ჰქონდათ: ინსტრუქტორი, სამაზრო ხუთეული და სარაიონო სამეული. ამ ორგანიზაციას დავალებული ჰქონდა „დიდათ საიმედო ელემენტების" აღრიცხვაზე აყვანა; ეს ელემენტები, სხვათა შორის, ყველაზე უფრო არა საიმედო აღმოჩნდენ. მთელი რიგი ფაქტებით ამხანაგი ქვანია არღვევს ამხ. მიშა ოკუჯავას მტკიცებას იმის შესახებ, თითქო ოპოზიციონერები არ აწარმოებდენ მუშაობას უპარტიოთა შორის. ზუგდიდში შექმნილი იყო არალეგალური ჯგუფები, ხელმძღვანელი ნიკო კიკნაძე საიდუმლო თათბირებს აწყობდა ინსტრუქტორთან და სხვ.

ყოვლად დაუშვებელია. პარტიას მთლიანობა უნდა შევინარჩუნოთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს და თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ ოპოზიციონერები უნდა გარიცხულ იქნენ პარტიის რიგებიდან შეუბრალებლად.

ამხ. გურგენიძე

(გურია)

თუ ჩვენი პარტია, ამბობს ორატორი არ იქნება მთლიანი, მტკიცე და ერთსულოვანი, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ პროლეტარიატის დიქტატურას და ვერ განვამტკიცებთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს. ამხ. ოკუჯავა ამტკიცებდა აქ, რომ ოპოზიციის შექმნისა და ფრაქციის დაარსების შესაძლებლობა, თითქოს პარტიის რეჟიმმა შექმნა. ეს რასაკვირველია, არ არის სწორი და მართალი.

გადადის რა გურიის ორგანიზაციის მდგომარეობის დახასიათებაზე ორატორი აღნიშნავს, რომ გურიის პარტორგანიზაცია ერთგულად სდგას პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე. იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა მთელ ორგანიზაც., როდესაც ერთმა ამხანაგმა შეიკავა თავი ხმის მიცემისგან..

ორატორი მოითხოვს ოპოზიციონერთა და ფრაქციონერთა წინააღმდეგ ზომების მიღებას და დაასკვნის, რომ პარტსასჯელი უნდა დასდოს არა მარტო პარტიის უბრალო ოპოზიციონერ წევრებს, არამედ ოპოზიციის ბელადებსაც.

ამხ. ცეხაძე

(გორის მაზრა)

ამხ. ოკუჯავა აქ ამტკიცებდა, თითქოს ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა უპარტიოთა შორის არ გადაუტანია. ეს არ არის მართალი. ჩვენ, გორის მაზრაში გვქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავით წინააღმდეგში. იქ ჩამოსული ოპოზიციონერები კავშირს აბამდენ უპარტო ხალხთან, პარტიიდან გარიცხული პირებთან და მათი საშუალებით ცდილობდენ ეწარმოებიათ ფრაქციული მუშაობა. ორატორი აღნიშნავს, რომ ოპოზიციონერები უპარტიოთა საშუალებით ავრცელებდენ პარტიულ საბუთებს და არალეგალურ ლიტერატურას. გარდა ამისა, ისინი პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდენ მოსახლეობაში პასუხისმგებელი ამხანაგების შესახებ.

ამხ. ცეხაძე, მიმართავს პლენუმს, გორის მაზრის მუშა კომუნისტების სახელით და მოითხოვს, რათა ოპოზიციონერების წინააღმდეგ მიღებულ იქნეს ზომები და პარტიას მიეცეს მშვიდობიანი მუშაობის საშუალება.

ამხ. შალვა ელიავა

ამხ. შალვა ელიავა აცხადებს, რომ ის იძულებულია გამოვიდეს ამხ. ოკუჯავას განცხადებების გამო შინაპარტიული და საბჭოთა დემოკრატიის შესახებ.

— მე არ ვილაპარაკებ აქ ჩემს საკუთარ მოსაზრებებს, ამბობს ორატორი,— არამედ მოვიყვან ლენინის სიტყვებს.

ამხ. ელიავა ამბობს, რომ ამჟამად სწარმოებს გენერალური ბრძოლა ლენინიზმსა და ტროცკიზმს შორის, ამხ. ოკუჯავა ამტკიცებს, რომ დისკუსია ამაღლებს პარტიას. გამოდის თითქოს დისკუსია თუ არ არის, პარტია დაქვეითდება. ეს რასაკვირველია, არ არის ასე.

თუ პარტიამ გაიმარჯვა ეხლანდელ გენერალურ ბრძოლაში ტროცკიზმთან, ეს უკვე იქნება იმის დამამტკიცებელი, რომ პარტია ამაღლდება. ამხ. ელიავას მოჰყავს ციტატები ლენინიდან და ამტკიცებს ოპოზ. დებულებების შეცდომებს. ამჟამად, განაგრძობს ის, ჩვენ ვდგევართ არა დისკუსიის, არამედ ორი პლატფორმის ბრძოლის წინაშე და ამ ბრძოლაში ოპოზიციის ბელადები სამარცხვინოთ არღვევენ დისციპლინას. ლენინი ამბობდა, რომ „მოქმედებათა მთლიანობა, მსჯელობისა და კრიტიკის თავისუფლება"—აი, რა არის პარტიულ დისციპლინის შინაარსი.

ოპოზიციის მთელი პოლიტიკა სცილდება პროლეტარიატს, რადგან პარტიის გენერალურ ხაზს ის უპირდაპირებს თავის ხაზს. ცეკას გადაწყვეტილებებს ანგარიშში არ უწევენ და, საზოგადოთ, ოპოზიციას კურსი აღებული აქვს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს შეცვლისაკენ.

ამხ. ელიავა ამბობს, რომ სოციალისტ. აღმშენებლობის ამოცანას ცენტრ. კომიტეტი სჭრის ფულის რეფორმის გატარების, მრეწველობის განვითარების, ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის განვითარების საშუალებით.

ჩვენი მეურნეობის აღორძინების პროცესი დათავდა და მუშაობას ვიწყებთ ახალ ტეხნიკურ ბაზაზე. ხოლო ამხანაგების ის ჯგუფი, რომელიც დღეს ხელმძღვანელობს ოპოზიციას, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უარყოფდა ფულის რეფორმის გატარების საჭიროებას და შესაძლებლობას. ამხ. ტროცკის უნდოდა მრეწველობის აღდგენა ფულის რეფორმის გარეშე—აღდგენა ზევიდან. ამნაირად სინამდვილემ გაბათილა ოპოზიციურ ჯგუფის თეორეტიული დებულებანი.

ოპოზიცია მიუთითებს მრეწველობის განვითარების ტემპის სინელეზე, მაგრამ სახელ. საგეგმო კომ. საკონტროლო ციფრები ამტკიცებენ სულ წინააღმდეგს. ამხ. ზინოვიევი და კამენევი დაემორჩილენ ტროცკის, მაგრამ ყველა ისინი ერთად რომ ავიღოთ არ სარგებლობენ მასაში ავტორიტეტით, რადგან პარტია იზრდება და ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს პარტიის მთლიანობას.

დასასრულ ამხ. ელიავა კითხვას ასე აყენებს: ან პარტია ან ოპოზიცია, ან ერთი ან მეორე. ოპოზიციამ უნდა მიიღოს პარტიის აზრი და გულწრფელად უნდა სთქვას უარი ფრაქციულ მუშაობაზე ან და ის უნდა მოსცილდეს პარტიას. (მხურვალე ტაში).

გოგეჩია

(ახალ. კომკავშირი)

აღნიშნავს, რომ კომკავშირის ორგანიზაციაშიც თითქმის ისეთივე ეტაპები განვლო ოპოზიციამ, როგორიც პარტიაში. პირველი პერიოდი იყო დუმილის პერიოდი, როდესაც ოპოზიციონერები კრებებზე არ გამოდიოდენ და არც ხმას აძლევდენ საწინააღმდეგოთ. მეორე პერიოდი კი ხასიათდება აქა-იქ ზოგიერთ ოპოზიციონერების გამოსვლით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პარტიის ოპოზიციონერები ცდილობდენ გავლენა მოეპოვებიათ კომკავშირზე, მაგრამ სრული მარცხი განიცადეს. ორგანიზაცია არ გაჰყვა მათ. კომკავშირის ორგანიზაცია ყოველთვის მტკიცეთ იდგა პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და მომავალშიაც მტკიცეთ იქნება მთელ პარტიასთან ერთად (ტაში).

ფილიპე მახარაძე

ამხანაგებო, თითქოს ყველაფერი ითქვა ამ პლენუმზე უკვე, მაგრამ მე მაინც მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა. ჩვენი პლენუმი განსაკუთრებულ პირობებში მუშაობს. პარტიამ ეხლახან გადაიტანა მკაცრი შეტევა. დღეს ამხ. ქართველიშვილმა დაასურათა ის მდგომარეობა, რომელიც უკანასკნელ ხანებში შეიქმნა. აქ გამოსულმა ორატორებმა კიდევ უფრო ცხადყვეს ის მახინჯი მხარეები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პარტიაში. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ოპოზიცია აწარმოებდა მზადებას, მაგრამ არა პარტიის შიგნით, არამედ იატაკ-ქვეშ დაუშვებელი მეთოდებით და საშუალებებით და აწყობდა შეთქმულებას როგორც სჩანს, ახალ ოპოზ. უფრო მეტის იმედი ჰქონდა, ვიდრე მიიღო შედეგი. შეიძლება მას იმის იმედიც ჰქონდა რომ ერთი დაკვრით აიღებდა ცეკას და დააწვენდა მას ორივე ბეჭებზე, მაგრამ მოსტყუვდა. მოსტყუვდა ის განსაკუთრებით ჩვენს ორგანიზაციებში.

ჩვენ დავინახეთ, რომ რვა ათასი კაციდან ოპოზიციას მხოლოდ 28 კაცმა მისცა ხმა. მიუხედავათ ამისა, ამხანაგებო, მდგომარეობა მაინც სერიოზული არის, იმიტომ, რომ პარტიის სათავეში არიან ამხანაგები, რომელთაც მსოფლიო სახელი აქვთ მოპოვებული, და ამ ოპოზიციას ემხრობიან. ისინი ფრთებს ასხამენ თავიანთ გამოსვლით ჩვენს მტრებს საზღვარგარეთ, შეგნებულათ სჩადიან ამას თუ არა, ეს უკვე მეორე საკითხია. სამწუხაროა ეს, მაგრამ ოპოზიციამ ძალაზე მახინჯი სახე მიიღო. მე არ შევჩერდები იმ სამარცხვინო შეკითხვებზე და გამოსვლებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კრებებზე. ამხანაგებო, როდესაც დღეს აქ გამოვიდა ამხ. ოკუჯავა, რომელიც ხელს აწერს ოპოზიციის ყველა დებულებებს, ეს თითქოს არაფერია.

განა არ შეიძლება მსჯელობა საკითხების გარშემო? უთანხმოება პარტიაში ჩვეულებრივი მოვლენა არის? კამათი შეიძლება სწარმოებდეს იმის შესახებ, თუ როგორი ტემპით მიდის ინდუსტრიალიზაცია, შეიძლება აგრეთვე ლაპარაკი კალინინის ან სმირნოვის ამა თუ იმ აზრის, ან დებულების შესახებ, მაგრამ საქმე ამაში როდი არის? უთანხმოება ჩვეულებრივი მოვლენაა, საკითხი იმაშია, თუ როგორი მეთოდებით ცდილობს ეს ახალი ოპოზიცია რევანში მიიღოს პარტიაში. საკითხების გარჩევა, დისპუტი ჩვენს პარტიაში არ არის უცხო მოვლენა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოპოზიცია უკვე გადაიქცა ორგანიზაციათ, რომელიც უპირისპირებს თავის თავს მთელ პარტიას, უპირისპირებს პარტიას თავის ცეკას. ცხადია, ლეგალურათ ამას პარტია არ დაუშვებდა და აი, ყოველგვარი ოპოზიცია, რომელიც ამრიგათ მუშაობს გადაგვარებისა და გაკოტრების გზაზე დგება.

მაგრამ შეიძლება ოპოზიცია მართალია იდეურათ? აქ ამის შესახებ ილაპარაკა ამხ. შ. ელიავამ და მეც უნდა ვსთქვა, რომ ეს ოპოზიცია დამღუპველია. შეუძლია თუ არა პარტიას უარი სთქვას ლენინის ხაზზე, ტრადიციებზე და დადგეს ტროცკიზმის დროშის ქვეშ? რასაკვირველია, არა. პარტია მიდის და ივლის კიდეც ლენინის გზით.

დაუშვათ ერთი წუთით, რომ ოპოზიციამ გაიმარჯვა. რა მოხდებოდა მაშინ? მე დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ოპოზიცია ეხლანდელი შემადგენლობით ვერ შესძლებდა მუშაობას, რადგან მასში გაერთიანებულ ჯგუფებს შორის არ არის არაფერი საერთო.

ამხანაგებო, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია, როგორც ვსთქვი, მცირე რიცხოვანია, ჩვენს პარტიაში შექმნილ მდგომარეობის გარშემო დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა. ეს იმიტომ, რომ ოპოზიცია წყალს ასხამს ჩვენი მტრების წისქვილზე. თავი რომ დავანებოთ მათ პლატფორმას სხვა საკითხებში და შევეხოთ მარტო შინაპარტიული დემოკრატიის საკითხს, აქ საქმე კიდევ უარესია. შინაპარტიული დემოკრატია ოპოზიციის აზრით არის სხვადასხვა ჯგუფებისა და ფრაქციების ლეგალიზაცია. ამრიგათ ამგვარი დემოკრატიის სახით ჩვენი პარტია უნდა დაიშალოს და დაქსაქსვის გზაზე შესდგეს, რადგან ყოველგვარ ფრაქციებსა და ჯგუფებს აქვთ ტენდენცია განვითარებისა. ოპოზიცია ამბობს, რომ ჩვენ პარტიის მთლიანობის მომხრეები ვართო. ჩვენ მხოლოდ დისკუსიას ვითხოვთო. ეს ყველაზე უარესია. დისკუსიის მოთხოვნილება ეხლა არის გადახვევა ლენინის გზიდან. ლენინი კიცხავდა ამ მოთხოვნილებას. ის მეათე ყრილობის დროს კიცხავდა ოპოზიციას, რომელიც ტროცკიმ მოახვია თავზე პარტიას. მაშინ ლენინმა სთქვა, რომ ჩვენ დისკუსიით ბევრი დავკარგეთ. მე არ ვიცი რა სარგებლობას მოიტანს დისკუსია ეხლა. როგორ შეიძლება პარტიის გამომრთელება დისკუსიის საშუალებით, როგორ შეუძლია მას დაუდოს საზღვარი უთანხმოებას. დისკუსიის, ე. ი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის წინააღმდეგი ჩვენ არასოდეს ვართ, მაგრამ დისკუსიის ის ფორმა, რომელსაც მოითხოვს ოპოზიცია, დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს პარტიას. ოპოზიციაში მყოფი ამხანაგები უკვე ეხლავე ანგრევენ ჩვენს პარტიას, ხოლო, როდესაც დაიწყება დისკუსია, მაშინ მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ იქნება მიპყრობილი და ყოველგვარი მუშაობა შეწყდება.

ეხება, რა შემდეგ გ. რთველაძის გამოსვლას ორატორი აღნიშნავს, რომ პარტიის თვითეული წევრი ასეთ რთულ მომენტში გარკვეული აზრით და შეხედულებით უნდა გამოდიოდეს. სამწუხაროთ, არიან ამხანაგები, რომლებსაც ვერ შეუგნიათ ეს გარემოება. რას ნიშნავს, მაგალითად, გ. რთველაძის ის დარიგება, რომელსაც ის მუშებს აძლევდა:—დაუფიქრდით და უსინდისოთ კრებებზე ხელი არ ასწიოთო. პარტიის თვითეული წევრის ფიზიონომია გარკვეული უნდა იყოს. თუ ჩვენ დავკარგავთ, ჩვენს ფიზიონომიას, ამით ჩვენ მხოლოდ ჩვენს მტრებს გაუწევთ დახმარებას. ორატორი ეხება შემდეგ ზოგიერთი ამხანაგების პესიმისტურ განწყობილებას იმის გამო, რომ პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგების ერთი ნაწილი (ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი) ოპოზიციაში არიან და აღნიშნავს, რომ პარტია კოლექტიური ძალღონით გასწევს წინ.

ორატორი მოითხოვს ძალების შენარჩუნების თვალსაზრისით მკაცრ ზომების მიღებას ოპოზიციის წინააღმდეგ.

ოპოზიცია რაღაც ქრონიკულ მოვლენათ გადაიქცა ჩვენს პარტიაში. მას უნდა მოეღოს ბოლო. მე ვფიქრობ,—აცხადებს დასასრულ ამხანაგი ფილიპე,— რომ პარტია გამოვა ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან და ისეთივე მტკიცე და მთლიანი იქნება, როგორც დაგვიტოვა ის ამხანაგმა ლენინმა. **(მხურვალე ტაში).**

ამხ. ბ. კალანდაძე.

ამხ. ფ. მახარაძის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. ბენო კალანდაძე, რომელმაც კატეგორიულათ განაცხადა, რომ მას ფრაქციული მუშაობა არც თელავში და არც სხვაგან არ უწარმოებია. თავის სიტყვის მეორე ნაწილში ორატორი შეჩერდა დისკუსიის საკითხზე და განაცხადა, რომ დისკუსია პარტიისათვის საჭირო და აუცილებელი არის.

დაბოლოს კამათში გამოვიდენ ამხანაგები ს. ჯუღელი და გოგია, რომლებმაც გაილაშქრეს ოპოზიციისა და ფრაქციების წინააღმდეგ.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

კამათის დასასრულ, ამხანაგმა მიხა ცხაკაიამ მოკლე სიტყვაში ჯამი გაუკეთა კამათს და აღნიშნა ის გარემოება, რომ პარტია მტკიცედ სდგას მთლიანობის სადარაჯოზე. მე დარწმუნებული ვარ,—განაცხადა ამხ. მიხამ,—რომ ჩვენი პარტია მტკიცე რიგებით გამოვა ამ კრიზისიდან და შესძლებს მის წინაშე არსებულ სიძნელეთა დაძლევას.

ლენინის პარტია მომავალშიაც მტკიცეთ ივლის ლენინის გზით ყოველგვარი ოპოზიციის, ფრაქციებისა და გადახრების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას, გაუმარჯოს ლენინიზმს, ამთავრებს თავის სიტყვას ამხანაგი ცხაკაია.

ამხ. ქართველიშვილის საბოლოო სიტყვა

(ამხ. ქართველიშვილის გამოსვლას კრება ეგებება მქუხარე ტაშით)

ამხანაგებო, კამათში საკმაოთ ბევრმა ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა და ამხანაგ ოკუჯავას უკვე საკმაოთ გასცეს პასუხი. მე მინდა შევჩერდე მხოლოდ ზოგიერთ საკითხებზე. არ შემიძლია არ აღვნიშნო ამხ. გ. რთველაძის გამოსვლა. უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ პატივს ვსცემთ ძველ პარტიულ მუშებს, მაგრამ პატივს ვსცემთ გულწრფელ მუშებს, ისეთებს, რომლებიც რაიმეს აკეთებენ პარტიისათვის და არა მარტო იმიტომ, რომ ისინი მოხუცები არიან. ამხ. რთველაძე კი არ არის გულწრფელი. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ მას არ სურს სთქვას სიმართლე. ჩვენ ვიცით, რომ ის ფრაქციულ მუშაობას აწარმოებდა, ვიცით, რომ ის ოპოზიციის მხარეზეა, ნაძალადევში კი კრებაზე, სადაც ათასზე მეტი კაცი დაესწრო, ის ვერ მოიქცა გულწრფელად. მას შეეკითხენ ეთქვა თავისი აზრი პარტიის მდგომარეობის შესახებ. შეეკითხენ მუშები. გ. რთველაძე ადგა კრებაზე და განაცხადა, მე არ ვიციო და სხვა. ეს არ არის პატიოსანი გამოსვლა, სხვა მუშებს ის არიგებს, დაუფიქრდი, უსინდისოთ ხელი არ ასწიოვო, თითონ კი პირდაპირ გამოსვლას ერიდება.

ჩვენ ტყუილა არ გვითქვამს ამხანაგებო, რომ აქ არის ფრაქცია და მისი ცენტრი. რომ ამ ცენტრის „თეორეტიკოსები" არიან მიშა ოკუჯავა და ს. ქავთარაძე. ეს დაამტკიცა აქ მიშა ოკუჯავამ. მან განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია ფრაქციების, რომ ფრაქციები არ არის დასაშვები, მაგრამ თანვე დაუმატა, რომ თუ ფრაქცია არსებობს, ეს თქვენი პარტიული რეჟიმის ბრალი არისო.

ოკუჯავამ განაცხადა აქ, რომ პარტიას დისკუსია უნდა და ლენინის გარდაცვალების შემდეგ თქვენ მას არ ანებებთ დისკუსიასო.

ეს არ არის მართალი. ლენინის დროს ჩვენმა პარტიამ განვლო ორი დისკუსია. ლენინი ამბობდა, რომ ეს პარტიისათვის დიდი ფუფუნებაა. ლენინის გარდაცვალების შემდეგ კი ჩვენ უკვე გადავიტანეთ ორი დისკუსია. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გადავაჭარბეთ კიდეც ამ მხრივ და ახალ დისკუსიაზე ეხლა პარტია არ წავა. ოპოზიციონერებს უნდათ დისკუსია, რადგან ისინი პროფესიონალურ დისკუსიონერებათ გადაიქცენ. ტროცკი ამბობს მაგალითად: ჩვენ დავა გვაქვს ამა თუ იმ საკითხებში, შენ რა გესაქმება ცენტრალურო კომიტეტო, ვინ გკითხავს, თვით მასა იტყვისო. ტროცკი და მისი ამალა ამ გზით აწარმოებს ბრძოლას ბოლშევიკური ცეკას წინააღმდეგ. მაგრამ მასა არ აყვა მათ. პარტიამ, მასამ უთხრა დისკუსიის მოყვარულებს, რომ მას არ სურს და არ სცალია დისკუსიისათვის.

ოკუჯავამ განაცხადა აქ, რომ დისკუსია პარტიული მასის აღზრდის საშუალება არისო. საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი ხანია დისკუსია პარტგანათლების სისტემაში არის შეტანილი, როგორც აღმზრდელობითი საშუალება. მართალია, პარტიული მასა დისკუსიების საშუალებით ეცნობა გადახრებს ლენინიზმიდან, მაგრამ ეს შეიძლება უფრო სხვაგვარათაც მოხდეს და ამისათვის სრულებით არ არის საჭირო პარტიის ნგრევა.

ჩვენ ოპოზიციას პირდაპირ უსვამთ დღეს საკითხს. შლით თუ არა ფრაქციას, იქნებით თუ არა პარტიასთან ერთად? ამ კითხვებზე ოპოზიციას არ შეუძლია პასუხის გაცემა, რადგან მას ჯერ მოსკოვიდან არ მიუღია შპარგალკა. ტროცკის ჯერ არ გამოუგზავნია დირექტივა.

პარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი ამის შემდეგ ღირსეულათ შეაფასებს ოპოზიციონერების საქმიანობას. დღეს ჩვენ ჯამს უკეთებთ ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობას და პლენუმს შეუძლია აღიაროს, რომ ორგანიზაცია არ არის ავათმყოფი. მართალია, არის ნაკლი, მაგრამ ამ ნაკლის გამოსწორებას შესძლებს პარტია. ორგანიზაცია ჯანსაღია, დაავადებული არიან მხოლოდ ზოგიერთი ამხანაგები. მათ განსაკურნავათ პარტია მიიღებს ზომებს. თუ მოხერხდა გამოამრთელებს მათ, თუ არა და მოგვიხდება მათ გარეშე მუშაობა და კეთება იმ დიდი საქმისა, რომლის ისტორიამ დააკისრა ჩვენს პარტიას. **(მხურვალე ტაში).**

ამხანაგ ქართველიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყველა ხმებით ორის წინააღმდეგ მიღებულ იქნა მოწოდება საქართველოს ორგანიზაციისადმი, რომელიც იბეჭდება „კომუნისტი"-ს დღევანდელ ნომერში.

შემდეგ პლენუმმა ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმების გაერთიანებული წინადადებით გამორიცხა ცეკას პრეზიდიუმიდან ამხ. მიშა ოკუჯავა, ცეკას წევრობიდან ამხ. დ. ლორთქიფანიძე და ცეკას კანდიდატობიდან ამხ. ბენო კალანდაძე. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შემადგენლობიდან გარიცხულ იქნა ამხ. ნიკ. ოკუჯავა.

ცეკას პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ამხ. ვანო ბოლქვაძე.

მეთუთხმეტე პარტკონფერენციაზე დელეგატათ გადამწყვეტი ხმის უფლებით გაიგზავნა ამხ. ფ. მახარაძე. სათათბირო ხმით ამხ. ელიავა, ლ. ღოღობერიძე, გ. სტურუა, (აფხაზეთი) აკირტავა (აჭარისტანი) და აბაევი (ს. ოსეთი).

სისხლის მღვრელი შეტაკება გაფიცულ მემაღაროებსა და პოლიციას შორის

შეერთებულ შტატებში ძლიერდება მოძრაობა საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ

ამერიკის და იაპონიის პროტესტი კანტონში შემოღებულ ახალი საბაჟო გადასახადების წინააღმდეგ

პრუსიის ლანდტაგმა მიიღო კანონი ჰოგენცოლერნებისათვის ჩამორთმეული ქონების ანაზღაურების შესახებ

გაფიცვა ინგლისში

მემაღაროეთა აღმასკომის სამოქმედო პროგრამა

ლონდონი, 16 ოქტომბ. მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა დასახა სამოქმედო გეგმა საოლქო ორგანიზაციების მიერ ბრძოლის გაძლიერების შესახებ მიღებულ რეზოლიუციების განსახორციელებლად.

აღმასკომმა დაადგინა გადიტანოს მთელი თავისი მოღვაწეობა ლონდონიდან ქვანახშირის რაიონებში — პირველ რიგში ცენტრალურ ინგლისში.

მაღაროების მცველ მუშების მოხსნის შესახებ არავითარი ინსტრუქციები არაა გაგზავნილი ადგილებზე, მაგრამ აღმასკომი შეუთანხმდა მუშათა ამ კატეგორიის ეროვნულ ფედერაციის საერთო თათბირის მოწყობის შესახებ იმ მიზნით, რომ ეთხოვოს ფედერაციას დახმარება. ქვანახშირის გადაზიდვის აკრძალვისა და წარმოებათა მუშებში მემაღაროეთა სასარგებლოთ ფულის შეგროვების შესახებ დაევალა კუკს გაუგზავნოს პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს წერილი წინადადებით მოიწვიოს სპეციალური სხდომა, რომელზედაც ფედერაციის აღმასკომი დასვამს ამ საკითხებს.

აღმასკომმა დაადგინა მიმართოს მოწოდებით ყველა სარაიონო ორგანიზაციებს დაიცვან ლოიალობა ფედერაციის მიმართ და შესწყვიტონ ქვანახშირის ამოღება ზედა ფენებიდან.

მომავალში პროპაგანდას ხელმძღვანელობას გაუწევს ერთი ცენტრი. ფედერაციის აღმასკომის ყველა წევრები, მემაღაროეთა ყველა წარმომადგენლები თემთა პალატაში და ფედერაციის ყველა თანამდებობის პირნი გამოყენებულნი იქნებიან იქ, სადაც ეს ყველაზე უფრო საჭიროა.

ჰერბერტ სმიტს ბრალს სდებენ ცილის წამებაში

ლონდონი, 16 ოქტომბ. სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარე ჰერბერტ სმიტი პასუხისგებაში მისცა სამუელ ინსტონმა, რომელმაც ცილისწამება დაინახა სმიტის მიერ ასკერნში წარმოთქმულ სიტყვაში.

მემაღაროეთა აღმასკომის პოლიტიკისათვის

ლონდონი, 16 ოქტომბ. დორგემის სამთამადნო მუშათა ასოციაციამ უარყო მაღაროების მეპატრონეთა წინადადება მოეწყოთ შეერთებული სხდომა სარაიონო შეთანხმების საკითხის განსახილველად და დაადგინა წინანდებურად მხარი დაუჭიროს ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის პოლიტიკას.

მემაღაროების შეტაკება პოლიციასთან

ლონდონი, 16 ოქტომბ. „დეილი მეილ"-ის ცნობით, ნორტ-ტალბოტის მახლობლათ, **700 მემაღაროე თავს დაესხა იმ მაღაროებს, სადაც პოლიციის მფარველობით 8 შტრეიკბრეხერი მუშაობდა. მემაღაროეებმა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს 150 პოლიციელს. 12 პოლიციელი სერიოზულად დაშავდა. მემაღაროებს შორის დაზიანდა 47 კაცი. შიშობენ, რომ ზოგიერთი სამუდამოდ დასახიჩრდა. თავდასხმის დროს მემაღაროეებმა ჩაამტვრიეს მაღაროების სამმართველოს შენობის ფანჯრები.**

მემაღაროეთა ფედერაციის პასუხი

მოსკოვი, 16 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა კავშირის ცეკამ მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციისაგან მიიღო ოფიციალური პასუხი ფედერაციაში შესვლისწინადადებაზე. მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაცია, საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა პროფკავშირის ფედერაციაში მიღების პირობად ასახელებს წითელი პროფინტერნიდან გასვლას. გარდა ამისა, ფედერაცია კატეგორიულად უარს აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა პროფკავშირთან ერთად მიღებულ იქმნას აგრეთვე სხვა ქვეყნების რევოლიუციონური პროფკავშირები.

მემაღაროეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა უარჰყო ფედერაციის მიერ წარმოდგენილი პირობა.

ძმური დახმარება ინგლისელ მემაღაროებს

კომინტერნის აღმასკომის მიმართვა ყველა ქვეყნის პროლეტარებს

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. კომინტერნის აღმასკომი თავის მიმართვაში ყველა ქვეყნის პროლეტარების მიმართ აღნიშნავს, რომ გიგანტური სოციალური კონფლიქტი ინგლისში ღებულობს ახალ და უფრო მწვავე ფორმებს. უფრო დიდ ყურადღებას, უფრო მეტ სოლიდარობის გამოჩენას მოითხოვს ყველა ქვეყნის მუშებისაგან ინგლისის სამთამადნო მუშათა გაფიცვა. დიდი ბრიტანეთის კომპარტია თავის მოწოდებაში მოითხოვს კონსერვატიული მთავრობის დამხობას, პარლამენტის გაშვებას, ფართო მასებზე დამყარებას, ნამდვილი მუშათა მთავრობის შედგენას პროლეტარიატის კონტროლის ქვეშ, მაღაროების ჩამორთმევას აუნაზღაურებლათ, მუშათა კონტროლის შემოღების და ემბარგოს შემოღებას.

ინგლისის კომპარტიისა და სამთამადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები გამოხატავენ ინგლისის პროლეტარიატის საარსებო ინტერესებით ნაკარნახევ მოთხოვნილებებს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული პრესის ბოროტი ჩხავილისა, წინააღმდეგ რეფორმისტების „პორაჟენცულ" პროპაგანდისა, ბრძოლა ინგლისში მაინც გრძელდება. ინგლისის მემაღაროეთ ჯერ კიდევ შეუძლიათ იქონიონ გამარჯვების იმედი, თუ მას დახმარების ხელს გაუწევდის ბრიტანეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატი.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს მუშათა კლასს შეასრულოს თავისი მოვალეობა.

საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა პროფორგანიზაციების მიმართ

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საკავშირო პროფსაბჭო, თავის მიმართვაში საბჭოთა კავშირის ყველა პროფორგანიზაციების მიმართ, ინგლისში სამთამადნო მუშათა გაფიცვის გაგრძელების გამო აღნიშნავს, რომ გაფიცვის დაწყების დღიდან 28 სექტემბრამდე გაფიცულ მემაღაროეთ დახმარების სახით მიუღიათ 1.261 326 გირვ. სტერლინგი, გაუციათ დახმარება 1.257.535 გირვ. სტერლ., რაც თვითეულ გაფიცულზე შეადგენს 32 შილინგს, ე. ი. 15 მან. და 10 კაპ. 1.261.326 გირვ. სტერლინგიდან საბჭოთა კავშირის მუშების დახმარება შეადგენს 832.000 გირვ. სტერლინგს, ან მთელი თანხის 66 პროცენტს. საჭიროა დახმარების გაძლიერება. საბჭოთა კავშირის მუშები და მათი მეგობრები ინგლისის მემაღაროების ერთგული უნდა დარჩენ ბოლომდე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამერიკა

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. ბამბის არაჩვეულებრივმა მოსავალმა მიმდინარე წელს ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიზისი გამოიწვია ბამბის ბაზარზე. ამერიკის პრესა ითვალისწინებს ამ კრიზისით შექმნილ მდგომარეობის მოსალოდნელ შედეგებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ამერიკის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე. ზოგიერთი გაზეთები ფიქრობენ, რომ **სამხრეთ შტატების სენატორები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას იმ მოსაზრებით, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი მეტი რაოდენობის ბამბას შეისყიდის შეერთებულ შტატებში, რაც ნაწილობრივ განტვირთავს ბამბის ბაზარს. ბამბის შესყიდვის დროს საბჭოთა კავშირს მწარმოებლები მისცემდენ სათანადო კრედიტს.**

ინგლისი

პრეტენზიები და კონტრ-პრეტენზიები

ლონდონი, 15 ოქტომბერი. ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტის მდივანი კოუტსი გამოვიდა, რუსეთზე კრედიტების მიმცემ ასოციაციის თავმჯდომარის ტვიდის საპასუხოდ. ტვიდმა ამ დღეებში რამდენჯერმე მოითხოვა ინგლის-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებათა გაწყვეტა. კოუტსი აღნიშნავს, რომ ტვიდი თავის მსჯელობაში სავსებით ივიწყებს საბჭოთა კავშირის კონტრ-პრეტენზიებს იმ ზარალის გამო, რომელიც მიაყენა საბჭოთა მოქალაქეებს ინტერვენციამ და ბლოკადამ. ეს თანხა—აცხადებს კოუტსი—უეჭველად აღემატება ასოციაციის საპრეტენზიო თანხებს.

ლიტვა

საგარანტიო ხელშეკრულება

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. თანახმად ლიტვის მთავრობის სურვილისა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ, საბჭოთა კავშირის მთავრობამ გაგზავნა რიგაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. არალოვი.

სავაჭრო ხელშეკრულება

მოსკოვი, 16 ოქტომბ. მოსკოვში საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ ჩამოვიდა ლიტვის ეკონომიური დელეგაცია, რომელსაც თავმჯდომარეობს გარეშე საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორი პურიცკისი.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საბჭოთა მთავრობამ ლიტვასთან სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო მოლაპარაკების საწარმოებლათ დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი **სტომონიაკოვი**, ხოლო დელეგაციის წევრებად: საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო-საუფლებო სამმართველოს უფროსი **კაუფმანი** და სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს საგარეო საქმეთა განყოფილების გამგე—**გურევიჩი.**

„შრომის" ფედერაციის კონგრესი

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს უარყოფით დამოკიდებულებას „საკომპანიო კავშირებთან", რომლებშიაც შედიან როგორც მწარმოებლების ისე მუშათა წარმომადგენლები.

ამასთანავე რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ კონფერენცია იწონებს მწარმოებლებთან იმ კავშირების თანამშრომლობას, რომლებიც შედიან შრომის ფედერაციაში.

(დეპეშების გაგრძელება იხილეთ მესამე გვერდზე)

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

კონფერენციის დახურვა

მარგეიტი, 16 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს დაიხურა მუშათა პარტიის კონფერენცია მარგეიტში, რომელმაც მიიღო ზოგიერთი წვრილი რეზოლიუცია, მათ რიცხვში რეზოლიუცია უმუშევართა დახმარების არსებული სისტემის შეცვლის შესახებ და, აგრეთვე, საპროტესტო რეზოლიუცია მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ულარიბესთათვის დახმარების დარგში და მთავრობის კომისარებით საზედამხედველო საბჭოების შეცვლის გამო.

კონფერენციამ, მაკდონალდის გამოსვლის შემდეგ, უარჰყო რეზოლიუცია, რომელიც მკიცხავდა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სავაჭრო რწმუნებების კანონის წინააღმდეგ ხმის მიცემისათვის.

ყველა დანარჩენი რეზოლიუცია, მათ რიცხვში რეზოლიუციაც საყოველთაო გაფიცვის შესახებ, განუხილველად გადეცა მუშათა პარტიის ახლად არჩეულ აღმასკომს.

აღმასკომის თავმჯდომარე—რობერტსი

მარგეიტი, 16 ოქტომბერი. მუშათ პარტიის აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია რობერტსი—თემთა პალატის წევრი და მბეჭდავთა კავშირის წარმომადგენელი. თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ჯორჯ ლენსბერი.

ამხ. პოლიტტი კონფერენციის შესახებ

მარგეიტი, 16 ოქტომბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მუშათა პარტიის კონფერენციის მუშაობის შესახებ პოლიტტმა განაცხადა:

„კონფერენციის ქვაკუთხედს წარმოადგენდა საკითხი მემაღაროეთა ბრძოლასთან და საყოველთაო გაფიცვის გაკვეთილებთან დამოკიდებულების შესახებ.

ვილიამსის სამარცხვინო სიტყვამ და მუშათა პარტიის აღმასკომის არა ნაკლებ სამარცხვინო რეზოლიუციამ, გამოიწვია დიდი ოპოზიცია, რომელმაც ახალი აღმასკომის არჩევნების დროს ვილიამსი გააშავა.

შემდეგ თავი მოიყარეს პარტიის აპარატის ყველა ძალებს, რათა ძირითადი საკითხი, საკითხი საყოველთაო გაფიცვის შესახებ, არ გამხდარიყო განხილვის საგნად; ეს გამოწვეული იყო არა მუშათა მოძრაობის განხეთქილების შიშით, არამედ იმით, რომ ყველაზე მძიმე პასუხისმგებლობა ლიდერებს აწევთ თავზე.

მარგეიტში, ისე როგორც ბორნემუთში, მემარცხენე ოპოზიციის გადამწყვეტმა გამოსვლამ გარკვეული დაღი დაასო კონფერენციას".

საერთაშორისო კოოპერ. ალიანსის სესია

ჰამბურგი, 15 ოქტომბერი. 13 ოქტომბერს ჰამბურგში გაიხსნა საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის აღმასკომის სესია. დიდ ყურადღებას იქცევდენ ის საკითხები, რომლებიც ეხებოდენ საბჭოთა კავშირის კოოპერაციას. საბჭოთა კოოპერაციის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების გამო, ვითომც ის პროპაგანდას აწარმოებდა უცხოეთის პრესის საშუალებით და სავლეთ ევროპის კოოპერატიულ ბიუროკრატიის წინააღმდეგ და პრესაში წერილებს ათავსებდა ალიანსის წინააღმდეგ. არავითარი გადაწყვეტილება არ ყოფილა გამოტანილი. საკითხი გადაეცა განსახილველად ალიანსის ცენტრ. კომიტეტს. საკითხმა საბჭოთა კავშირის ცალკე რესპუბლიკების კოოპერატიულ ორგანიზაციების უფლების შესახებ, რომ მათ წარმომადგენელი ჰყავდეთ ალიანსის ცენტრალურ კომიტეტში—ხანგრძლივი და გაცხარებული კამათი გამოიწვია. ამ საკითხის გადაწყვეტაც გადაეცა ალიანსის ცენ. კომიტეტს.

ორშაბათს, ოქტომბრის 18-ს საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრის შენობაში (ზუბალაშვილის სახელობის სახლში) მოწვეულია

თბილისის საბჭოს პლენუმი

დღის წესრიგი: 1. თბილისის აღმასკომის ბიუჯეტი. მასალების მიღება წინასწარ შეიძლება აღმასკომის კანცელარიაში (ოთახი № 210).
2. ზაჰესის ელდენის ტარიფის შესახებ.

საბჭოს წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა

ნ. 83

პრეზიდიუმი

საფრანგეთი და გერმანია

საფრანგეთ-გერმანიის ინტერესთა წინააღმდეგობა

ბერლინი, 15 ოქტ. მიუხედავათ იმ მოკლე ხნისა, რომელიც გავიდა შტრეზემანის და ბრიანის შეხვედრის შემდეგ ტუარში, გერმანიაში უკვე თანდათან გრძნობენ იმ იმედების განუხორციელებლობას, რომელთაც ზოგიერთი პოლიტიკური წრეები ამყარებენ საფრანგეთთან დაახლოვებაზე.

ამის გამო გერმანიის ნაციონალისტურ წრეებთან დაახლოვებული „დეიტშე ალგემაინე ცეიტუნგ" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარიზში ეჭვის თვალით უყურებენ საფრანგეთის და გერმანიის სერიოზულად დაახლოვების შესაძლებლობას, რაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ბრიანის და შტრეზემანის შეხვედრას ტუარში ერთა ლიგის უკანასკნელი სესიის დროს „ეს პოლიტიკა—სწერს გაზეთი—ამჟამად განიცდის საკმაოდ სერიოზულ კრიზისს, რომლიდანაც ძალიან ძნელი იქნება გამოსავლის პოვნა". თუ ვიმსჯელებთ იმ პოზიციის მიხედვით, რომელიც ამ უკანასკნელ დროს საფრანგეთის ოფიციოზურმა პრესამ დაიკავა, არ უნდა ველოდეთ იმას, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის მართლაც სერიოზული შეთანხმების მიღწევის სურვილს რაიმე პრაქტიკული შედეგები მოჰყვება. პარიზში სულ უფრო და უფრო გადაჭრით უარჰყოფენ რეინის პროვინციის განთავისუფლების მოთხოვნას, რაც საფუძვლად უნდა დაედვას ყოველგვარ შეთანხმებას. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში იმდენ შენიშვნებს უკეთებენ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას, რომ ბუნებრივად ისმება კითხვა—მოჰყვება თუ არა ამ მოლაპარაკებას რაიმე პრაქტიკული შედეგები გერმანიისათვის. გაზეთს ამ უკანასკნელ დროს შემჩნეულ გულგრილობის მიზეზად მიაჩნია იმის შიში, რომ ამერიკაში შეუძლებელი იქნება სესხის მიღება გერმანიის რკ. გზების ობლიგაციების გირაოს ქვეშ, რომლითაც გერმანიას სურდა გამოესყიდა ფრანგებისაგან ოკუპაცია ქმნილი ოლქები.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრში მომხდარ გარდატეხაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პუანკარეს გავლენა, რამდენადაც უკანასკნელი ამ ბოლო დროს ხშირად ილაშქრებს ბრიანის შერიგებითი პოლიტიკის წინააღმდეგ. პარიზის ზოგიერთი გაზეთები იმ დასკვნამდეც კი მიდიან, რომ მთელი ის პოლიტიკა, რომელიც ტუარში დაიწყო და რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდენ, მხოლოდ ეპიზოდს წარმოადგენს ევროპის უკანასკნელ წლების დიპლომატიაში.

„მანჩესტერ გარდიენ"-ის პარიზელი კორესპონდენტი მიდის იმავე დასკვნამდე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩემბერლენის უკანასკნელმა შეხვედრამ ბრიანთან გაჰფანტა ხმები ინგლის-იტალიის კოალიციის შექმნის შესახებ გერმანია-საფრანგეთის დაახლოვების წინააღმდეგ. კორესპონდენტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ბრიანისა და ჩემბერლენის შეხვედრის შემდეგ პარიზში გამოქვეყნებული ოფიციალური განცხადების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ თანამშრომლობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის რჩება უფრო მჭიდრო და უფრო გულწრფელი, ვინემ ოდესმე.

ჟუვენელის წერილი

პარიზი, 15 ოქტ. ანრი ჟუვენელი „მატენ"-ში სწერს: „საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება არ შეიძლება დაემყაროს რეინის ოლქის ევაკუაციის სამაგიეროდ ფულადი კომპენსაციის მიღებას და განიარაღების დაპირებას. საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვება რეალური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ეკონომიურ შეთანხმებას დასდებს პოლონეთთან, პირობას დასდებს, რომ არ შემოიერთებს ავსტრიას და შექმნის უშიშროების ისეთ გარანტიებს აღმოსავლეთში, რომელნიც არ ჩამორჩებიან გარანტიებს დასავლეთში. ნამდვილი საფრთხე ამჟამად რეინზე კი არ არის, ის მდგომარეობს იმაში, რომ არ არის უზრუნველყოფილი პოლონეთის უშიშროება და გამოურკვეველია ავსტრიის მდგომარეობა". დასასრულ ჟუვენელი მოუწოდებს ევროპის საბაჟო გაერთიანებისაკენ. „ჩვენ ან დავიღუპებით ცალ-ცალკე, ან გადავრჩებით ერთად".

საჩუქარი ჰოჰენცოლერნებს

მენშევიკების ჩუმი დასტურით

ბერლინი, 16 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„პრუსიის ლანდტაგმა, კომუნისტების მხრივ ობსტრუქციის გამართვის შემდეგ, რომელიც 4 საათს გაგრძელდა, საბოლოოდ მიიღო კანონპროექტი ჰოგენცოლერნებთან შეთანხმების შესახებ. კანონპროექტი მიღებულ იქნა 238 ხმის უმეტესობით 37 წინააღმდეგ; 63 თავი შეიკავა.

კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს თითქმის მხოლოდ კომუნისტებმა, სოციალ-დემოკრატების უმეტესობამ თავი შეიკავა. კენჭის ყრის შედეგების გამოქვეყნებას კომუნისტები წარმოუდგენელი ხმაურით და განგაშით შეხვდენ. ორატორის ტრიბუნის წინ კომუნისტებსა, ერთი მხრივ, და სახალხო პარტიის წევრებსა და ნაციონალისტებს შორის, მეორე მხრივ, გაიმართა ხელჩართული შეტაკება. თავმჯდომარემ დატოვა პრეზიდიუმის მაგიდა და ამ გზით შეწყვიტა სხდომა. ამით ისარგებლა ერთ-ერთმა კომუნისტ-დეპუტატმა და დაუსწრე ხალხის მიმართ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც სასტიკად დაჰგმო ჰოგენცოლერნებთან შეთანხმება. კომუნისტების ხმაურობის დროს სხდომა ისევ განახლდა. მრავალი კომუნისტი დაითხოვეს სხდომის დარბაზიდან.

დასასრულ სხდომამ უარჰყო კომუნისტების მიერ შემოტანილი რეზოლიუცია უნდობლობის შესახებ, რის შემდეგაც ის დაიხურა. ლანდტაგის სესია განახლდება 3 ნოემბერს".

კანონ-პროექტის მიღება პოლიციის დახმარებით

ბერლინი, 15 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს პრუსიის ლანდტაგმა მესამე წაკითხვის დროს მიიღო კანონ-პროექტი ჰოჰენცოლერნებთან შეთანხმების შესახებ. მესამე წაკითხვის დროს ლანდტაგის შენობას იცავდა პოლიციის გაძლიერებული რაზმი.

ლონდონი, 16 ოქტომბერი. როგორც „დეილი მეილ"-ის ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, პარასკევს მიღებული იყო ზომები, რომ დიდ მღელვარებას არ ჰქონოდა ადგილი იმ დროს, როცა ლანდტაგში კენჭს უყრიდენ კანონ-პროექტს ჰოგენცოლერნებთან კომპრომისის შესახებ. კომუნისტებს მუდმივ მღელვარებაში ჰყავდათ ლანდტაგი. მათ წარმოადგინეს 50-მდე შესწორება კანონ-პროექტში, რომლითაც ჰოჰენცოლერნები დებულობენ მეტ ნაწილს იმისას, რასაც ისინი პირველად მოითხოვდენ, მაგრამ გაცილებით ნაკლებს იმაზე, რასაც მათ აძლევდა პირველად პრუსიის სასამართლო. ლანდტაგის შენობასთან დიდძალი ხალხი იდგა რამოდენიმე საათის განმავლობაში.

ბრძოლა ჩინეთში

შეერთებული შტატები ახალი გადასახადების წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 15 ოქტომბერი. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა წინადადება მისცა ამერიკის ელჩს კანტონში გადასცეს კანტონის მთავრობას პროტესტი შემოსატან და გასატან საქონელზე ახალი გადასახადების დაწესების წინააღმდეგ. ამ პროტესტს იმით ასაბუთებენ, რომ ახალი გადასახადების შემოღება არღვევს არსებულ ხელშეკრულებებს.

სიკვდილით დასასჯელნი

პეკინი, 15 ოქტომბერი. პეკინის საზოგადოებრივ ორგანიზაციების ენერგიული კამპანიის წყალობით სიკვდილის განაჩენი 10 სტუდენტის მიმართ ჯერჯერობით არაა სისრულეში მოყვანილი. სტუდენტებს ბრალს სდებენ, რომ ისინი კომპარტიის და გომინდანის წევრები არიან. იმ მიმართვის შემდეგ, რომლითაც პეკინის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ჩან-სუე-ლიანს გაუგზავნეს პეკინში დაპატიმრებულ სტუდენტების მეტი ნაწილი გაანთავისუფლეს, მაგრამ 10 სტუდენტი, რომელთაც სიკვდილის განაჩენი აქვთ გამოტანილი, ჯერ კიდევ სატუსაღოში არიან.

იაპონია არ თანხმდება

ტოკიო, 15 ოქტომბერი. გაზეთი „ოსაკა მაინიჩი" აცხადებს, რომ იაპონიას მიუხედავათ მისი სიმპატიებისა ჩინეთისადმი არ შეუძლია დასთანხმდეს კანტონის პროექტს ახალი გადასახადების შემოღების შესახებ, ვინაიდან კანტონი ჯერ უცხოეთის სახელმწიფოების მიერ არ არის ცნობილი. კანტონის ყოფაქცევა აიძულებს სახელმწიფოებს განაახლონ საბაჟო კონფერენცია.

უჩანში სრული წესრიგია

პეკინი, 15 ოქტომბერი. უჩანიდან მიღებული ცნობით, ქალაქში აღდგენილია სრული წესრიგი. უ-პეი-ფუს რაზმები, რომლებიც უჩანის გარნიზონის შემადგენლობაში შედიოდენ, სავსებით განიარაღებული არიან; ახალი ხელისუფლება ჯარის კაცებს წინადადებას აძლევს ან შეუერთდენ კანტონის ჯარებს, ანდა დაბრუნდენ თავ თავიანთ სახლებში, ჯარის დიდი ნაწილი შეუერთდა კანტონის ჯარებს.

კანტონის მთავრობის ახალი გადასახადები

პეკინი, 15 ოქტომბერი. კანტონიდან მიღებული ცნობის თანახმად ადგილობრივმა საბაჟო ადმინისტრაციამ არ უპასუხა კანტონის მთავრობის წინადადებას ახალი გადასახადების აკრეფაში თანამშრომლობის შესახებ და უარი უთხრა აგრეთვე კანტონის გადასახადების აგენტებს საბაჟოს შენობაში ოთახის მიცემაზე. ამის გამო ახალი გადასახადების ამკრეფმა სამმართველომ დაიწყო მუშაობა ცალკე შენობაში. ცინდაოდან მიღებული ცნობით ანალოგიური გადასახადები შემოღებულია პროვინცია შანდუნში ჩან-ცუან-ჩანის განსაკუთრებული ბრძანებით.

ინგლისის საზღვაო ძალები

ლონდონი, 16 ოქტომბერი. ჰონ-კონგიდან მიღებული ცნობით, იქ ჩავიდა ინგლისელ ნაღმოსნების მესამე ფლოტილია.

რუს მენშევიკების მარცხი

ბერლინი, 15 ოქტომბერი. იმ გამარჯვებამ, რომელიც წილად ხვდა გერმანიის მეორე მუშათა დელეგაციის მოხსენებებს გადააჭარბა პირველი დელეგაციის მიღწევებს. იუწყებიან, რომ არის სოც.-დემოკ. პარტიის ცენ. კომიტეტის დირექტივა—იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელი გახდება ხელის შეშლა მოხსენებების მოწყობისათვის აუცილებლად მოეწყოს რომელიმე გამოჩენილი რუსი მენშევიკის თანამოხსენება. მიუხედავათ ამისა, **მენშევიკების პირველი გამოსვლა სოციალ-დემოკრატების დახურულ კრებაზე გერაში დამარცხებით გათავდა. მათ თანამოხსენებას სტვენით შეხვდენ.**

ჩექმისა და მათრახის რესპუბლიკაში

პოლონეთის სოციალისტურ პარტიის რაზმელის მოკვლის საიდუმლოება

ვარშავა, 15 ოქტომბ. ნელ-ნელა მჟღავნდება პეპესოველთა რაზმელების მოკვლის საიდუმლოება. გამორკვეულია, რომ ლიუბელსკი მოკლეს არა შურის ძიების ნიადაგზე პარტიის ღალატისათვის ან და კომუნისტებისადმი სიმპატიებისათვის. მკვლელობა არის შედეგი მებრძოლი ორგანიზაციის შინაური უთანხმოებისა.

პოლონეთის სოციალისტების პარტიაში შეძრწუნებული არიან იმით, რომ მომავალში შეიძლება მოხდეს შურისძიება.

დიუჰამელისა და შენევიეს დაბრუნება

ვარშავა, 15 ოქტომბ. 13 ოქტომბერს დემონსტრატიულად წავიდენ ვარშავიდან ფრანგი მწერლები დიუჰამელი და შენევიე, რომელნიც ვარშავაში ჩამოვიდენ, როგორც პოლიტიკურ პატიმართა დამხმარე კომიტეტის რწმუნებულნი. მწერლების დაბრუნება პროტესტის ნიშანი იყო იმ ტლანქი მიღებისა და ბოიკოტის წინააღმდეგ, რომელიც მათ გაუმართა პრესამ და პოლონეთს მწერლობამ. გამგზავრების წინ პოლონეთის მწერალთა მემარცხენე ჯგუფმა გადასცა დიუჰამელსა და შენევიეს წერილი, რომელშიაც გამოთქმულია მათი სოლიდარობა და ხაზგასმულია უარყოფითი დამოკიდებულება იმ წერილისადმი, რომელიც გადასცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ კადენ-ბანდროვსკიმ დიუჰამელს, ამ წერილში კადენ ბანდროვსკიმ უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ დიუჰამელსა და შენევიეს თავდაპირველად არ ქონებიათ არავითარი დამოკიდებულება პოლონეთის მწერალთა კავშირთან. „ფოლკსცაიტუნგის" თანამშრომელთან საუბრის დროს დიუჰამელმა განაცხადა: „მე გაოცებული ვარ იმ ურთიერთობით, რომელიც აქ არსებობს. მხოლოდ იმისათვის, რომ მე ხელი ჩამოვართვი კომუნისტ დეპუტატს, რომელიც სადგურზე შემხვდა—მე დამიწყეს ცქერა, როგორც კეთროვანს".

მორიგი მკვლელობა

ვარშავა, 16 ოქტომბ. 15 ოქტომბერს საღამოთი უცნობმა პირებმა მოჰკლეს მუშა კრიმსკი. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მკვლელობა მომხდარა პოლიტიკურ ნიადაგზე. კრიმსკის მკვლელობა—მუშის მოკვლის მეოთხე შემთხვევაა ამ კვირაში.

განგაშს სცემენ

ვარშავა, 16 ოქტომბ. „ეხო ვარშავსკ" იუწყება, რომ პოლონეთის სექტემბრის სავაჭრო ბალანსი 26 მილ. ნაკლებია, ვიდრე აგვისტოში.

ქვანახშირის მრეწველობასთან ახლო მდგომი გაზეთები განგაშს სცემენ და აცხადებენ, რომ ვაგონების ნაკლებობას შეუძლია დიდათ შეაფერხოს ქვანახშირის გაძლიერებული გატანა, რომელიც ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვამ გამოიწვია.

ავსტრიის მთავრობა გადადგა

პარიზი, 16 ოქტომბერი. როგორც ვენიდან იტყობინებიან, სახელმწიფო მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს, რომ მთავრობის წინადადება არ არის საკმაო მოლაპარაკების გაგრძელებისათვის. **მთავრობა გადადგა.** პარლამენტი მოწვეული იქნება 19 ოქტომბერს.

შვეგლას პროგრამა

პრაგა, 15 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს გაიხსნა პარლამენტის საშემოდგომო სესია. ახალი მთავრობის სახელით საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა ახალმა პრემიერმა შვეგლამ, რომელმაც განაცხადა, რომ ახალ მთავრობას განზრახვა აქვს მიჰყვეს ძველი მთავრობის პროგრამასა და მოქმედებას.

ღამის ცნობები

მემაღაროების შეტაკება პოლიციასთან

ლონდონი, 15 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს გლაინსიმერის მაღაროებში (სამხრეთ-უელსში) მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის, რომლის დროს დაიჭრა 47 კაცი, მათ შორის 12 პოლიციელი.

გამჟღავნებული ბელადები

ლონდონი, 15 ოქტომბერი. დღეს, კუკი გაემგზავრა დურგემში. ჟურნალისტებთან საუბარში კუკმა განაცხადა: „მე მემაღაროეთა უმრავლესობის აზრს გამოვსთქვამ თუ ვიტყვი, რომ რობერტ ვილიამსის და მაკდონალდის სიტყვებმა მარგეიტში დიდი აღშფოთება გამოიწვიეს მემაღაროებს შორის.

მემაღაროენი საკუთარი ბელადების შესახებ

ლონდონი, 16 ოქტომბერი. მემაღაროეთა აღმასკომის დღევანდელ სხდომას აუწყებს, რომ გატის კონფერენციის მიერ შედგენილი რეზოლიუციას, რომელიც მოითხოვდა მაღაროების ცველების მოხსნას, ტრედუნიონებში დახმარების შეგროვებას და სხვ., ხმა მისცა 460.150 მემაღაროემ, წინააღმდეგ—284.886 ხმისა, ნოტინგემშირში და ლეიჩესტერშირში რეზოლიუციისთვის, კენჭი ყრა არ მოხდება.

რკინისგზელთა და ტრანსპორტელების კავშირების ბელადები აცხადებენ, რომ არ შეუძლიათ დათანხმდენ უცხოეთის ქვა-ნახშირის შემოტანის აკრძალვაზე და ფულის შეგროვებაზე.

ასკვიტის გამოთხოვება

ლონდონი, 16 ოქტომბერი. გუშინ ლიბერალური პარტიის სხდომაზე გრინოკში ასკვიტმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა. მან მოუწოდა ლიბერალებს ერთგულად დაიცვან პარტიული მრწამსი, ერიდონ ყოველგვარ კომპრომისს. ასკვიტმა განაცხადა, რომ მას სწამს პარტიის მომავალი. შემდეგ წარმოთქმულ სიტყვებში ორატორებმა მადლობა გადაუხადეს ასკვიტს, როგორც პარტიის ბელადს. მის მიერ გაწეულ მუშაობისათვის.

პარიზის სასამართლო

პარიზი, 16 ოქტომბერი. სადულზე თავდასხმისა და რამდენიმე კომუნისტის დაჭრის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის მარტში მიტინგზე, პარიზის სასამართლომ მონარქისტულ ლიგის მებრძოლ ორგანიზაციის ორ წევრს მიუსაჯა ორი თვით პირობითი დაპატიმრება.

ბრიანი და ესპანეთის ელჩი

ბერლინი, 16 ოქტომბერი. ბრიანი ეთათბირა ესპანეთის ელჩს. თათბირის შემდეგ გაცხადდა, რომ კარგად მიმდინარეობს მოლაპარაკება ტანჟერის შესახებ და რომ მიღწეული იქნება შეთანხმება განსაკუთრებული კონფერენციის მოწვევის გარეშე.

ელექტრონის ქარიშხალი

ლონდონი, 16 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს ელექტრონის ძლიერმა ქარიშხალმა შესწყვიტა კაბელით ცნობების მიღება ამერიკასა და ინგლისს შორის. ამ ქარიშხალმა იმოქმედა მსოფლიოს სატელეგრაფო ხაზზე.

მუშათა საერთაშორისო კონფერენცია

მექსიკო, 16 ოქტომბერი. მთელ რიგ ქვეყნების ორგანიზაციების ხელმძღვანელთა არაოფიციალური საერთაშორისო კონფერენცია, მოწვეული მექსიკის შრომის ფედერაციის მიერ, დაიწყება მექსიკაში 21 ოქტომბერს.

კონფერენციაზე მიწვეული არიან: ბრაუნი, ედო ფიმენი, მერტენსი, პერსელი, ჟულავსკი და დიხანი.

კონფერენციას დაესწრებიან იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ავსტრიის, ჩინეთის, იაპონიის და ლათინური ამერიკის თითქმის ყვე-

ხოჯესის კარიერა

ბერლინი, 16 ოქტომბერი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ მუშათა წრეებში გავრცელდა ხმები ხოჯესის მოწვევის შესახებ ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროში საპასუხისმგებლო ადგილზე. ადგილობრივ წრეებში ცდილობენ ამ მოვლენით ახსნან ხოჯესის გააფთრებული შეტევა სამთამადნო მუშათა ფედერაციის წინააღმდეგ ხოჯესმა უზრუნველყო უკან დახევა, რადგან ის მოელოდა მოხსნას სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის მდივნის ადგილიდან.

უნგრეთის ახალი კაბინეტი

ვენა, 15 ოქტომბერი. უნგრეთის ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა ბეტლენს. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნული იქნება ვაჭრობის ყოფილი მინისტრი ვალკო.

მთავრობის კრიზისი ავსტრიაში

ვენა, 15 ოქტომბერი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო რამეკის მთავრობის გადადგომა. რამეკს დაევალა დროებით დარჩეს თავის თანამდებობაზე. იტყობინებიან, რომ ახალი მთავრობის შედგენას ალბად მიანდობენ ყოფილ კანცლერს სეიპელს.

სახელმწიფო მოსამსახურეთა საბჭომ დაადგინა გადასდოს გაფიცვა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

განხეთქილება ბულგარელ სოციალ-დემოკრატებს შორის

ვენა, 15 ოქტომბერი. ბულგარეთის სოციალ დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელიც სწარმოებდა 10-დან 12 ოქტომბრამდე, განხეთქილებით დამთავრდა. ოპოზიციის უმთავრეს მოთხოვნილებას შეადგენს პარტიის ზოგიერთ გამორიცხულ წევრების უკანვე მიღება. მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდა.

უ-პეი-ფუს ჯარების გახრწნა

პეკინი, 16 ოქტომბერი. გაზეთები აღნიშნავენ უ-პეი-ფუს ჯარების დაშლას პროვინცია ხენანში. ნაწილების უმეტესობამ ან დაკარგა ბრძოლის ყოველგვარი უნარიანობა, ან აღარ ემორჩილება უ-პეი-ფუს ბრძანებებს ან და ნეიტრალურია კანტონის ჯარების მიმართ. კანტონელების აშკარად თანამგრძნობი ნაწილები მათ მხარეზე გადადიან.

ჩვენებური ოპოზიცია

გამოსვლა მესამე, წასვლა უკანასკნელი

ოტხოდნი მარში

ნაზული და ყურ-მოკვეცილი,
შარჟი, მხოლოდ მეგობრული!
(გაგრძელება პირველისა)
...და კვირაშიც,
(ერთ კვირაში)
შინ, თუ კარში—
კრუგომ მარში.
წინ, მარში და უკან მარში!
მარჯვნით—მარში!
მარცხნით—მარში!
თითი—ძმარში!
დარ-ავდარში:
ქარში...
  წყალში...
   ბარში...
    მთაში...
ხოლოლაკში, ავლაბარში;
ავლაბრიდან—კუკიაში;
იქით, ლენინის უბანში!...
იმავ ხანში—აქეთ, განში:
დიდუბეში...
  ტყეში...
   ღრეში...
ავჭალას, მცხეთას და გორში;
ხაშურსა, თუ ბელაგორში;
ძირულაში, ყვირილაში,
ქიათურა—ზესტაფონში;
ქუთაისში, ონში, ხონში;
მარტვილს, სენაკსა და ფოთში...
სტოი!
  ტოკში!
   თოქში!
    ჩოქში!
რა საქმე გაქვს შენ ჩოლოქში?
ა პოტომ „ქში"
ნა ბათომში?!.
იქ შავი ზღვა ურტყამს ჯიხურს
და ვერ წახვალ, ძმაო, ჯიქურ!..
მარში ისევ:
—უკან ვიწევ!
მარში მარჯვნით,
ხხვისი ხარჯით!
მარში მარცხნით,—
წყალი ვარცლით:
თმას ვივარცხნით
და ვიწყობით
გუნდით, მწყობრით:
მიშა, ლადო,
პეტრე, კოტე...
ვობშჩემ ვზვოდე
ვსე ვპახოდე
ვ რიადე....
  ვ მოდე...
  სტემპომ-ვხოდე...
ვ „პერმანენტნომ" ხკოროხოდე!..
— ნუ, გდე ნიკო?
— ჩვენთან იყო!..
—ნუ გდე ბენო?
აჩუ ცხენო!
გაგაჰენო...
გამაჰენო...
ვოტ, მათრახი:
ნა ჩათახი!.. *)
ეს „ჩათლახი"...
ვოთ—ტე კრახი!..
ხათა, ბელა...
შველა! შველა!
— ერთად ყველამ
ვსთქვათ სიმღერა:
„რაშო-რე-რა...
  ეს არ კმარა...
  მივალთ ჩხუბში...
    ჩხუბში, მარა...

ახალ კლუბში...
   კლუბში მარა"...
ვინ? ჩინ!..
ძილ!.. წილ!..
ვინ წინ?
ცინ...
  ცინ...
ცინცაძე ბიქტორ!
—ა ბალში ხტო?
ნიხტო! ნიშტო!
ნეტუ ფიშტო?!.
ნუ, კაკ მოჟნო!
ასტაროჟნო... მოსახვევში!
ხელი-ხელში,
თვალი—ხევში:
ბეჟომ...
  ბეჟომ...
   გათიშვაზე!..
ნუ გამტკვლეცთ სიცილით შვაზე!..
ვოტ, ი ალექსანდრ ვაშაძე!
— ენტო ტოჟე?
ნეუ პახოჟე!!!
ა ტამ... ვნიზუ... ნა პასაჟე!
ვერმან... სიმონ ბილი დაჟე...
ნე პუსტილი!
ა ვხოდილი...
ი რუჟია, ვედ, ტოჟ რიადილი....
ბილი... ბილი..: ი... რაზბილი!..
— ჩტო რაზბილი?
თავი გრილი?!!!
ვი ტამ ბილი?
— კაკ ნე ბილი! კარტოფილი...
ოჩინ დაჟე კმაყოფილი!..
ბევრი, ბევრი ვკრიჭეთ კბილი...
მაგრამ...
  ახ, სრამ!
ჩტო ტამ „კუპჩ" ხახატალი,
ი მეშჩანსტვო „მახათ"-ალი
კაგდა სტიოკლა გრახატალი!..
ი ახალი...
  ი მახალი...
   ი პარხალი!..
ვხედავ, საქმე გლახათ არი!
ლეზუტ ლიუდი ნა კატარი!
მუშტ ვეელუდკი პაპადალი!
ი დავილი...
  ი კრიჩალი:
„ნაში ვზიალი!
  ნაში ვზიალი!"...
— ა კტო ვაში?
  ნივრით ხაში?!
ეტი, რაზვე ?!..
ბიჭო, კარი გადარაზე:
ნე პუსკაი! არ იქნება!
აქ ეს ხალხი რას იყრება?
— გარეთ არა, შიგნით—კრებათ!
გავიწყდებათ?!..
ბრავო! ბრავო!!!
ეს ვინ კნავა?
კტო?
  პაპავა?!!!
აპა—
  პა—
   პა—
    პა—
გადიტყლაპა!!!
დრომ ჩაყლაპა
ცხონებული ჩემი პაპა,
ანდუყაფარ!
თორემ... თორემ, უნდა გითხრა,
ონ ტაკოი ბრძოლის ვირთხა,
რომ მისთანა ვიდრა...
  გიდრა...
არ ნახულა!!!
მჟავე კიტრად
ღირდა მარტო მისი წვერი...
ერთი ღერი!!!
ულვაში კი...

პროსტო „შიკი"
ისე იყო გაბზეკილი...,
ერთი კილო
მასაც სჭირდა,
ენა მისი ისე სჭრიდა
როგორც კარგი მაკრატელი!
რა საქნელი?..
რა სათქმელი?..
ჩტო ხატელი!!!
ა რუბაშკი ნეტ ნა ტელე!!!
ინდუსტრია ისე სძულდა,
როგორც ხურდა!..
(მეტი სურდა!!!)
ზედ გულძვირად იყო მეტად:
დოზანათ და თვალში სვეტად
ებლანდოდა ქარხნის მილი!..
ა,ვედ, შამა!..
ა, ვედ ძილი!..
ვედ უდობსტვა ი პაკოი,
კატლეტი და სუპ, ჟარკოი,
რბილი კრესლო... ვსიო ტაკოე!
ავტომობილ—პაკატაი...
ტაი-ტაი... ტაი-ტაი...
ნა კიტაი!..
ვ დომე ჩაცმა ი დახურვა,
ჩტობ პაკრიტ ტამ ცოლის მოურვა,
ვედ ნელზია-ჟ ბეზ ოფლის წურვა!..
მაგრამ...
  ზზზურრრრნა!!!
მსგავსმა „ხურმა ,
რა იცის, თუ რა ხილია"?
მას მიეცით იდილია
ქალაქის, თუ აგარაკის,
ტრიბუნაზე ლაპარაკის,
თავზე—ქოკე!
  ტანზე—ხაკი!
ი პატაკი...
ი ვ ატაკი...
ა „ჩერდაკი", ვედ-ლატაკი!..
რაზ ონ ტაკი, ზნაც, ნიკაკიხ!
ვოტ ი ტაკ! ი
  ვოტ ი ტაკ! ი
   ვოტ ი ტაკ! ი
    ტაკ! ი
     ტაკი!..
  —აკი-მაკი, ლაპარაკი—
„ამხანაგი"—
პროსტო ვრაკი?!!!
მაშ, რის მარგი
არის აგი:
შრომის დარგი?
ბრძოლის დარგი?!.
ვილოლოთ და ვკონოთ ბარგი?!.
გვჭირდეს ხველა და ხუნაგი...
ჯაბანი და „ჯაბუნაგი"?!
ნო მირ ხეი, ვედ, ნე ბუნაგი,
ჩელოვეკ ნე სკოტ, მსუნაგი,
ი ალაგი, შრომის დარგი,
ნე ქილობი, ნი ფარდაგი,—
იზმორო ზედ, ვით ხვადაგი!..
პაკი... პაკი... შაკი... პაკი:..
აგარაკი... ლაპარაკი...
სად მივვიყვანს ბოლოს აგი?
ჟიზნ ნაშა, ვედ ნე „ზაკტაგი"—
კუჭი ჰკვებო დეპეშებით,
ქვა-ზრახვებით, ქვეშ-ქვეშებით,
გულიც—კეკელ—კეკეშკებით!..
სულ სიტკბო სვა ხელ-პეშვებით,
ხამ აკეთო არა რაი!
წამოწვე და ლაი-ლაი:
ეს ალპი, ის ჰიმალაი....
ტამ დალი, ზდეს—დამალაი!..
ი ვალი! ი ხამ ვალიაი!..
აქეთ—შაი!.. იქი—შაი!..
ა რაბოტ ნე პამალაი?!..

ო. ნინიძე.

---

1) ამხ. ბ. კალანდაძე ხელმძღვანელი იყო ჩათახის თუჯის ქარხნის ბედ-იღბალისა, მაგრამ ამ საქმიდან, ამხ. მ. კახიანის მოსწრებული შენიშვნის არ იყვეს, „ჩათლახიზაციის" მეტი არა გამოვიდა რა.

სხვადასხვა

„წითელი იაკუტის" ავარია

ტოკიო, 15 ოქტომბერი. „შიმბუნ რენგოს" სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის გემს „წითელი იაკუტიას", რომელიც ოხოტსკიდან ნიკოლაევსკზე გაელით ვლადივოსტოკში მიდიოდა. კუნძულ ხოკაიდოს მახლობლად მოუსწრო ტაიფუნმა და კინაღამ რა ჩაიძირა. 24 მგზავრი და გემის საკომანდო შემადგენლობა 14 კაცის რაოდენობით გადარჩენ.

პოლონეთის ესკადრილიის გაფრენა

ვარშავა, 15 ოქტომბერი. პოლონეთის საჰაერო ძალების უფროსი რაევსკი 14 ოქტომბერს ესკადრილიით ვილნოში გაფრინდა მისი შემდეგი მარშრუტი არის რიგა - რეველ --ჰელსინგფორს-ვარშავა.

ავსტრიის კაბინეტის გადადგომა

ვენა, 16 ოქტომბერი. ავსტრიის მთავრობასა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს შორის გამართული მოლაპარაკება, რომელიც დიდი ხნით გაჭიანურდა, უნაყოფოდ დამთავრდა. შესდგა მთავრობის სხდომა, რომელზედაც პრემიერმა რამეკმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება უნაყოფოა, ვინაიდან საბიუჯეტო სამსახურეთა მოთხოვნილებები. ნას დააკმაყოფილოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მოთხოვნილებები. მთავრობამ დაადგინა გადადგეს.

ახალი საფოსტო მარკები

ბერლინი, 15 ოქტომბერი. გერმანიის ახალ საფოსტო მარკებზე იქნება სურათები გერმანიის გამოჩენილი პირების. მათ შორის იქნებიან: გოეთე, შილლერი, ფრიდრიხ დიდი, კანტი, ლესინგი, ბახი, ლეიბნიცი, ბეთხოვენი და სხვები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მეცნიერთა დელეგაცია

ლენინგრადი, 16 ოქტომბერი. მეცნიერთა აკადემია ბერლინში გზავნის მეცნიერთა დელეგაციის იმ საზოგადოების სხდომაზე დასასწრებლად, რომელიც შეისწავლის პოლიარულ ქვეყნებსა და გამოკვლევას აწარმოებს მუდმივი ტრანსარკტიული საჰაერო გზის გამოსაძებნად. დელეგაციაში შევლენ ჩრდილოეთის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი—სამოილოვიჩი, გეოლოგი—გორბუნოვი, გეოფიზიკოსი—შესტაკოვი და სხვა სპეციალობის მეცნიერები, სულ 10 კაცი.

საქონლის მიწოდების პერსპექტივები

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა შრომისა და თავდაცვის საბჭოში წარადგინა მოხსენება საქონლის მიწოდების პერსპექტივების შესახებ 1926-27 წელში. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სოფლის სყიდვითი ფონდი, რომელიც აღრიცხული იყო 4.298.000.000 მან. რაოდენობით, წარსულ წელთან შედარებით გვიჩვენებს ზრდას 10%-ით. ქალაქის სყიდვითი ფონდი განისაზღვრება 3.520.000.000 მან., რაიც აგრეთვე იძლევა მომატებას 10%-ით. სამრეწველო საქონლის მიწოდების რაოდენობა 1926-27 წლისათვის შეადგენს 7.434.000.000 მან., წინააღმდეგ 1925-26 წლის 6.866.000.000 მან., რაც შეადგენს მომატებას 8—9%-ით.

შეღავათები სესხზე ხელის მოწერის დროს

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესი სესხისადმი უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა, ვიდრე იგი მოელოდა, დაადგინა, რომ პროფკავშირის წევრებს კიდევ მიეცეს დამატებითი შეღავათები სესხზე კოლექტიურ ხელის მოწერის დროს: ანგარიშის გასწორება მოხდეს სამ ვადაში: 30 ოქტომბერს, 15 და 30 ნოემბერს.

მაგარი სასმელების გაყიდვის შეზღუდვა

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საკავშირო ცაკის დადგენილება მაგარი სასმელებით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ. დადგენილების მიხედვით ქალაქებში და მუშათა სამოსახლო რაიონებში აკრძალულია ერთ ბოთლზე მეტი მაგარი სასმელის მიყიდვა თითო პირზე. აკრძალულია მაგარი სასმელების გაყიდვა არასრულ წლოვანებზე და იმ პირებზე, რომელნიც არ იმყოფებიან ფხიზელ მდგომარეობაში. საკავშირო რესპუბლიკების სახ. კომ. საბჭოებს ეძლევათ უფლება მთელ რიგ შემთხვევებში შეზღუდონ და აკრძალონ მაგარი სასმელების გაყიდვა ცალკე რაიონებსა და ადგილებში.

აღმოსავლეთ პრუსიის მრეწველთა დელეგაცია

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. 14 ოქტომბერს აღმოსავლეთ პრუსიის ვაჭარ-მრეწველთა დელეგაციამ დაათვალიერა ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია.

საღამოს გერმანიის საელჩოში შესდგა მიღება, რომელზედაც დაესწრენ დელეგაციის წევრები, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრები და სხვ.

15 ოქტომბერს აღმოსავლეთ პრუსიის ვაჭარ-მრეწველთა დელეგაციის ნაწილი უკანვე გაბრუნდა კენიგსბერგში.

ოპოზიციის წინააღმდეგ

ხარკოვი, 16 ოქტომბერი. უკრაინის სამხედრო ოლქის უმაღლეს პოლიტ-შემადგენლობის საოლქო თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გმობს ოპოზიციონური ბლოკის გამთიშავ მოქმედებას. თათბირი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ არც ერთი საარმიო პარტორგანიზაციას ერთი წუთითაც არ გამოუჩენია მერყეობა და ოპოზიციის ცდა შეჰრილიყო მათ წრეში უშედეგოთ რჩებოდა. თათბირი დარწმუნებულია, რომ საკავშირო პარტკონფერენცია, რომელიც განაგრძობს მე-14 პარტყრილობის ხაზს, მიიღებს გადაწყვეტილებათ, რომელნიც მიმართული იქნება სოციალიზმის წარმატებით განხორციელებისაკენ ჩვენს ქვეყანაში.

რეზოლიუცია თათბირმა მიიღო ერთ ხმად.

კომკავშირი ფლოტში

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. კომკავშირის ფლოტზე შეფობის წლისთავთან დაკავშირებით, დეპეშათა სააგენტომ კიევიდან მიიღო საბჭოთა კავშირის საზღვაო ძალთა უფროსის ამხ. მუკლევიჩის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„ხომალდების პირადათ დათვალიერების დროს, მე დავრწმუნდი, რომ კომკავშირის მიერ ფლოტში წარმოებულ მუშაობას უაღრესათ დიდი მნიშვნელობა აქვს. კომკავშირის მონაწილეობის მიუღებლათ ფლოტი ვერ მიაღწევდა სამხედრო მომზადების იმ საფეხურს, რომელზედაც ის ეხლა სდგას. გაკეთებულია ბევრი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კომკავშირის ძირითად ამოცანათ მომავალში მე მიმაჩნია ფლოტის პოპულიარიზაცია მშრომელთა შორის, მონაწილეობის მიღება საზღვაო სასწავლებლების მუშაობაში და ხელის შეწყობა სამხედრო დისციპლინის შემდეგი განმტკიცების საქმეში, რომელსაც ფლოტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა".

სათბობი მრეწველობა

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საკონიუნქტურო თათბირი გაეცნო ქვანახშირის, ნავთის და ელექტრო-ტექნიკურ მრეწველობათა მუშაობის შედეგებს 1925-26 წლის განმავლობაში.

დონის რაიონში წლის განმავლობაში ამოღებული იქნა 909 მილ. ფუთი ქვანახშირი, წინააღმდეგ პროგრამაში დასახულ 913 მილ. ფუთისა. 1926-27 წლისათვის ამოღების გადიდება გახზრახულია 28%-ით. საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ნავთის მრეწველობის ტრესტებში საერთო ამონაღები აღწევს 8.148.000 ტონას, ანუ პროგრამის 120%-ს. გაზების დამუშავება შესრულებულ იქნა 120%-ის რაოდენობით. ომამდე არსებულ დონესთან შედარებით, გასული წლის ნამუშევარი საერთოდ შეადგენს 96,5%-ს. ელექტრო მრეწველობაში საწარმოო პროგრამა შესრულებულ იქნა 82%-ის რაოდენობით. პროგრამის მთლიანათ შესრულება არ მოხერხდა მასალების მიუწოდებლობის და კაპიტალურ მუშაობების შემცირების გამო.

ნავთის მრეწველობა

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. ნავთის მრეწველობის საბჭოს ცნობებით, 1925-26 წლის განმავლობაში სახელმწიფო საწარმოებში ამოღებულ იქნა ნავთი და გაზიდული სულ 8.348.000 ტონა, წარსულ წელში კი—7.077.000 ტონა, ე. ი. წელს 18 პროცენტით მეტია. 1913 წელთან შედარებით მიღწეული დონე შეადგენს 85 პროცენტს, ამასთანავე გროზნისა და ემბაში ნავთის ამოღებამ დიდად გადააჭარბა ომამდე არსებულ დონეს.

საწარმოო გეგმა შესრულებულია შემდეგ ნაირად: აზნეფტმა—98,4 პროც., გროზნეფტმა—106,6 პროც., ემბანეფტმა—84,7 პროც., რაიც აიხსნება იმით, რომ ემბას რაიონის ძირითადი ფენა გამოიფიტა; ამჟამად იგი შეცვლილ იქნება ახალი ფენით.

ამობურღვითი მუშაობანი სამ ტრესტში 1 ნახ.ჯერ აღემატება წარსულ წლის ნამუშევარს. მეურნეობის სხვადასხვა დარგების მოდერნიზაციის საშუალებით ტრესტებმა შესძლეს ნავთის უშუალოდ წარმოებაში ხარჯვის შემცირება—406.000 ტონიდან 393.000 ტონამდე, და გაზის გამოყენება მის ნაცვლად, რომლის ხარჯვამ 99.000 ტონიდან 154.000 ტონამდე მოიმატა. მიუხედავად ნავთის ამოღების ზრდისა, სათბობის ხარჯვა შემცირდა —937.000 ტონიდან 879.000 ტონამდე. ამგვარად, წარმოების მოდერნიზაციამ ნავთის მრეწველობას მისცა 58.000 ტონა ნავთის, ე. ი. 1,5 მილ. მან. მომჭირნეობა.

საგარეო ვაჭრობა ნავთით 1924—25 წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა. გასაღება შინაურ ბაზარზე გაიზარდა 17,5 პროცენტით. ფინანსების მიწოდება ნავთის მრეწველობისათვის წარმატებით მიმდინარეობდა. აზნეფტს მიეცა 130 მილ. მან. გროზნეფტს— 62 მილ. მან. და ემბანეფტს 12 მილ. მან.

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი

ჰამბურგში (გერმანია) გაიხსნა საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის (გაერთიანების) აღმასკომის სხდომები: ამას უშუალოდ მოჰყვება ალიანსის ცენტრალურ კომიტეტის სხდომები.

ალიანსის ცეკას პლენუმის დღის წესრიგიდან ჩვენთვის პირველ ყოვლისა მნიშვნელოვანია ალიანსის ცეკაში საბჭოთა კავშირის კოოპერაციის წარმომადგენლობის საკითხი. დასავლეთის კოოპერაციაში გაბატონებული რეფორმისტები და ბურჟუაზიული ელემენტები დიდი ხანია, რაც კბილებს ილესავენ საბჭოთა კოოპერაციის წინააღმდეგ. გერმანიის მომხმარებელ საზოგადოების ოფიციალური ორგანო იქამდეც კი მივიდა, რომ მოითხოვს ალიანსიდან ჩვენი კოოპერაციის გამორიცხვას. რა თქმა უნდა, ამ ზომის განხორციელებას მემარჯვენენი ვერ მოესწრებიან; ევროპის კოოპერატიული მასსები, რომელნიც ჩვენს კოოპერაციას თანაგრძნობით ეკიდებიან, ამას არ დაუშვებენ, თვით ალიანსის ხელმძღვანელთა ასე თუ ისე რადიკალურად განწყობილი ნაწილი მხარს არ უჭერს ასეთ მტრულ ნაბიჯს საბჭოთა კოოპერაციის მიმართ.

ალიანსის კონსერვატიული ფრთა დღეს უფრო „მცირე" მიზანს ისახავს: საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელთა რიცხვის შემცირებას ალიანსის ცეკაში. ამ ჟამად მასში ჩვენ გვაქვს 14 ადგილი (60-დან), რომლის დაყვანა უნდათ 7-დამდე. ჩვენი მტრები ასე მსჯელობენ: საბჭოთა კავშირი ერთი ქვეყანაა და ამიტომ მის კოოპერატიულ მოძრაობას ალიანსის ცეკაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ 7 ადგილი. ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ უდავო ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი დამოუკიდებელ სრულუფლებიან რესპუბლიკების გაერთიანებას წარმოადგენს და მასში შემავალ თვითეულ რესპუბლიკას, ამიტომ, თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს ალიანსის ხელმძღვანელ ორგანოში.

თუ ამ თვალსაზრისს საბჭოთა კოოპერაციის მოწინააღმდეგენი არ დაეთანხმებიან და ჩვენ ვერ შევსძლებთ დღევანდელ მდგომარეობის განმტკიცებას, ჩვენი წინადადება ასეთი იქნება: შემდეგისათვის ცეკაში წარმომადგენლობა განისაზღვრის კოოპერატიულ ორგანიზაციის წევრთა რიცხვის და საქონლის ტრიალის მომენტების გათვალისწინების ნიადაგზე. ამ შემთხვევაშიც ჩვენ არ წავაგებთ, პირიქით, ეხლანდელზე უფრო მეტი ადგილებიც უნდა მოგვეცეს ალიანსის ცეკაში: კოოპერაციის წევრთა რიცხვის მხრივ საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია, ხოლო საქონლის ტრიალის მხრივ მეორე ადგილი—ინგლისის შემდეგ.

რატომ სურთ რეფორმისტებს საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლების რიცხვის შემცირება ალიანსში? ამას ბევრი განმარტება არ ესაჭიროება. საბჭოთა კოოპერაცია უკვე დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობაში და ალიანსში ის პროლეტარულ-კლასობრივ ხაზს ატარებს, რეფორმისტებს, რომელნიც კოოპერაციაში განსაკუთრებით ადგანან ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზას, ეშინიათ თავის გავლენის დაკარგვისა, საბჭოთა კოოპერაციის გაძლიერების წყალობით. რის გამო ყოველნაირად ცდილობენ მისი ხვედრითი წონის შემცირებას ალიანსში. მაგრამ ამ საკითხში ისინი არა ერთხელ დამარცხებულან და ჩვენ ვფიქრობთ, ეხლაც ასეთივე ბედი ეწევათ; ამის საწინდარია დასავლეთის კოოპერატიულ მასსების რევოლიუციონურ შეგნების ზრდა, რაც ერთგვარ გამოხატულებას ალიანსის ხელმძღვანელ ორგანოშიც ჰპოულობს.

ალიანსის რეაქციონურ წრეების მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კოოპერაციისადმი სჩანს მისი ცეკას სესიის დღის წესრიგის მეორე მუხლიდანაც, რომელსაც „ალიანსზე თავდასხმა" ეწოდება. უკანასკნელ წლების განმავლობაში დასავლეთ-ევროპის პრესაში ხშირად წააწყდებით ალიანსის წინააღმდეგ მიმართულ წერილებს და მასალებს. ალიანსის სამდივნო აცხადებს, რომ ამ მხრივ სათანადო ცნობებს პრესას თითქო საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლები აწვდიდენ. უცნაური ბრალდებაა, მეტი რომ არ ვსთქვათ.. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ალიანსის ან დასავლეთის კოოპერატიულ ორგანიზაციების წინააღმდეგ პროპაგანდას უცხოეთის პრესაში საბჭოთა კოოპერაცია არ აწარმოებს და დასავლეთის კოოპერაციის საქმეებში ჩვენ არ ვერევით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოთა პრესაში არ გამოვაშკარავოთ ალიანსის ზოგიერთი დაუშვებელი, მშრომელ მასსებისათვის საზიანო მოქმედება თუ უმოქმედობა. ასეთი კრიტიკის უფლებას ჩვენ ვერავინ წაგვართმევს, ამას ალიანსის წესდებაც არ გვავალებს.

გარდა ამისა, ალიანსის ცეკას პლენუმის დღის წესრიგში დგას საერთაშორისო კოოპერატიულ პოლიტიკის საკითხი. ამ პოლიტიკის გამომუშავებას ვერაფერი ეშველა, ის გადააქვთ წლიდან-წლამდე, რომ საქმე მიაფუჩეჩონ და დასტოვონ დღევანდელ მდგომარეობა. ალიანსი ფორმალურად დგას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ნიადაგზე, ფაქტიურათ კი ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცებას ემსახურება. საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვენ, რომ მსოფლიო კოოპერატიულ მოძრაობამ უარყოს საეჭვო ხასიათის ნეიტრალიტ. და ის გადაიქცეს მუშათა მოძრაობის განუყრელ ნაწილად, მჭიდროდ დაუახლოვდეს მშრომელ მასსებს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს შრომასა და კაპიტალ შორის გაჩაღებულ ბრძოლაში. თავისი შემადგენლობით და დანიშნულებით კოოპერაცია მშრომელთა ორგანიზაციაა. კოოპერატიული ალიანსი აერთიანებს 50 მილიონ წევრს, თუ მათ ოჯახებს ჩავთვლით, 150 მილიონ წევრს. მათი 80-90 პროცენტი მუშათა კლასს და ღარიბ გლეხობას ეკუთვნის: რა დიდი როლის თამაში შეეძლო ასეთ მასიურ ორგანიზაციას ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ შეტევის წინააღმდეგ მუშათა კლასის დარაზმვის საქმეში, რომ ის კლასობრივ პრინციპს იზიარებდეს და პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის ნიადაგზე იდგეს! საბჭოთა კოოპერაცია ალიანსის ეხლანდელ სესიაზე ერთხელ კიდევ შეეცდება მსოფლიო კოოპერატიულ მოძრაობის დაკავშირებას მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლასთან და მის მუშაობის კლასობრივ კალაპოტში ჩაყენებას.

ამას უაღრესი მნიშვნელობა ექნება თვით კოოპერაციის ეკონომიური მუშაობის გაშლისათვის. სადაც რეაქცია მძვინვარებს, იქ კოოპერაცია განადგურებულია. ამასთან სხვადასხვა კაპიტალისტური ეკონომიური გაერთიანებანი თანდათან ავიწროებენ კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობის ასპარეზს და დევნიან მას წინედ დაკავებულ პოზიციებიდან. მსოფლიო კოოპერაციის ასეთი კრიზისის დაძლევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გახდება მუშათა კლასის განთავისუფლების იარაღად და ამით მშრომელ მასსებს ცხოვლად დააინტერესებს თავის ბედით.

ალიანსის კლასობრივ პოლიტიკის საკითხთან მჭიდროთაა დაკავშირებული გაფიცულ ინგლისელ მემაღაროებისათვის საერთაშორისო კოოპერატიულ დახმარების ორგანიზაციის საკითხი. ალიანსის ცეკას მაისის სესიაზე (ანტვერპენში) საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლებმა ამ მხრივ გარკვეული და გადაჭრილი წინადადება წარადგინეს. ეს წინადადება მაშინ უარყოფილ იქნა იმ მოსაზრებით, თითქო კოოპერაციამ ნეიტრალური პოზიცია უნდა დაიკავოს პოლიტიკურ ბრძოლაში. საბჭოთა კოოპერაციის ინიციატივით ეს საკითხი კვლავ დასმულია ჰამბურგის სესიაზე. ინგლისელი მემაღაროები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. ბურჟუაზია რეფორმისტულ ორგანიზაციების დახმარებით ცდილობს სიმშილით გასტეხოს ისინი. სასწრაფო და ფართე დახმარება აუცილებელია. კოოპერაცია, როგორც მშრომელთა ორგანიზაცია, ამ ამოცანას გვერდს ვერ აუვლის. და თუ ეხლაც ალიანსის ხელმძღვანელებმა უარი სთქვეს დახმარების მოწყობაზე და ამ მხრივ რეალური ზომების მიღებაზე, ეს ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ცხადყოფს მათ გამცემლობას.

როგორც ვხედავთ, ჰამბურგის სესიაზე მეტად საყურადღებო საკითხებია დასმული, რომელთა ასე თუ ისე გადაჭრაზე დამოკიდებულია მსოფლიო კოოპერატიულ განვითარების მომავალი. საბჭოთა კოოპერაცია მოიმოქმედებს ყველაფერს, რომ მსოფლიო კოოპერატიული მოძრაობა მუშათა კლასის ბრძოლის მასიურ ორგანიზაციად გადაიქცეს. ჯერჯერობით ამ მხრივ დიდი შედეგების მიღწევების იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რამდენადაც ალიანსში და ევროპის ცალკე კოოპერატიულ ორგანიზაციებში რეფორმისტები არიან მეტ წილად გაბატონებული. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ დასავლეთის მშრომელ მასსების გამემარცხენების პროცესი თანდათან თავის გავლენას კოოპერაციაზეც მოახდენს.

მიღწევა, რომელიც უნდა განვამტკიცოთ

(„პრავდას" მოწინავე)

ამჟამად ერთ-ერთ უმთავრეს ბაზარზე—პურის ბაზარზე სწარმოებს სახელმწიფო-კოოპერატიულ სექტორის მნიშვნელოვანი გაფართოება კერძო ვაჭრის ხარჯზე. კოოპერაცია ამ საქმეში უდიდეს როლს თამაშობს.

ამის შესახებ მჭერმეტყველად ლაპარაკობენ ციფრები. ახალი მოსავლის პურის დამზადების პირველ კვარტალში საერთო ჯამი სწრაფად გაიზარდა (13 მილ. ფუთი ივლისში, 46 მილ. ფ. აგვისტოში და 92 მილ. ფ. სექტემბერში) ამასთანავე გაიზარდა კოოპერატიული დამზადება 21%-დან წარსული წლის კამპანიის პირველ კვარტალში 42%-მდე მიმდინარე კამპანიაში. „ცენტროსოიუზმა" დაამზადა 15,5 მილ. ფუთი ნაცვლად სექტემბრისთვის განზრახულ 8,7 მილ. ფუთისა და თითქმის ამდენივე რაოდენობით გადააჭარბა წარსული წლის დამზადებას. „სელსკოსოიუზის" ახლად მოწყობილმა ორგანიზაციამ „ხლებოცენტრმა" გეგმით გათვალისწინებულ 5 მილ. ფუთის მაგიერ სექტემბერში დაამზადა 10 მილ. ფუთი. მოსკოვის მომხმარებელი კოოპერატივების საბჭომ 2,5 მილ. ფ. ნაცვლად დაამზადა 3 მილ. ფუთზე მეტი და სხ.

მომხმარებელ რაიონებისათვის პურის მიწოდების საქმეში კოოპერაციის წილი უდრის 35—39 პროც., რომლებიც ტარდება ეგრედწოდებულ საკონტროლო პუნქტებში, სადაც სწარმოებს რეგისტრაცია ტვირთებისა მათი გამგზავნელთა კატეგორიის კუთვნილებისა მებრ.

ამავე დროს კერძო კაპიტალის როლი პურის ვაჭრობაში ეცემა როგორც შედარებით, ისე აბსოლუტურად.

კერძო მოვაჭრეთა მიერ პურის დამზადების რაოდენობის შესახებ სწორი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მათი მონაწილეობა მომხმარებელ რაიონებისთვის პურის მიწოდების საქმეში, თუ რკინის გზის საკონტროლო პუნქტების ცნობებით ვიმსჯელებთ, დაეცა 1661 ვაგონიდან ივლისში 1406 ვაგონამდე აგვისტოში და 1013 ვაგონამდე სექტემბრის ორივე დეკადისთვის, ხოლო პროცენტულად 15-დან 11 და 8 პროცენტამდე. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პურის დამზადებაში კერძო ვაჭართა მონაწილეობის მოწესრიგებამ.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ კერძო კაპიტალი, სარგებლობს რა იმ გარემოებით, რომ საჭმლის ზეთის მოთხოვნილება არ კმაყოფილდება, პურის დამზადების საქმიდან გადადის საჭმლის ზეთის დამზადებაზე და ზე[illegible] აძლევს ზეთის გამომხდელ შინამრეწველებს. ამრიგად პურის დამზადებაში და განსაკუთრებით კი პურით ვაჭრობაში კერძო-კაპიტალის როლის შემცირება ფაქტია.

გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ კოოპერაციის მონაწილეობა ნედლი მასალისა და მესაქონლეობის პროდუქტების რეალიზაციაში ყოველწლობით იზრდება.

მიმდინარე წლის ნედლი მასალის დამზადება ჯერ კიდევ წინ არის, ბამბისა და მატყლის დამზადებაში კოოპერაციის მონაწილეობა საერთოდ უმნიშვნელოა.

მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში წარსული წლის შედეგებს და კოოპერაციის მიღწევებს პურის დამზადებაში, დარწმუნებით უნდა მოველოდეთ მის წარმატებას აგრეთვე ნედლი მასალისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეშიაც.

რით აიხსნება კოოპერაციის ეს უეჭველი წარმატება? ქვედა აპარატის შეუმჩნეველი, მაგრამ ფართო მუშაობით, რომელიც შეთანხმებული იყო ცეკას აპრილის და ივლისის პლენუმების დირექტივებთან და შრომისა და თავდაცვის საბჭოს და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სახელმძღვანელო დირექტივებთან. ეს არის პირდაპირი შედეგი კოოპერაციის ორგანიზაციული და ფინანსიური განმტკიცების,—იმის, რომ კოოპერაციას დაუთმეს დიდი სიდმის ნავთსაყუდელი, სადგურები და დასამზადებელი პუნქტები, ეს არის შედეგი ქვედა კოოპერატიული უჯრედების და მათი ცენტრების შეთანხმებული მუშაობისა და სხ. ყოველივე ამან უსათუოდ ხელი შეუწყო გლეხობის ნდობის გაძლიერებას კოოპერაციისადმი. გლეხობისათვის უფრო ხელსაყრელი გახდა, რომ მისი ნაწარმოები ხალდებოდეს კოოპერაციის და არა კერძო პირის ან სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციის საშუალებით. კოოპერაცია გლეხს, როგორც მომხმარებელს, უბრუნებს პურიდან მიღებულ მოგების ნაწილს სოფლისათვის საჭირო სამრეწველო საქონელში ფასების დაკლებით. როგორც მწარმოებელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უბრუნებს გლეხს მოგების ნაწილს ტრაქტორის ან სასოფლო მანქანის სახით, აგრონომიულ დახმარების, სანერგეს, თესლის სარჩევი სადგურის ან სხვა კოლექტიური წამოწყების სახით, რაც გლეხს სულ უფრო და უფრო მეტ ხარგებლობას აძლევს.

ამრიგად, წინააღმდეგ პესიმისტებისა, ჩვენ მივაღწიეთ სახელმწიფო-კოოპერატიულ სექტორის ახალ საერთო გაფართოებას მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე და ამასთანავე თვით კოოპერაციის შემდეგი ზრდის წინასწარ პირობას, მისი მნიშვნელობის გაძლიერება გლეხისთვის და მუშისთვის.

ფქვილის ფასების დაკლება, რომელიც მომხმარებელ ცენტრებში სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყო, არის კოოპერაციის ზრდის შედეგი.

მაგრამ თვითეული ჩვენი მიღწევა მაშინ იქნება ხანგრძლივი და ნაყოფიერი, თუ მას სათანადოთ განვამტკიცებთ. კოოპერაციის ეს სერიოზული მიღწევაც დროზედ უნდა განვამტკიცოთ. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს წარმატება მიღწეულია კოოპერაციის საბრუნავი თანხების გადიდებით და პურის ვაჭრობაში იმ საშუალებათა ნაწილობრივი გადასროლით, რომელიც დანიშნულია სამრეწველო საქონლის ბრუნვისათვის. შესაძლებელია შეცდომები კოოპერაციის მიერ დამზადებულ პურის საბოლოო კალკულაციის დროს, ვინაიდან პურის გატანა შორეულ პუნქტებიდან ხშირად ნთქავს იმ კომისიას, რომელსაც იღებენ ზევით მდგომი ორგანიზაციები. რა ზომებს უნდა მივმართოთ ამ მიმართულებით? პირველ ყოვლისა მაქსიმალურად უნდა დავაჩქაროთ პურის ჯერ კიდევ ერთობ ნელი ბრუნვა კოოპერაციის მილებში და მით რაც შეიძლება მალე გავანთავისუფლოთ დაბანდებული კაპიტალი. მეორე მხრით ყოველგვარ დაბრკოლების გარეშე შევამციროთ ზედნადები ხარჯები პურის დამზადების, გატანის და შემდეგ გაყიდვის დროს კოოპერატიული ქსელის, როგორც ქვედა, ისე ზევით მდგომ აპარატებში, რათა ამ გზით შევინახოთ მარაგი შორეულ პუნქტებიდან პურის გატანით გამოწვეულ ზედმეტ ხარჯების დასაფარავად და სხვ. შემდეგ საჭიროა, რომ კოოპერაციამ, განსაკუთრებით ქვედა აპარატმა მეტი ყურადღება მიაქციოს სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდებას მისაწვდომ ფასებში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოოპერატივმა ადგილზე უნდა აწარმოოს პირდაპირი გაცვლა სამრეწველო საქონლისა პურზე, როგორც ამას აქა-იქ ადგილი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ კოოპერაციამ მთლიანად უნდა მიაწოდოს სოფელს სამრეწველო საქონელი, ვინაიდან თვით გლეხის დიდი სურვილია სამრეწველო საქონელი მიიღოს კოოპერაციის და არა კერძო ვაჭრის საშუალებით, რადგან მას ასე უფრო იაფი უჯდება და მომავალში, კოოპერაციის მიერ ზედნადები ფასების შემცირების დროს, კიდევ უფრო იაფი დაუჯდება. ამ მიმართულებით გლეხმა უკვე შეიგნო კოოპერაციის მნიშვნელობა, მიაქვს მისთვის ბე და ავანსები და მოითხოვს საქონლით უზრუნველყოფას.

ჩვენი სამრეწველო და საკრედიტო ორგანოები უნდა დაეხმარონ კოოპერაციას, რათა მან განამტკიცოს მიღწევები პურისა და ნედლი მასალის ბაზრებზე, ვინაიდან ამას მოითხოვს მათი ინტერესებიც.

საჭიროა უახლოეს დროში დავეხმაროთ კოოპერაციას, რათა მან შესძლოს სოფლისთვის სამრეწველო საქონლის მეტი რაოდენობით მიწოდება, საჭიროა კოოპერაციისათვის კრედიტის გაძლიერება დასამზადებელ პურისა და ნედლი მასალის უზრუნველყოფით.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოების და აგრეთვე პროფკავშირების, პრესის და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის დახმარება კოოპერაციისათვის უზრუნველყოფილია.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 16 ოქტომბერი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აჭარისტანი

გზების გაწმენდა

ბათომი, 14 ოქტომბერი. დიდი წვიმების გამო ჩამოშვავებული ბათომ-ხულოს შარაგზა ამჟამად გაწმენდილია და შეკეთებული. ხულომდე მიმოსვლა აღდგენილია. შეკეთებულია აგრეთვე ყველა ის გზები რომლებიც დიდ გზატკეცილზე გამოდიან; ამ გზებზედაც წვიმების დროს 16 ადგილას ჩამოწვა პატარ-პატარა მეწყერი.

ჩაის მოსავალი

ბათომი, 14 ოქტომბერი. ჩაის მოსავალი წრეულს დამაკმაყოფილებელია. ჯერ ჯერობით სააქციონერო საზოგადოების „საქართველოს ჩაის“ მამულებიდან და ჩაქვის რაიონის გლეხების პლანტაციებიდან შეგროვებულია ერთი მილიონი გირვანქა ჩაის ფოთოლი. დაიწყეს პირველი მოკრეფილი ჩაის გაყიდვა. გაიგზავნა უკვე მოსკოვში ამ წლის მოსავლის ერთი ვაგონი.

პოლიტგანის სკოლები

ბათომი, 14 ოქტომბერი. მიმდინარე სამოსწავლო წელში პოლიტგანათლების სამმართველო აჭარის მაზრებში ხსნის 12 ახალ სკოლას.

ახალ-სენაკის საკრედიტო ამ-ბა

ახალ-სენაკი, 13 ოქტომბერი. ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობის რევიზიამ აღმოაჩინა გამგეობის მუშაობაში შემდეგი ნაკლი. 803 წევრიდან ამხანაგობაში მიღებულია 123 მოსამსახურე, რომელთაც არ აქვთ არავითარი კავშირი სასოფლო მეურნეობასთან, გამგეობა ეწეოდა სავაჭრო ოპერაციებსაც (ბორჯომის წყლის, ლუდის გაყიდვა და სხვა), რაიცა არ შედის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ფუნქციებში. შეუძენიათ საზარალო პირობებში 400 ფუთი თივა. მოთხოვნილება თივაზე არ ყოფილა და არც ამხანაგობის წევრებს განუცხადებიათ თანხმობა თივის შეძენაზე. ტრაქტორები ნაკლებად გამოუყენებიათ და ქირაც მაღალი ყოფილა: წევრებისათვის ქცევის დახვნა ჯდებოდა 4 მ. 75 კაპ. მისცეს ახალი ინსტრუქციები ყველა ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად.

წერილები

სომიწოური მიწათმოწყობა

(ს. სომიწო, რაჭა)

სოფელ სომიწოს თუმცა ძალიან ნათესაური კავშირი აქვს მიწათმოწყობასთან, მაგრამ თვით მიწათმოწყობის საქმე აქ ისე ცუდადაა, რომ უარეს ნულარ იტყვით. ან კი რატომ იქნებოდა კარგათ, როცა მთავრობის მიწათმოწყობას აქ უკვე დაასწრო ყოფილ აზნაურ იაშვილების მიერ ჩატარებულ მიწათმოწყობამ.

როგორიც იქნებოდა აზნაურული მიწათმოწყობა, ეს წინდაწინვე ადვილი წარმოსადგენია. ვსთქვათ მოუნდა ვასილ იაშვილს ფული, ტყე ხომ გვერდით აქვს მამა-პაპის წყალობილი, მიმტარიც ისე ეხვევა, როგორც თაფლს ბუზი კვირაკობისთვეში. ადგება და მიუჭრის ხაპაპასის ნაჭერივით ვასილ იაშვილი ერთ დესეტინა ტყეს მინა და ღალაკო ბენდიანიშვილებს.

არც პარმენ იაშვილი დაუგდებს ტოლს ვასილს. გვარიშვილობით ჩამორჩება ის ვასილს, თუ ვაჟკაცობით, ან პირის ვემოთი? ადგება და მიჰყიდის ორ ქცევა მიწას სპირიდონ და თეოფილე ბენდიანიშვილებს.

მაგრამ, ნუ თუ ვისმეს ჰგონია, რომ ლენტორ იაშვილი დააზრიყვებინებს სხვებს თავს? დედულ-მამული მასაც საკმაოზე მეტი აქვს. ფულის ყადრი ლენტორმა სხვაზე ნაკლებ არ იცის. რა ქნას, რომ ფულის შოვნა სხვანაირათ არ ეხერხება თუ არ დედულ-მამულის ხარჯზე? ოღონდ ამბერკი ჩოქვილაძე კარგად იყვეს, ოღონდ ამბერკის ჯიბეზე ფული ექნეს და ლენტორი მას მიწის მიყიდვაზე უარს როგორ ეტყვის? ადგება და მიუზომავს ორი დღის სახნავს.

იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ აზნაურული მიწათმოწყობა ამით თავდება ს. სომიწოში? სრულიადაც არა. იაშვილები არც ისე გადაშენებული ხალხია ამ კუთხეში, რომ ასე მალე ამოიწყვიტოს მათი გვარი. აი, მაგალითად, გრიშა სიმონისძე იაშვილი. მას მეტად გულკეთილი მეზობარი ჰყავს. ეს გახლავთ სოლომონ ბენდიანიშვილი. თვალში რომ ჩაუარდნენ ერთმანეთს, სიყვარულისგან ხელსაც არ ამოისვამენ. სამაგიეროთ თუ გრიშამ სოლომონს მიჰყიდა ერთი ქცევა ტყე და ამდენივე სახნავი მიწა, სოლომონი მაშინვე ამოისვამს ჯიბეში ხელს და შესაფერ ჯილდოს გატკაცუნებული ჩერვონცებით გადაუთვლის მას.

ამრიგათ იაშვილებმა უკვე ჩაატარეს სომიწოში მიწათმოწყობა. უმადური თემალმასკომი ზის და აზრათაც არ მოუვა, რომ ამ დაუფასებელ სამსახურისათვის იაშვილებს მადლობა მაინც გადაუხადოს. იქნებ მაზრის საადგილ-მამულო კოლეგიაში მოიძებნოს ვინმე მადლიანი ადამიანი, რომელიც სომიწოელ იაშვილებს შესაფერისად სცემს პატივს „მიწათმოწყობის“ ჩატარებისათვის.

მიწის მუშა.

საპირბოროტო საკითხი

(ს. რუისპირი, თელ. მ.)

ამ სოფლის წინაშე სდგას ერთი მეტად საპირბოროტო საკითხი. ამ საკითხის გამო ოცჯერ მაინც ექნებათ საერთო სოფლის ყრილობა მოწვეული და ოცი დადგენილება ექნებათ გამოტანილი, მაგრამ არ იქნა და ვერ ეღირსა სოფელი ამ საკითხის მოგვარებას. რუისპირს არა აქვს სასმელი წყალი.

სოფლის თავიდან შუა სოფელზე მომდინარეობს მდინარე, რომელიც ზამთრობით ხშირათ იყინება და მოსახლეობას უხდება ვერს ნახევარ გზის სავალზე წასვლა წყლისთვის; და ზაფხულობით კი მეტად მცირდება, რაც ცუდათ მოქმედობს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომაც ზაფხულობით ამ სოფელში თითქმის ყველა ოჯახში წევს მალარიით ავადმყოფი.

ამას, რა თქმა უნდა, გრძნობს თვით სოფელიც და ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ სოფელში წყარო ჰქონდეთ. მე თავს გავანებებ ძველ დადგენილებებს და გავახსენებ ადგილობრივ ხელისუფლებას მხოლოდ ამ სოფლის უკანასკნელ დადგენილებას. ამ უკანასკნელათ აგვისტოს თვის რიცხვებში მოწვეული იქნა, სასოფლო ყრილობა, რომელზედაც ესწრება სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. თანდილაშვილი. ყრილობა იყო მოწვეული სპეციალურათ წყლის შესახებ. ბევრი დროს დაკარგვა არ დასჭირდა, რადგან ყველა ერთსულოვნათ გაიძახოდა: „ოღონდ წყალი გვეღირსოს და თუ გინდ სახლსაც კი გავყიდი და გადავიხდით ვალსაო“.

ყრილობა პირველ ყოვლისა ირჩევს ფულის გამწერ კომისიას. შემდეგ ავალებს მაზრის წარმომადგენელს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა მისცენ სოფელს გრძელვადიანი სესხი. ამხ. თანდილაშვილმა წაიღო ოქმი და დაპირდა სოფელს, რომ ოქმის დამტკიცებისთანავე შეგვატყობინებ ყველაფერს თქვენს კომისიას და შეუდგებით მუშაობას. სოფელი ელის დაპირების შესრულებას.

გ. ხუციშვილი.

ფშავ-ხევსურთა სკოლა

(ს. თეთრი-წყლები, თელავ. მ.)

აქ არსებობს 4 წლიანი შრომის სკოლა, რომელიც ემსახურება ფშავ-ხევსურთა 13 სოფელს. ეს სოფლები გაფანტულია უღრან ტყეებში და გაშენებულნი მიუვალ ადგილებში. საურმე გზები სოფლებს შორის არ არის. არის მხოლოდ საცალფეხო ბილიკები. სოფლები დაშორებულია სკოლიდან 1—7 ვერსამდე.

ზამთარი აქ არაჩვეულებრივი იცის, ქარი თავისუფლად ზუზუნებს და ქარბუქი ყოველდღიური სტუმარია ამ კუთხის. ამის გამო არის ხოლმე შემთხვევები სოფლებს შორის მიმოსვლის შეწყვეტისა. გარეული ნადირები ხომ უშიშრათ დათარეშობენ და არავის ინდობენ.

აქ მცხოვრები ფშავ-ხევსურნი მისდევენ უმთავრესად მესაქონლეობას და ხვნა-თესვას მხოლოდ უბრალოდ ეჩვევიან. ბუნება იმდენად განსხვავდება კახეთთან შედარებით, რომ ზოგიერთ ადგაგს ყანები ჯერ მომკილი არ არის. კალოობა ჯერაც არ დაწყებულა. კუთხე მეტად ჩამორჩენილია. უნდა ითქვას, რომ ხევსურები გულმოდგინედ ეკიდებიან სწავლას. [illegible] მიუხედავათ მშობლები მაინც სიხარულით გზავნიან შვილებს სკოლაში. ბევრი მათგანი აპირებს კიდევ თავის შვილების ოთხწლედის დამთავრების შემდეგ ქალაქში გადაყვანას.

მაგრამ სამწუხაროდ მომავალ 1926—27 სასწავლო წელში მაზრის განინსპექციის განკარგულებით აქ უნდა იყოს მარტო 1 ჯგუფი, ასე რომ 2—3 და 4 ჯგუფები რჩება სკოლის გარეთ. საჭიროა აღინიშნოს, რომ სოფლებიდან 1 ჯგუფის ბავშვებს მშობლები ატანენ უფრო მოზრდილ მოწაფეებს, რადგანაც პატარა ბავშვებს არ ძალუძთ სკოლამდის მოსვლა. მასალებია მხედველობაში: ა) მანძილი, ბ) ნადირის საშიშროება და გ) ქარბუქი. თვითონ მშობლები ხომ მუდამ ვერ მოიყვანენ და ვერ დაუცდიან წასაყვანად? ამნაირად 1 ჯგუფის არსებობა მეტათ საეჭვოა.

ამ კუთხეს ახასიათებს თავისი განსაკუთრებული პირობები, მას ამ მხრივ უნდა ექცეოდეს მეტი ყურადღება და იგი გამონაკლისი უნდა იყოს მთელ მაზრაში. თუ მის პირობებს გაეწევა ანგარიში, მაშინ მიუღებელია აქ ჯგუფების სკოლის გარედ დატოვება. ყველგან რომ შეჩერდეს ჯგუფები, აქ კი ეს არ უნდა მოხდეს. ფშავ-ხევსურს საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ ოთხწლედი მაინც დაამთავრებინონ თავიანთ შვილებს თელავის მაზრის განინსპექციამ უნდა გაითვალისწინოს ეს და, რაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა დასტოვოს აქ ოთხივე ჯგუფი.

გ. ულუხანოვი.

მწყემსებიც კი შეიჩივიან.

(ველისციხე, სიღნაღის მაზრა).

ველისციხე—ახალგავაზის გზაზე იშვიათი დღე იქნება, რომ ვინმე არ გაიძარცვოს. თვით მწყემსებიც კი იმდენათ გათამამებულან ამ თავისუფალ მხარეში, რომ ისინიც ხშირად ეწევიან ამ „წმინდა“ ხელობას.

ამას წინად ახალი დაბინდებისას, გაიგეს რა ქალაქიდან მებორნის გამოძახილზე, რომ მგზავრები მოდიოდნენ, ყაჩაღები ჩავსაფრებია ბორნიდან 100 საჟენის მანძილზე. წაგვართვეს რაც რომ გვქონდა, ტანისამოსის გარდა, და მადლობაც მოგვახდევინეს, რომ ცოცხალს გაგვიშვეს.

ველისციხეში მისვლისას მათხოვრებივით ჩამოვითხოვეთ თბილისში სამგზავრო ფული უცნობ ხალხში. ასეთი მგზავრები ჩვენ ერთი ვეყავით და ჩვენსთანა წილი ბევრს ხვედრია.

რა დაუჯდება გურჯაანის მილიციას, რომ ველისციხის ბორანთან სადარაჯო დაარსოს და ხალხი იხსნას უბედურებისაგან?

გიორგაძე.

საქმე გამოკეთდა.

(ფოცხოს თემი, სენ. მაზრა).

ფოცხოს თემის გლეხკომი თავის დაარსების პირველ ხანებში სათანადო სახსრების უქონლობის გამო მოისუსტებდა, მაგრამ მუშაობა თანდათან გამოცოცხლდა. პირველად გლეხკომის მთელ შემოსავალს წარმოადგენდა შემოტანილი საწყერო გადასახადი, რომელიც ხმარდებოდა ქვრივ-ობლებს.

გასული წლის აგვისტოს გლეხკომმა თავის ფონდში ქონებული სიმინდი გასცა ქვრივ-ობლებზე და დარჩა მხოლოდ 8 მან. ამავე დროს გლეხკომის გამგეობამ განიზრახა გაეხსნა რაიმე საშემოსავლო საწარმოვო და გახსნილ იქნა ფურნე. ფურნეს გასაკეთებლად საჭირო თანხა ზოგი ისესხეს და ზოგიც სხვა გზით შეაგროვეს.

ფურნეს გახსნასთან ერთად გახსნილ იქნა სასადილო, რომლებმაც დაიწყეს მოძრაობა და მოგვეცეს დღემდე 519 მან. წმინდა მოგება, ხოლო ამჟამად ჩვენს გლეხკომს მოეპოვება, გარდა ამ თანხისა, კიდევ ხუთას მანეთად ღირებული ინვენტარი. ამნაირად გლეხკომის გამგეობამ, რომელსაც მოეპოვებოდა გასულ წლის აგვისტოში მხოლოდ 8 მანეთი, მოგვცა დღემდე 1111 მან. მოგება.

ეხლახან სახალხო კრებაზე გადარჩეულ იქნა ძველი გლეხკომის გამგეობა მადლობის გამოცხადებით.

ვნახოთ, რას მოგვცემს ახალი გამგეობა.

ალ. მოხაშვილი.

რკინის ხარი ჩვენცა გვყავს.

(თიანეთი, თბილ. მაზრა).

თიანეთში შეძენილია ტრაქტორი საკრედიტო ამხანაგობის მიერ. მანქანამ სავსებით გაამართლა იმედები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ტრაქტორი თიანეთის რაიონს არ ჰყოფნის. კარგი იქნება გლეხკომი იშუამდგომლებდეს, სადაც ჯერ არს და შეიძინდეს მეორე ტრაქტორსაც.

გარდა ამისა, ნაყიდია თიანეთის რაიონისათვის ლოკომობილი თბილისის კომუნალური განყოფილების მიერ 7.300 მანეთად. მანქანა 45—50 ცხენის ძალიანია.

ლოკომობილი დაატრიალებს ხერხის ორ მანქანას. ტყის მისაწოდებლად აღმასკომს აქვს შეკვეთა მოიჯარადრეებთან. ხერხს არ მოაკლდება სახერხი მასალა; ამასთან ერთად ლოკომობილი დაატრიალებს წისქვილის ქვებს. ამავე დროს მოეწყობა ელექტრონის განათება თვით თიანეთში და მის ახლო მდებარე სოფლებში რვა ვერსის მანძილზე.

ყოველივე ამასთან უნდა აღინიშნოს ნაკლი რაიონის აღმშენებლობითი მუშაობაში: მუნიციპალიზაციაქმნილი შენობები დანგრევის პირად არიან. შენობებს სჭირდებათ კაპიტალური რემონტი, მაგრამ რაიაღმასკომს სამისო თანხა არ მოეპოვება.

კარგი იქნება თბილისის აღმასკომი აიღებდეს თავის თავზე ამ საქმეს და დანგრევას გადაარჩენდეს აღნიშნულ სახლებს.

იუსტინეშვილი.

სამაგალითო კოოპერატივები

(სოფ. ქვედა და ზედა სიმონეთი)

ცხრა თვის წინეთ სოფელ ზედა და ქვედა სიმონეთის კოოპერატივებში საქმე ვერ იყო კარგად დაყენებული. ამის მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ კოოპერატივებს არ ჰყავდა რიგიანი ხელმძღვანელები. საქონელი თავის დროზე არ მოსდიოდა და ადგილობრივი მოსახლეობა კერძო ჩარჩებს უვარდებოდა ხელში.

ამას გარდა, ქვედა სიმონეთის კოოპერატივში ამ წლინახევრის წინეთ გაფლანგვა მოხდა. გაფლანგული იყო დაახლოებით 899 მან. ამ გარემოებამ მეტად ცუდი გავლენა იქონია ქვედა სიმონეთის კოოპერატივზე.

ამ 9—10 თვის წინეთ ზედა და ქვედა სიმონეთის მოსახლეობამ მოილაპარაკა თავიანთი არჩეულ პირების საშუალებით და გადასწყვიტეს აერჩიათ ერთი პირი, რომელიც ამ ორ კოოპერატივს უხელმძღვანელებდა, ქალაქში წავიდოდა და საქონელს მიაწვდიდა. აირჩიეს ზედა სიმონეთში მცხოვრები პანტელი აბესაძე. მას დაევალა ორივე კოოპერატივის საქონლით მომარაგება.

ახალი ხელმძღვანელი გულმოდგინეთ შეუდგა საქმეს: მოიტანა საქონელი და თუ ადგილობრივი მცხოვრებლები დღევანდლამდე ჩარჩების ხელში ვარდებოდნენ, დღეს უკვე კოოპერატივში ყიდულობენ ყოველგვარ საქონელს. ფასები თითქმის იმდენივეა, რაც არის ქალაქში არსებულ კოოპერატივებში. (სულ მცირე განსხვავებაა).

ამით კოოპერაციის მნიშვნელობაც გაიზარდა ადგილობრივ მცხოვრებთა თვალში და სარგებლობაც მოუტანა მათ.

თუ ამ ცხრა თვის წინეთ კოოპერატივებს მოგების მაგიერ (ნამეტურ ქვედა სიმონეთის კოოპერატივს) ზარალი ჰქონდა, და ხანდახან ძლივს ასწორებდა თავის ვალებს, დღეს სულ სხვანაირად შეტრიალდა საქმე: კოოპერატივებმა მოიგეს საგრძნობი თანხა.

ამ ორი კვირის წინეთ ვნახე ამ კოოპერატივების ბალანსი. მათ ცხრა თვის განმავლობაში მოუგიათ 2.474 მან. ეს მაინცდამაინც ძალიან დიდი თანხა არ არის, მაგრამ სოფლის კოოპერატივში და ისიც ამ კრიზისის შემდეგ, რაც ამ კოოპერატივებმა გადაიტანეს, მე მგონია, დიდ თანხად უნდა ჩაითვალოს.

ამჟამად ეს თანხა შეგროვილი აქვთ და უნდათ გამოიყენონ კოოპერატივების გასაფართოებლად და ნაწილი მოახმარონ კულტურულ განმანათლებელ მუშაობას.

ზედა-სიმონეთის მოსახლეობა დიდ აღმშენებლობითი საქმეში ჩაება: იგი აშენებს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს და ზემოხსენებულ მოგებული ფულის ნაწილი ამ სასწავლებელს მოხმარდება. ამგვარი დახმარება კი შემსუბუქებს ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ აღებულ მძიმე საქმეს და გლეხობაში კოოპერატივის პრესტიჟს მაღლა ასწევს.

მგზავრი.

უცხოელი ახალგაზრდა მუშები თბილისში

ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია

გუშინ, დილის 10 საათზე, ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია მთელი შემადგენლობით და ადგილობრივი ამხანაგების თანხლებით გაემგზავრა ასურეთში გერმანელთა კოლონიის დასათვალიერებლად.

პირველად დელეგატები ესტუმრენ აღმასკომს, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ აღმასკომის თავმჯდომარესთან კოლონიის საერთო მდგომარეობის შესახებ; შემდეგ დაათვალიერეს სკოლა, საექიმო პუნქტი და ზოგიერთი გლეხების მეურნეობანი.

გლეხთა მეურნეობის ჩამოვლის დროს დელეგატებს საუბარი ჰქონდათ გლეხებთან; საუბარი შეეხო უმთავრესად მიწის დამუშავების წესებს და მოსავლიანობას.

კოლონიის დათვალიერებით დელეგატები მეტად კმაყოფილი დარჩნენ.

დელეგაცია ასურეთში დარჩა საღამომდე.

თბილისში დაბრუნებისას ცოტა ხნის შესვენების შემდეგ დელეგატები ესტუმრენ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, სადაც გაიმართა საუბარი სტუმრებსა და კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოების წევრებს შორის.

ცეკადან დელეგატები გაემგზავრენ ტრამვაის პარკში, სადაც გაიმართა კომკავშირის რაიონული კომიტეტის პლენუმი.

გერმანელ ახალგაზრდა მუშების ექსკურსია

გუშინ გერმანელ ახალგაზრდა მუშების ექსკურსიამ მთელი შემადგენლობით და ადგილობრივ ამხანაგების თანხლებით გაემგზავრა ზემოავჭალის და ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად.

ექსკურსანტებმა დაათვალიერეს მთავარი საგუბარი, არხი, გენერატორული სადგური და სხვა სამუშაოები; ექსკურსანტებს ახსნა-განმარტებას აძლევდენ სამუშაოების ხელმძღვანელები.

გერმანელი სტუმრები ესაუბრა აგრეთვე მუშებს; გამოკითხეს, როგორია მათი მუშაობის პირობები, რამდენს იღებენ და სხვა. თავის მხრივ ჩვენი მუშები ეკითხებოდენ სტუმრებს, თუ როგორ ცხოვრობენ გერმანელი მუშები, როგორია მათი მუშაობის პირობები და სხვა.

ზაჰესის დათვალიერებამ ექსკურსანტებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ექსკურსანტები აღნიშნავდენ, რომ ისინი გაკვირვებულნი არიან იმ შემოქმედებითი მუშაობით, რომელსაც აწარმოებს საქართველოს პროლეტარიატი.

— ჩვენ დავათვალიერეთ საბჭოთა კავშირის რამოდენიმე სამრეწველო ცენტრი და დავრწმუნდით, რომ ყველგან ასეთი გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს.

ექსკურსანტები განსაკუთრებით კმაყოფილნი დარჩენ, როდესაც გაიგეს, რომ ზაჰესი ამ ერთ თვეში დაიწყებს მუშაობას.

ზაჰესის გარდა, ექსკურსანტებმა დაათვალიერეს თბილისის სხვა წარმოებებიც.

ნასადილევს ექსკურსანტები დაესწრენ კომკავშირელთა კრებას.

საღამოს ექსკურსია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ბაქოში, საიდანაც ჩავა მოსკოვში.

„პტი პარიზიენ“-ის თანამშრომელი თბილისში

14 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა პარიზის გაზეთ „პტი პარიზენ“-ის თანამშრომელი ქალი—ანდრი ვიოლ.

ჩვენმა თანამშრომელმა ინახულა ქ-ნი ანდრი ვიოლი, რომელთანაც მას ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი. საუბარი ეხებოდა უმთავრესად ფრანგ ჟურნალისტების ცხოვრების პირობებს და მოსაუბრის მოგზაურობის მიზნებს. საუბარში პარიზელმა კოლეგამ განაცხადა:

— მე ვმსახურობ „პტი პარიზენის“ რედაქციაში მოგზაურ კორესპონდენტის თანამდებობაზე. რედაქციის დავალებით შემოვლილი მაქვს ყველა ქვეყნები გარდა ამერიკისა და საბჭოთა კავშირისა. საბჭოთა კავშირი კი უნდა გითხრათ, უკანასკნელათ, ძლიერ აინტერესებს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს. პარიზში მგონიათ, რომ აქ რაღაც უცნაური ხალხი უნდა სცხოვრობდეს. თითქოს აქ წამოსვლა ერთგვარი თავდადება იყოს და სხვა. უკვე რამოდენიმე თვეა მე საბჭოთა კავშირში ვარ და ვგზავნი ჩემს გაზეთს „სავზაო შთაბეჭდილებებს“, რაც სრულებით აქარწყლებს ზოგიერთების ასეთ წარმოდგენებს.

თბილისში ჩამოვედი მხოლოდ გუშინ და მოვასწარი ქალაქის ზერელე დათვალიერება. უნდა გითხრათ, რომ ასეთი ლამაზი ქალაქი და ასეთი ლამაზი ხალხი მე არსად მინახავს. ქუჩებიც ისეა თითქოს აგებული, რომ საერთო სილამაზეში დისხონანსათ არ შევიჭრათო.

— თქვენ მეკითხებით ჟურნალისტების ცხოვრებაზე. მოგახსენოთ არიან იქ ისეთი მუშაკები, რომლებიც ფართოდ სცხოვრობენ და არიან ისეთი ნიჭიერებიც, რომ უჭირთ. თვითონ ჩვენი გაზეთი ყველა გაზეთებზე უფრო გავრცელებულია. იბეჭდება 1½ მილიონიდან 2 მილიონამდე და მეტიც. საფრანგეთში ჩემი წამოსვლის ხანებში ქაღალდის დიდი კრიზისი იყო. ბევრ ფრანგულ რედაქციას უცხოეთიდან შემოაქვს ქაღალდი.

დღეს სხვათა შორის ვინახულე თქვენი მთავრობის თავმჯდომარე—შ. ელიავა. მან კარგად მიმიღო და აღმითქვა ყოველგვარი დახმარება საქართველოში სამოგზაუროთ, რასაც მე მოუნდები ალბათ ათი დღე. შემდეგ ვფიქრობ წავიდე ერევანში და იქიდან კი ბათომით—ევროპაში.

უწინარეს ყოვლისა მინდა დავათვალიერო ზაჰესი, რომელზედაც ასე ბევრი გვესმის „ლიუმანიტედან“ და შემდეგ მუზეუმში და ნაციონალური გალლერეა.

დღეს ვესტუმრე რედაქციას და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. თქვენს რედაქციებში ყოფილა ძალიან ამხანაგური დამოკიდებულება და შრომის შეხმატკბილება, რასაც ადგილი არა აქვს, სამწუხაროთ ჩვენში.

საკრედიტო კოოპერაციის ინსპექტორთა თათბირი

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოწვეული იყო ს. ს. საკრ. ამხ-ბათა ინსპექტორების თათბირი, რომელმაც განიხილა რამოდენიმე საჭირბოროტო საკითხი.

შექმნილ ფინანსიური კონიუნქტურის (კრედიტების მკაცრი შეკვეცა) და აღნიშნულ ამხანაგობათა მცირე დატვირთვის გამო, მათი რიცხვის გამრავლება თათბირმა ჯერჯერობით მიზანშეუწონლად სცნო.

თათბირის დასკვნით ბანკიდან სესხის გაცემათა ოპერაციებში უმთავრესი ადგილი დაეთმოს საკრედიტო ფუნქციებს და არა სამომხმარებლო და სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციებს.

თათბირის დასკვნით ბანკიდან სესხების გაცემის დროს აუცილებლივ მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში ამხ-ბის რაიონის ეკონომიური მოთხოვნილებანი და საჭიროებანი.

დროულად და აუცილებლად იქნა აღიარებული ამხ-თა გეგმიან მუშაობაზე გადასვლა ამიტომ ამხანაგობები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ საორიენტაციო, საფინანსო, საკრედიტო გეგმების შედგენას, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს რეალურ ფარგლებს.

ამხ-ბებში მომუშავეთა კვალიფიკაციის აწევის და მომზადების მიზნით ქ. ქ. თბილისში და ქუთაისში უნდა მოეწყოს 1927 წ. იანვრის შუა რიცხვებში მოანგარიშეთა 5 კვირიანი გადასამზადებელი კურსები.

ამ ორი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ ყოფილა მოწვეული ქვედა ქსელის წარმომადგენელთა ყრილობა. ამხ-თა მუშაობის გაცხოველების და მისი შეფასების მიზნით 1-ლი ასეთი ყრილობა თათბირის დადგენილებით მოწვეულ უნდა იქნას მიმდინარე წლის მესამე კვარტალის დასაწყისში.

ინსპექტორებს ევალებათ ამხ-ში მივლინების დროს, მთავარი ყურადღება მიაქციონ იქ მომუშავეთა ინსტრუქტაჟის და ადგილობრივი სარევიზიო კომისიების მუშაობის გაცხოველებას.

მმართველ და სარევიზიო ორგანოებში ინსპექტორები უნდა ეცადონ ადგილობრივ ორგანიზაციებთან კონტაქტის დაჭერით და წინასწარ შეთანხმებით არჩეულ იქნენ ღარიბ და საშუალო გლეხობის წარმომადგენლები. კანდიდატების წამოყენება უნდა ხდებოდეს პერსონალურად და თითო კანდიდატის დეტალური შეფასებით, იმის მხედველობაში მიღებით, თუ რამდენად არის ის აღჭურვილი პრაქტიკულ-თეორეტიულ ცოდნით და ავტორიტეტით.

ამხ-ბების მოქმედებაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მომჭირნეობის რეჟიმს. დაწეულ იქნეს მინიმუმამდე ყოველივე ზედ-ნადები ხარჯები. უნდა აეკრძალოს ამხ-ბებს რაიმე თანხების გაცემა საქველმოქმედო მიზნით. ბანკიდან სესხების მიღება შესძლებისამებრ უნდა ხდებოდეს ფოსტის საშუალებით ამხ-ბის წარმომადგენლის გამოუძახებლად; უნდა შემცირდეს გამგეობის წევრთა არა აუცილებელ მივლინებათა რიცხვი. გასამრჯელო გამგეობის წევრობისათვის უნდა მიეცეს მხოლოდ ერთ წევრს, დანარჩენები მიიღებენ ხელფასს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწევიან რაიმე ტეხნიკურ მუშაობას (როგორიცაა მოანგარიშეობა, მოლარეობა და სხვ).

ამხ-ბები ღარიბ გლეხთა წევრად ჩაწერის გასაადვილებლად და მათი კოოპერატიულად შეკავშირების მიზნით, თათბირმა აუცილებელ საჭიროებათ აღიარა, რათა ყველა ამხ-ბებმა წმინდა მოგებიდან 10 პრო.-მდე გადარიცხვით დაარსონ განსაკუთრებული ფონდი, რომ აქედან ღარიბ, მაგრამ მუყაითი და ბეჯითი გლეხობის მაგიერ ნაწილობრივ იქნეს შეტანილი საპაიო გადასახადი. თათბირმა სურვილი გამოსთქვა, რათა ამ წელშიაც გაგრძელდეს, როგორც გასულ წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაფერისი რაოდენობით თანხების გადადება ღარიბ-უსახსრო გლეხთა მეურნეობის საკრედიტოდ; გადიდდეს ცენტრიდან გრძელვადიანი სესხების გაცემა ღარიბ მაცადინ გლეხებზე, საჭირო სას.-სამ. ინვენტარის შესაძენად და გასაუმჯობესებლად, ვინაიდან ამ სახის სესხების გლეხთა ეს კატეგორია მწვავედ საჭიროებს.

საანაბრო ოპერაციების განსავითარებლად, რომლის შესახებ ბანკს უკვე მიღებული აქვს სათანადო ზომები, საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ ცენტრებიდან დაევალოს ყველა ადგილობრივ საზოგ. და სახელმწიფო ორგანიზაციებს დახმარება აღმოუჩინონ ბანკს ამ მხრივ საგიტაციო-საორგანიზაციო მუშაობის ჩატარებაში ადგილებზე.

ამხანაგობებში მივლინების დროს ინსპექტორთა მუშაობას ქვაკუთხედად უნდა ედვას წევრთა სოციალურ მდგომარეობის გამოკვლევა. გლეხთა სოციალურ მდგომარეობის საზომის—კრიტერიუმის გამოკვლევის დროს ინსპექტორებმა უნდა იხელმძღვანელონ ადგილობრივი საზოგადოების აზრით—კომპეტენტიური ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

ვადაგადაცილებულ სესხების ასაკრეფად უფრო რაციონალურ წესად მიჩნეულ იქნა ადმინისტრატიული წესი.

ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით თათბირმა დროულად და მიზანშეწონილად აღიარა, რათა ამხ-ბებში შემოღებულ იქნას მარტივი საბანკო-საკორესპონდენტო ოპერაციები. ამ ურთიერთობის ნიადაგზე ამხ-ბები უნდა შეეკრან ბანკს საამისო ხელშეკრულებებით.

დასასრულ წლიური ანგარიშების შედგენის გასაადვილებლად თათბირმა განიხილა და მიიღო ინსპექტორთა სახელმძღვანელოდ ბანკის ინსპექციის მიერ დეტალურად დამუშავებული ინსტრუქციები.

შ. შ.

ეპიდემიასთან ბრძოლა

მომავალი წლის განმავლობაში ეპიდემიებთან ბრძოლის მიზნით ჯანსახკომის მიერ გადადებულია 200 ათასი მანეთი.

აქედან 40.000 მანეთი დაიხარჯება მალარიასთან ბრძოლაზე, 25.000 მანეთი—ვენერიულ სნეულებებთან ბრძოლაზე, 25 ათასი მანეთი სანტგანათლებაზე, 4.000 მან. ფოთის ბაქტერიოლოგიურ სადგურზე, 12.000 მანეთი. პროვინციაში წამლეულობის დასარიგებლად, 5.000 მან. სტატისტიკურ სამუშაოებზე და დანარჩენი თანხა განაწილებულია სანიტარულ აგენტობის, საეპიდემიო რაზმების, დეზკამერების და სხვა.

სპეციალურ ეპიდემიებთან საბრძოლველ კომპანიის ჩასატარებლად გადადებულია 25.000 მანეთი.

„საქართველოს ჩაი“

საქციო საზ. „საქართველოს ჩაის“ გამგეობამ მოსკოვის „ჩაეუპრავლენიეს“ მიჰყიდა მიმდინარე წლის ჩაის მთელი მოსავალი ჩაის ფაბრიკებში გადამუშავებული გირვანქა—1 მან. 50 კ. ჩაის პირველი პარტია, 130.000 გირვ. უკვე გაუგზავნეს მოსკოვში „ჩაეუპრავლენიეს“. დანარჩენი პარტიების ჩაბარების ვადა—1927 წ. 1 იანვარია.

„საქართველოს ჩაის“ საზოგადოებაში აქციონერებად შევიდნენ: „ჩაეუპრავლენიე“—ნახევარი მილ. მან., რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი—200.000 მან., ცენტრ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი—100.000 მან., ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი—50.000 მან., აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი—20.000 მან., ამიერ-კავკასიის კოოპერაცია—20.000 მან.

ბამბის ნათესების დაავადება

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, ბამბის ნათესებს გაუჩნდა მავნებლები. ცნობები მიღებულია ყარიაზის რაიონიდან, სადაც მიწათმოქმედების კომისარიატმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი.

სენაკის მაზრიდანაც იუწყებიან, რომ მავნებლები გაჩნდა ამერიკულ ჯიშის („ტეტრანიუს ტელარიუს“), რომელმაც როგორც ირკვევა საგრძნობლად დააზარალა ამერიკული ჯიშის ბამბის ნათესები. მიწათმოქმედების კომისარიატი მებამბეობის კომიტეტთან ერთად იღებს შესაფერ ზომებს.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ჯიშის ბამბის ნათესები სრულებით არ დაზარალებულა.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშკორები „ზაჰესში“

10 ოქტომბერს ჩვენი გაზეთის „მუშათა ცხოვრების“ განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით მოეწყო „კომუნისტი“-ს მუშკორთა მასიური ექსკურსია „ზაჰესში“.

მუშკორები დილის 6½ საათიდან მოგროვდენ თბილისის სადგურზე.

დილის 7 საათზე და 5 წუთზე მატარებელი დაიძრა თბილისიდან.

მშვენიერი, წყნარი და მზიანი დღეა. მატარებელი მიჰქრის წინ გაშმაგებული. იგი უკვე შეიჭრა ორ კლდეში. მისი გზა დიდი ხნიდან გაკაფულია. და იგი დაუბრკოლებლად ლითონის ძაფებზე მისრიალებს. ჩვენ მივდივართ „ზაჰესისაკენ“. მოდუდუნე მტკვარი, ხან ერთი გვერდით გვიხვევს, ხან მეორით. დილის მზემ უკვე ცხოველი სხივები გადმოსტყორცნა კლდოვან ფლატეხილს და საამური სითბოთი აავსო იგი. მშვენიერია აქაური ბუნება! ტრიალი მინდვრები... ნახნავები... ლამაზი მთები... ბუჩქები, ჯაგები, სალი კლდეები, ბაღები და სხვ. ცვლიან ერთმანეთს.



საგენერატორო შენობა

უკვე მოუახლოვდა მატარებელი „ზაჰესს“. აგერ პლატფორმაც და მატარებელიც ერთი წუთით შეჩერდა.

მუშკორები სწრაფად გადმოხტენ მატარებლიდან და მხიარული მუსაიფით გაეშურენ „ზაჰესისაკენ“.

დღეს მუშკორებს სურთ თავიანთ თვალით დაინახონ ის გრანდიოზული აღმშენებლობა, რაც წარმოებდა „ზაჰესში“ მიმდინარე წლის განმავლობაში. მუშკორები თვითონ უნდა დარწმუნდენ ზაჰესელების შრომის ნაყოფიერებაში და დაადასტურონ თუ რამდენად დააკმაყოფილებს იგი მუშათა მასას.

დილის 9 საათიდან მუშკორები შეუდგენ „ზაჰესის“ დათვალიერებას. დაწვრილებით და გასაგები ენით ჩვენ გვიხსნიდა ყველაფერს ინჟ. მიქელაძე.

პირველად მუშკორებმა დაათვალიერეს საგენერატორო შენობა მისი ტურბინებით. მათი რიცხვი ჯერ-ჯერობით უდრის ოთხს. ოთხივე ტურბინა დადგმულია როგორც წესი და რიგი. და ხარბად უცდიან მტკვრის და არაგვის წყლების გამოქანებას, რომ აამოძრაონ და აახმაურონ ვეებერთელა ჯერ კიდევ უსიცოცხლო ლითონის სამიათას ფუთიანი „საოცრებანი“ დინამო მანქანები, რომელიც გადაამუშავებენ ელექტრო-ენერგიის რამოდენიმე ათეულ ათას ცხენის ძალის სიძლიერით.

დინამო - მანქანები უერთდება მსხვილი „კაბელების“ საშუალებით განმანაწილებელ პუნქტს და აქედან ელექტრო-დენი ლითონის ძაფებით უხვად გადაეცემა მისი წყლობით მომლოდინე თბილისს.

ის წყალი, რომელიც იქნება გატარებული ტურბინებში, კვლავ დაუბრუნდება თავის საკუთრებით გამზადებულ აკვანს.

ყოველგვარ მოსალოდნელ ზიანისგან დაცვის მიზნით გაკეთებულია წყლის შესავალთან რკინის დიდი მოაჯირები, რომ წყალმა ტურბინაში თავისუფლად იმოძრაოს და რაიმე ზიანი არ მიაყენოს მანქანებს ფიჩხების და ქვების გადმოტანით. აქ თითქმის ყველა სამუშაოები დამთავრებულია და საუცხოვო სურათს წარმოდგენს აქაურობა.

შემდეგ მუშკორებმა ინახულეს განმანაწილებელი პუნქტი. განმანაწილებელ პუნქტიდან ელ-დენი გადაეცემა ელექტრონის გამტარებელ მავთულებს, რომლის საშუალებით თბილისის და მაზრის მცხოვრებლები უხვად ისარგებლებენ განათებით. ენერგიითვე ამოძრავდება ქარხნები და ფაბრიკები. ენერგია გადაეცემა რკინის გზასაც მატარებლების ასამოძრავებლად.

ყველა ტურბინები ამოძრავდება მიმდინარე წლის ნოემბერს.

ერთი ტურბინა კი მოძრაობაში მოვა 25 ოქტომბერს, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეათე წლის თავზე.

მტკვარი უკვე ნაწილობრივ გუბდება.

მუშკორები ერთობ დაინტერესდენ აქაური მშენებლობით და მიმართავდენ ინჟინერს სხვადასხვა შეკითხვებით. მათ საპასუხოდ ამხ. მიქელაძემ განაცხადა შემდეგი: ჩვენი აღმშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. არ ვზოგავთ არავითარ ენერგიას ზაჰესის დამთავრება-გამშვენიერებისათვის. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ელექტრო-ენერგიის საშუალებით მშრომელთა მასას. ამისათვის არც ცენტრი იშურებს დახმარებას. თვით ის ფაქტი, რომ ჩვენი აღმშენებლობა ნაყოფიერია და ჩვენი ნამოქმედარი საბოლოოდ გამოსადეგი, ამას ამტკიცებს მოსკოვის უამრავი ფულადი და ნივთიერი დახმარება. ჩვენს მშენებლობას დიდი მომავალი აქვს.

პირველ ხანებში მთელი ჩვენი ენერგია იქნება 18.000 ცხენის ძალის, ეს მომავალში გაორკეცებულ იქნება.

ამხ. მიქელაძის ასეთმა განცხადებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია მუშკორებში, ისინი ერთმანეთს ულოცავდენ შრომის ზეიმს.

ზაჰესში მუდმივად იმუშავებს მხოლოდ 30 კაცი დაწყებული ინჟინერიდან დარაჯამდე. ეს იქნება უდიდესი ეკონომია, რადგანაც დღეს თბილისის თვითეულ ელსადგურში დაბანდებულია 100-მდე მუშა ხელი.

ზაჰესის მთელ მუშაობის ხანაში უბედური შემთხვევები იყო სულ 15-ჯერ, გარდაიცვალა 6 მუშა, მძიმედ და მსუბუქად დაიჭრა 9 მუშა.

შრომის ინვალიდებს და მათ ოჯახის წევრებს ეძლევათ პენსია საერთო წესით.

აქ მუშაობდა უწინ 4.000 მუშა-მოსამსახურე, მაგრამ იმას აქეთ, რაც „ზაჰესის“ დამთავრება ახლოვდება მუშა-ხელის მოთხოვნილება სწრაფად მცირდება.

ამის შემდეგ მუშკორები გაემგზავრენ „ზაჰესის“ მუშათა კლუბში, სადაც გაიმართა მეგობრული საუზმე. საუზმის შემდეგ მუშკორები გაემგზავრენ ე. წ. „ჯვარის მონასტერის“ მახლობელ ტბაზე. აქ მუშკორებმა დაისვენეს და დაათვალიერეს აქაური ბუნება. ეს ადგილი და თვით „ჯვარის მონასტერი“, როგორც ისტორიული ნაშთი ქართულ ხუროთმოძღვრობისა, მუშკორებმა დიდის ყურადღებით და გულდასმით დაათვალიერეს. ამ ძვირფას ისტორიულ განძს ჩვენი ხელისუფლება ინახავს და ამჟამად მისი შეკეთებაც სწარმოებს.

აქედან მთელი მცხეთა და მისი მიდამოები მოსჩანდა მთლიანად.

წარმტაცია აქაური ბუნება. ჩვენ წინ გადაიშალა არაგვი. მორბის იგი გიჟივით, არღვევს მის ახლო მახლო მდებარე სოფლის მცხოვრებთა მყუდროებას და ხმაურით მტკვარს „ზაჰესის“ სათავეში, სადაც იქმნება „თეთრი ნახშირი“ („ზაჰესი“-ს ენერგია). შორიდან აშკარად გამოიყურება მოხუცი ყაზბეგის თოვლიანი წვერები აყუდებულან ერთი მეორეზე კავკასიონის მაღალი მთები, რომელთა სხეულზე წამოწოლილა სალი კლდეები.

ძირს ვაკეზე დარბაისულად შეჰყურებს მაღალ მწვერვალს ძველი საქართველოს სატახტო ქალაქი მცხეთა. შორიდან მოსჩანს არსენას საფლავი, მცხეთის ტაძარი და თვით მცხეთის გადაღმა სერი, რომელიც რვაჯერ მაინც იმეორებს ორთქლმავალთა ყიჟინს. ყველაფერი ნახულით ჩვენ ვსტკბებოდით.



ელექტრო-დენის განმანაწილებელი პუნქტი

ამის შემდეგ მაღალი მთით წამოვედით „ზაჰესის“ სათავისაკენ. ვნახეთ სრულიად მოთავებული საცავი. მოწყობილია აქ თევზების დასასვენებელი აუზები. გავლილი გზით დაღალული მტკვარი ისვენებს ამ აუზში.

მუშკორებს აქ მიესალმენ აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლადო სუხიშვილი, ამხ. მესხი და ამხ. ხოჯაევი, რომლებმაც მუშკორებთან გამართეს საუბარი „ზაჰესის“ ირგვლივ, როგორც ქალ. აღმასკომის და საბჭოს წარმომადგენლები. მუშკორებმა ნახეს აგრეთვე ამხ. ლენინის უზარმაზარი ძეგლი. ფუნდამენტი უკვე მზადაა და ახლო მომავალში მასაც დადგამენ. აქ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აღმშენებლობა.

ნასიამოვნები მუშკორები ღამის 11 საათზე წამოვიდენ მატარებლით თბილისისაკენ. დიდი მზრუნველობა გამოიჩინა მუშკორთა მიმართ სადგურის უფროსმა ამხ. დათაძემ. მან მოგვცა ბილეთების ურიგოდ აღების საშუალება.

მუშური მადლობა ამხ. დათაძეს, რომელმაც არავითარი ენერგია არ დაიშურა ჩვენი თბილისში გამგზავრებისათვის და შეძლების დაგვარად შეგვეწყო ხელი.

მომავალი ექსკურსია მოეწყობა ორთაჭალაში, სადაც მუშკორები ადგილობრივად გაეცნობიან აღმშენებლობას.

მუშკორი ივ. ჯავახიშვილი.

უჩინარი, მაგრამ უანგარო მუშაკი

(პატარა ნეკროლოგი)

14 ოქტომბერს დილით გარდაიცვალა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშა ალექსი პავლეს ძე საგარეიშვილი. ალექსი საგარეიშვილს ყველა ძველი რევოლუციონერი მუშები კარგად იცნობენ. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მუშათა მოძრაობის განმტკიცების საქმეში. იგი სხვებთან ერთად თავგამეტებით ებრძოდა მეფის დარაჯებს. მისი სახლი მუდამ ღია იყო მუშათა მოძრაობისათვის. მან თავისი სიცოცხლე სულ ტანჯვა-წვალებაში გაატარა. ერთხან სამსახურიდანაც დათხოვნილ იქნა იგი მეფის ლაქების მიერ. თბილისის გარდა იგი მუშაობდა აგრეთვე ბათომშიც როტშილდის ქარხანაში ამხ. ზაქარია ჩოდრიშვილთან ერთად. თავისი ერთგული მუშაობით იგი იქაც ამშვენებდა მუშათა რიგებს და ბოლოს დაუბრუნდა ისევ თბილისს.

ალექსი საგარეიშვილი ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო. იგი დაუზარებლივ შეასრულებდა ყველაფერს, თუ კი რამეს დაავალებდნენ მას.

ამხ. ალექსიმ შეასრულა თავისი მუშური ვალი მშრომელი მასისადმი მხოლოდ, სამწუხაროდ, ადრე გამოესალმა წუთისოფელს.

მშვიდობით, ამხანაგო ალექსი! შენი სახელი არ წაიშლება შენ ამხანაგების ხსოვნაში.

მუშა-მასხიობი გიორგი ჯაბაური.

რკინის გზის საავადმყოფოში

რკინის გზის საავადმყოფოში ბევრი ცოლი და ქმარი, მამა და შვილი ერთად მსახურობენ.

ჩვენ კი დიდძალი უმუშევრები გვყავს. ამათში ბევრი გამოირჩევა ისეთები, რომლებსაც პურის შოვნაც უძნელდებათ და აღამებენ ბირჟის კარებთან მშიერ მწყურვალნი.

ბევრია ისეთი ოჯახი, სადაც თითქმის ყველა ოჯახის წევრები მსახურობენ და სახლში კი მოსამსახურეც ყავთ.

რკინის გზის საავადმყოფოში მსახურობს ერთი ექიმი ერთ-ერთ განყოფილებაში. იმავე განყოფილებაში მსახურობს მისი ცოლი დიასახლისად, სახლში კი ჰყავთ მოსამსახურე.

ნუ თუ ექიმს არ შეუძლია თავის ცოლის რჩენა? მე მგონია, რომ შეუძლია.

ასეთები ბევრი მოიპოვებიან რკინის გზის საავადმყოფოში.

ამ შემთხვევას ადმინისტრაციამ და ადგილკომმა უნდა მიაქციონ ყურადღება და სამუშაოზე დაუშვან ისეთი უმუშევრები, რომლებსაც არა აქვს არავითარი საშუალებები ცხოვრებისა.

არ დაუშვან სამსახურზე ერთი ოჯახიდან ორი და სამი კაცი ერთსა და იმავე დაწესებულებაში. ამით ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ უმუშევართა რიცხვი და განვტვირთოთ შრომის ბირჟაც.

მუშკორი პირამიდონი.

მუშკორებისადმი მედიდურ[illegible] გას არავის შევარჩენთ

(პროკურორის და მ.-გ. ინსპექციის საყურადღებოდ)

10 ოქტომბერს მოეწყო გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა ექსკურსია „ზაჰეს“-ში. უკანასკნელის დათვალიერების შემდეგ მუშკორებმა დააპირეს წამოსვლა თბილისისაკენ ჩქარი მატარებლით, საღამოს 7 საათზე.

მუშკორთა ბიუროს წარმომადგენელმა სადგურის მორიგეს მოქ. გეგელიას მიმართა თავაზიანათ რაიმე დახმარების აღმოსაჩენად. გეგელიას ჩვენ ვთხოვდით, რომ მუშკორთა ექსკურსიას ბილეთები აეღო რიგს გარეშე, მაგრამ მოქ. გეგელია ძალზე ნერვებ აშლილი და უხეში ვინმე გამოდგა. მან ყვირილით მიმართა მუშკორებს, რომელთა შორის 98 პროც. დაზგის მუშებია. მათ ესაჭიროებოდათ დილის 5 საათზე ადგომა და სამუშაოზე წასვლა. ვაჟბატონმა გეგელიამ ამას ანგარიში არ გაუწია, დაიწყო სკამზე ხტუნვა და უბრძანა დარაჯს:

— დაუძახე ჩეკისტს, რომ გაათრიონ ესენი აქედან, მუშაობაში ხელს მიშლიანო!..

რამოდენიმე წუთის შემდეგ მართლაც გამოცხადდა ღვინით გალეშილი, სამხედრო „შინელში“ ვინმე ბახტაძე, ალბად გეგელიასთან ერთად ნაქეიფარი და მისი „ძმა ბიჭი“ და დაიწყო მორიგე მოხელის დაცვა. ყოველგვარ უსიამოვნების ასაცილებლად მუშკორებმა თავი დაანებეს ურჩ, უხეშ და უდიერ მოხელეთ.

ასეთი მოხელეები სახელს უტეხენ ხელისუფლებას და საჭიროა ესენი საბჭოთა დაწესებულებებიდან გამოიცოცხონ.

უნდა ასწავლოთ მოვალეობის ასრულება

შენიშნულია, რომ ხშირად საზღვარ-გარეთ გაგზავნილ წერილს უფრო ადრე მიიღებს ადრესატი, ვიდრე საქართველოს რომელიმე პროვინციაში გაგზავნილს!..

„შენი 27 აგვისტ. გამოგზავნილი წერილი მივიღეთ 5 სექტემბერს“—იწერებიან რაჭიდან. ფოსტა კი იქვეა, სოფლიდან 2 ვერსზე

წერილები და ამანათები თითო კვირაზე მეტი ხნით ფოსტაში გდია. ტელეგრაფით ფულს გაგზავნით, რომ მალე მიიღონ, იხდით 10-12 ჯერ მეტს, მაგრამ ფოსტის მოხელენი ფრიად „გონივრულად“ (!)მაინც ფულის ფოსტით მისვლას უცდიან და ამის გამო მეშვიდე, მერვე დღეს იღებთ დეპეშით გაგზავნილ ფულს. დეპეშას გაგზავნით, მიხვალთ და თუ მოისურვებთ, თქვენ თვითონ წაიღებთ სახლში, მშობლებთან.

ასეა თითქმის მთელ რაჭაში, სადაც წესი სასტიკად განსხვავდება თავის უდიერობით!..

„ფოსტაც მესაღდათ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, თორემ სხვას რაღას მოითხოვს აქ ადამიანი?!“ იწერებიან რაჭიდან.

პასუხი უნდა მოეთხოვოთ რაჭის „სპეცებს“, რომელნიც თავიანთს მოვალეობას „მცირედაც ვერ ასრულებენ“.

ვაშა-ლომიძე.

შრომის დაცვისათვის

რ.-გ. მთ. სახელოსნო სადურგლო საამქროში არ არსებობს შრომის დისციპლინა და არ არის შრომის კანონებიც დაცული. ამ საამქროში ხეტყის სახერხ განყოფილებაში მოთავსებულია სამი რგვალი ხერხი და 2 ჩარჩოიანი. თითოეულ სახერხ მანქანაზე აუცილებლად უნდა იმუშაოს 4-მა მხერხავმა. ეს არის სწორედ ნორმა ძველადაც 4 კაცი იყო თითო მანქანაზე, დღეს კი 2 ან 3 სამი კაცი მუშაობს ხოლმე..

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ეტყვი მუშა-ხელის დამატებაზე აქაური ადმინისტრაცია გიპასუხებს: რა ვქნა, არ გვყოფნის მუშები და... ან შვებულებაზე მიგითითებს, და გვეუბნება: იოლად წადით, რას იზამთ, უნდა გაიჭირდეთ და იმუშაო 4 კაცის ალაგას 2 ან 3 კაცმა 12 არშინიან და 50—1000 ფუთიანი ხის მორებზე. ფიზიკურად ნადგურდება მაზე მომუშავე. ეს არის შრომის კანონების დარღვევა და საჭიროა დროზე მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება, რათა მანქანებზე იყოს დაწესებული მუშა-ხელის ნორმა.

მუშკორი ლ—ტ—ელი.

მუშათა ქრონიკა

—**ღია სხდომები.** თბილისის საუბწო პროფკავშირმა დაადგინა ჩატარებულ იქნეს ღია სხდომები გურჯაანში, წნორის-წყალში და შულავერში.

— **საღამო.** სად. წნორის-წყალის ადგილკომმა მოაწყო საღამო, რომლის შემოსავალი გადაიდო კლუბის გასაუმჯობესებლად.

— **ექსკურსიის მოწყობა.** ამას წინად მოეწყო გორის მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსია ბაქოში. ექსკურსანტებმა დაჰყვეს იქ 6 დღეს.

— **მასალების შეძენა.** სად. წნორის-წყალის ადგილკომმა შეიძინა საჭირო მასალები კლუბის ასაგებად. კლუბის აგება დაიწყება ახლო ხანებში.

— **მემალაროეთა სასარგებლოდ.** ხაშურის საუბკომის პლენუმმა დაადგინა: ჩატარდეს კლუბებში ინგლისის მემალაროეთა სასარგებლოდ საღამოები და მოხსენებები, რომლის წმინდა შემოსავალი გადაირიცხება მათ დასახმარებლად.

— **ხაშურის საუბკომის** პლენუმმა საჭიროთ აღიარა, რათა წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნეთა შორის მუშაობა გადავიდეს პროფკავშირების ხელში.

— **შტატის გადიდება.** ამავე საუბკომის პლენუმმა დაადგინა—სად. ზესტაფონში გადიდდეს შტატი ერთი კაცით.

— **საერთო კრება.** ამ დღეებში შესდგა სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც მოხსენება გაკეთდა შემნახველ სალაროს მუშაობის შესახებ, კრებამ მიიღო ცნობათ შემნახველ სალაროში ჩაწერის აუცილებლობა.

— **კედლ-გაზეთი.** სად. გორის მუშათა კლუბში გამოდის ადგილობრივი კედლის გაზეთი. აქ თანამშრომლობენ ადგილობრივი მუშები.

— **კლუბის 200 წევრი.** სად. გორის მუშათა კლუბში ითვლება 200 კლუბის წევრი. ჩაწერა სწარმოებს.

— **ზეიმი.** 30 სექტემბერს მოხდა მეორე დაცვის რაზმის დაარსების დღის აღსანიშნავად ზეიმი. დასასრულ დადგმული იქნა წარმოდგენა.

— **სპეცტანისამოსი.** სად. ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ საჭიროდ სცნო, რათა მოგვარდეს აუცილებლივ სპეცტანისამოსის საკითხი, რადგან ასეთების გაცემა გვიანდება.

— **შტატის გადიდება.** სად. ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა მიღებულ იქნეს სათანადო ზომები მეისრეთა შტატის გასადიდებლად.

— **გადასინჯვა.** იმავე სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ საჭიროთ სცნო სად. უფროსის თანაშემწის დანიშვნის შესახებ გადასინჯოს საკითხი.

კედელი

მიდიოდა ძველი თბილისის ქუჩებით, მწუხრი სახით, დაბნეული. ღრმა ფიქრებით.

ქუჩის ქვაფენილზე მიდიოდა, როგორც მიდიან რიგით მოფენილ მდელოზე. (აზნეული ქვები ფეხქვეშ რომ ბრუნდებიან).

ფიქრები, შეჩერებული ფიქრები,—მიცვალებულის ღია თვალებით შემჟურებდენ მას...

ჯერ კიდევ იმედიანი თვალებით შესცქეროდა მომავალს. აღებული გეზით მისდევდა გაკვლეულ გზას..

ხოლო, როცა ფარშავანგის ფრთებივით გაშლილი წითელი ზეწარი გადაეფინა მშობლიურ მხარეს,—დაიბნა...

საბუდარიდან ამოვარდნილ წიწილასავით წიალი დაიწყო. აღარ იცოდა რა გზას დადგომოდა რა გაეკეთებინა, ვის მიჰკედლებოდა...

ფიქრები, მიტოვებულ სახლის ღია კარ-ფანჯრიდან სხლტებოდენ მას... შორს, ქალაქის შუა გულში, იყო ხმაური უცნაური...

და ეს ხმა იყო უჩვეული, როგორც მიწის ძვრის დროს—უხეში ავარდნა კორიანტელის...

ცის კიდურზე მიმავალი ღრუბლები, მოგონებათა ქსელს უქარგავდა.

აგონდებოდა ახალგაზრდობის დღეები: სასწავლებლის მიტინგები. წრეები მუშათა უბნებში. მალული, დაუღალავი, დაჟინებული, გატაცებული, რევოლიუციონური მუშაობა.

მაშინ გული ცეცხლით სავსე ჰქონდა.

მერე... ციხე. ბორკილები, გადასახლება.

დიდ ხანს უცხო მხარეში ყოფნა. ათეული წელი სავსე ტანჯვებითა და ვაებით...

როცა უკან დაბრუნდა, დაგუბებულმა გრძნობამ, თავის ძველ ამხანაგების დანახვაზე,—სიხარულის ცრემლთა ნაკადი წარმოშვა.

ერთხანს გულმა შვება იგრძნო. გაბრწყინდენ თვალები. მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი.

ჩრდილოეთის მხრიდან შემოესმა ხმაური უცნაური. ხმა იყო ძლიერი და უდრეკი. და როცა საქართველოსაც მოედო იგი,—ამის შემდეგ, შეუცნობი რამ მოხდა მის ცხოვრებაში. თითქო შეწყდა მიმავალი გზა და პიტალო კლდეს მიადგა.

გარიყული, როგორც მდინარის დაწყვეტის შემდეგ გუბეში თევზი,—უმწეოდ ფართხალებდა.

ცხოვრება კი, სადღაც შორს მისგან, მეორე მხარეს, მიდიოდა თავისი ფოლადის კალაპოტით, დინჯი და შეუცნობელი.

მდგომარეობიდან გამოსავალი ვერ ნახა.

ფეხს მიადგამდა, როგორც მიწის ძვრის დროს, როცა არ იცი ფეხს რომ დაადგამ. დასაყრდენობი დაგეხდება, თუ, აქანებული მიწა გაიპობა და ჩავარდები ნაპრალში...

უეცრად ყური მოჰკრა ნაცნობ სიმღერას.

...Лейся в даль, наш напев,
Мчись кругом,
Над миром знамя наше реет...

შედგა, როგორც შედგება ხელნაკრავი.

გულში გაღიზიანება იგრძნო. სხეულში ათრთოლება. კედელს მიეყუდა. ყური წაღურმა, რომ კარგად შესმოდა სიმღერა. ერთ თვალში ნაპერწკალი აციალდა.

...И несет клич борьбы
Мести гром..

თანდათან მოახლოვდა გუგუნი არეული ხმებისა, გაძლიერდა. ჰაერი შეინძრა. იქით მიბრუნდა, საიდანაც ხმა ისმოდა. ქანდაკებასავით შეჩერდა. თვალი გაშტერა. მოჩუტა, თითქო სიღრმეში ჩაუცვივდენო... უცბად მოსწყდა ალაგს და შორეულ წარსულში შესცურდა.

ყმაწვილობისას გატაცებით იმღერდა ამ სიმღერას. თვალებ გავარსკვლავებული, სხეულის თრთოლით, დიდის გრძნობით და აფრთოვანებით...

...Семя грядущего сеем,
Оно горит и ярко рдеет...

ახლოვდება გუგუნით ჰაერში გაფანტული სიმღერა. უხილავი ძაფებით ეხებოდა მას.

როგორც ყრუსა და უღრან ტყეში, ხანდახან გაისმის ხმა, დაჭრილი ნადირის და მივარდნილი კუთხე მთის ძირიდა, აბმაურდება—იწყებს თრთოლას,—ისე მის გულის სიღრმეში აჟღერდა ხმა რევოლიუციონური ჰანგისა... შორს, სადღაც მიტოვებულ ალაგას, ამღერდა სიმი. იწყო, დადადი მოვარდნილ ხმებს აჰყვა, როგორც აყვება ხოლმე მთის ხმაურს,—გამოძახილი...

То наша кровь горит огнем,
То кровь работника на нем..

ელექტრონ ძალით ტოკავდა სხეული.

სიმღერასთან ერთად მჭრელი ნაბიჯის ხმა, ყრუდ გაისმა ქუჩის ქვაფენილზე მის წინ აიმართა რიგები.

წინ გაუშვა აღმართული წითელი დროშა. მესრივით ჩამწკრივებული რიგები. სივრცეში მიმართული თვალები.

კანკალი კი არა, ერთნაირი ათრთოლება იგრძნო. „წინად ამას მეც ვმღეროდი აღგზნებული გულით, ნაპერწკლიანი თვალებით, ყელში დაჭიმული ძარღვებით.

ახლა? ახლა, რა დამრჩა“!!

იდგა აქანდაკებული. თვალში ცრემლ მომდგარი, როგორც მოადგება ხოლმე სისხლდილამდე დაჭრილ ნადირს, როცა მონადირე ყელში დანას გაუყრის. (მაშინ თვალები უსაზღვრო სევდით სავსეა).

მიდიოდა დაბნეული, უმწეო, მიზანშეუცნობელი...

დამძიმებული თავით, მხრებ ჩამოშვებული, თითქო სიმძიმე ლოდებისა დასწოლოდეს მას. აბნეულ ნაბიჯს ისე ადგამდა, თითქო მუხლამდის მდინარეს გადიოდა. თითქო ყოველ ფეხის დადგმისას, უნდა მოეძებნა მკვიდრი ალაგი, რომ ქვებზე ფეხი არ ასცდენოდა.

მოსახვევში მის წინ აიმართა ნაცნობი სახე. შეჩერდა. მას დააცქერდა. კინემატოგრაფიული სისწრაფით მიჰქროდა მის თავში დიდი ხნის უნახავ სახეთა მოგონებანი ფიქრებიდან ამოცურდა. როგორც ზღვის ტალღებიდან ნავი. მერე ერთ წერტილზე შეჩერდა და შეძახა:

— ლევან, შენ?

— მე ვარ გიორგი, ველარ მიცანი?

— რამდენი ხანია არ მინახავხარ! სად იყავი? როგორ ხარ?

ხელი ხელში ეჭირათ, იღიმებოდენ და ვერ დაეწყოთ ლაპარაკი. სათქმელი კი ბევრი ჰქონდათ!..

ორივეს წარსული უტრიალებდა თავში: ახალგაზრდობა, გატაცება, პარტიული მუშაობა. მერე ციხე, გადასახლება. შორეული წარსული.

ერთმანეთს ციხეში დაშორდენ. ერთი უფრო ადრე გაგზავნეს კატორღაში და ამის შემდეგ არც შეხვედრიან ერთმანეთს.

— სხვა, როგორ ხარ?—შეეკითხა ლევანი.—დაჭერილი ხელები დააშორეს. ღიმილის ნაოჭიც დაიშალა.

— ისე! ვცხოვრობ! შენ სად იყავი აქამდის, რატომ არსად შემხვდი?..

— რუსეთში ვიყავ! კატორღიდან რომ დავბრუნდი მოსკოვში დავრჩი! ორიოდე თვეა, რაც თბილისში ვიმყოფები!..—ჯიბიდან პაპიროსის ამოსაღებად, დაცვეთილი პორტფელი იღლიაში ამოიდო და პორტსიგარი გაუწოდა ამხანაგს.

პაპიროსის ბოლი გაუშვეს. მიმავალ ხალხს გზა მისცეს და ტროტუარის ნაპირს გაჰყვნენ.

— რას შვრები? ხომ მუშაობ ჩვენთან?

— არა! თავი დავანებე ყველაფერს!..—ჩაწყვეტილი ხმით უპასუხა გიორგიმ.

ლევანს გულს თითქო სითბო მოაკლდა. რაღაც მოწყენა და უფსკრულობა დაეშვა.

მის ადგილს ცივი რამ სითხე დაუბუდა. ორ მეგობარ შორის შეუმჩნეველი კედელი აღიმართა. ერთმანეთს დაშორდა. ეს კედელი უშლიდა მეგობრულ ბაასის გაგრძელებას. აღარ იცოდენ, როგორ დაებრუნებინათ ლაპარაკის საგანი.

მიმავალ ხალხს შესცქეროდენ...

პაპიროსის ბოლს ჰაერში ჰფანტავდენ.

ორივეს ისევ წარსული წარმოუდგათ თვალწინ და წარსულის მოგონებამ, აგრეთვე მეგობრულმა კავშირმა თავისი გაიტანა.

— გახსოვს ჩვენი პირველი გატაცება,—ქარხანაში მუშაობა!.. რა ლამაზი, წარმტაცი იყო ის დრო?

დუმილი დაარღვია გიორგიმ და პაპიროსის ნამწვავი შორს ისროლა.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს!..

— მახსოვს ჩვენი დევიზი: თუ გინდა სოციალისტურ მუშაობას მხარში ამოუდგე, თვით უნდა გახდე მუშა!.. და ჩვენც წავედით ქარხანაში სამუშაოდ!..

წარსულის მოგონებაზე გიორგის გონება [illegible]. სხეული ათრთოლდა და თვალები გაუბრწყინდა. მის წინ გაიშალა სურათი წარსულისა...

დილა—ტრედის ფრად ნანათი... ჰაერში ქარხნის საყვირის ხმა. შავბლუზიანი მუშები, ქარხნისკენ მიმავალნი, ის და ლევანი ჩუსტებსა და ბლუზებში გამოწყობილნი, მუშებთან ერთად მიდიან ქარხანაში სამუშაოდ. მუშაობა ფიზიკური და მერე საუბარი მუშათა წრეებში...

საღამოობით ფარულ კრებებს ესწრებოდენ, როგორც მოციქულები—დევნილ ქრისტიანების სამლოცველოს... შემდეგ გაფიცვები, დემონსტრაციები, არალეგალური ცხოვრება, სავსე ტაშაკებებით... დაჭერა, ციხე ისევ მუშაობ პარტიული და აღფრთოვანება.

მოგონებამ სიამოვნების ჟრუანტელი მოჰგვარა ორივეს და გულს მოედო ტკბილი სითბო.

აღმართული კედელი მიიჩქმალა და მეგობრებმა კვლავ შეხედეს ერთმანეთს. გაიბა სწორი, უხილავი, ჰაეროვანი სხივი,— მეგობრებს რომ აერთიანებდა.

— დაცოლშვილდი, ლევან?—შეეკითხა გიორგი.

— ცოლი რუსეთში შევირთე. ამიტომ შევრჩი ამდენ ხანს იქ. ხოლო, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, იქ რაღა დამარჩენდა!

გაბმული ხაზი, მათ რომ [illegible] დაიკლაკნა კვლავ აიმართა მათ შორის უჩინარი კედელი, ერთმანეთს რომ აშორებდა.

— ახლა მე „კონტრრევოლიუციონერი“ ვარ, ლევან!—ირონიული ღიმით სთქვა გიორგიმ და განაგრძო,—გესმის? როცა პირველად მიწოდეს ეს სიტყვა, შეუცნობი რამ მოხდა ჩემს არსებაში! არც გულმა მიიღო ეს სიტყვა. არც გრძნობამ, არც გონებამ... არც შეურაცყოფად ჩამითვლია!.. მხოლოდ სული შემეხუთა. ახლა რა ვარ მე?— ვინახავს ქარიშხლისგან გადამტყდარი ხეზე ჩამოკიდებული ტოტი, რომელიც არც გამხმარა, რადგან ნაწილი კიდევ საზრდოობს ხის წვენით, ის მხოლოდ გატეხილია, მაგრამ მაინც სცოცხლობს...

გულს მოულოდნელი სევდა მოაწვა. მოღუშა სახე. დაეკუმშა გული. სევდამ მოიცვა მისი არსება.

მიმავალ ხალხს თვალი მოავლო და უეცრად მოეჩვენა, თითქო უცხო ქვეყანაში იმყოფება და გამვლელები ნელის ნაბიჯით მისდევენ ცხედარს. ამიტომ ყურად გაისმოდა მის მსმენელობაში ფეხის ხმა, დინჯი და აუჩქარებელი, როგორც ნაბიჯი კუბოს უკან მიმავალ ხალხისა.

ლევანს შეხედა. [illegible] მისი სახე. შორეულად მოეჩვენა. თითქო ასეთი უშნო და გრძელი ცხვირი არ ჰქონოდეს ლევანს უწინ...

შეუმჩნეველმა კედელმა კვლავ დაჰფარა სივრცე მათ შორის.

— რატომ არ დაიწყებ ჩვენთან მუშაობას?.. შეეკითხა ლევანი.

— უმთავრესად იმიტომ, რომ... — და შეჩერდა.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. გიორგი თავჩაღუნული ფიქრების კორიანტელში იყო გახვეული.

— მაინც რას აკეთებ ახლა? შეეკითხა ლევანი.

— ვმსახურობ!

— მაშ, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ახლა კი, ძალიან მეჩქარება! ნახვამდის!..—ხელი ჩამოართვა ლევანმა და გაყვა ქუჩას.

დიდ ხანს მისცქეროდა გიორგი მას. მისი სწორი, ენერგიული ნაბიჯი მკაფიოდ ირჩეოდა სხვებისაგან. აყუდებული მხარ-ბეჭით მძიმედ მიარღვევდა ლევანი მოსიარულეთა აბნეულ ტალღებს. მძლე ზურგი მაღალი სახლის კედელს მოეფარა შესახვევში და გიორგის თვალებიც კედელს შერჩა მიშტერებული.

იდგა აქანდაკებული, ფიქრების ბრძოლით დაბნეული. მღვრია თვალებით შესცქეროდა ქუჩას და როგორც ეკრანზე, თანდათანობით და შეუმჩნევლად იცვლება ერთი სახეობა, მეორე სურათით და ერთი სანახაობა იკარგება მეორეში, — ისე აყუდებული სახლის კედელი შეიცვალა სარკესავით პიტალო კლდით. კლდე იყო ასიპული, ცივი, მაღალი, გარდაუვალი. არსად, არც ერთ ადგილს არ იყო ფეხის დასაბჯენი არც ხელის მოსაკიდი. სწორი როგორც სარკე. მოღუშული და მიუკარებელი...

იქით მიდიოდა ლევანი, შეუდრეკელი ნაბიჯით,— აქეთ დარჩა გიორგი თავისი ფიქრებით...

გველივით დაკლაკნილი იჭვის ფიქრი შეძვრა გიორგის თავში. მწარედ უკბინა, მოწამლა...

მოღუნებული გაყვა ქვაფენილს.

მიდიოდა რხევით, ხან ერთი, ხან მეორე მხა[illegible] მისდევდა ქუჩის ქვაფენილს, [illegible] მაღალ მთას დაღლილი და [illegible]

დავით სულიაშვილი.

სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მ.-გ. ინსპექციის ბაზში ერთი მხრით, დაწესებულებების და უწყებების მიერ წამოყენებული მოთხოვნილება, მოეწყონ თავიანთ უწყებებთან სისტემატიური, რაციონალიზატორული მუშაობა, რომელიც განსაკუთრებით გადაუდებელია დღის მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით, და მეორე მხრით, უქონლობა ამ დაწესებულებებში სათანადო საშტატო შესაძლებლობისა, ამ საქმის მოსაგვარებლად, სთხოვა ს. ს. ს. რესპუბლიკის მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატს სასწრაფოდ განეხილა ეს საკითხი დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან ერთად.

საკითხი შემდეგ უნდა გადატანილ ყოფილიყო სახალხო კომისართა საბჭოში, ამ უკანასკნელის მიერ დასახელებულ უწყებათა რაციონალიზატორულ ორგანოებისათვის (საორგანიზაციო ბიურო, რაციონალიზაციის ბიურო) სათანადო შტატების დამტკიცების მიზნით.

ხსენებული ორგბიუროები ადმინისტრატიულად დაექვემდებარებიან ამა თუ იმ დაწესებულების ან სამეურნეო ორგანოს ერთ-ერთ პასუხისმგებელ ხელმძღვანელს, ხოლო საქმიანობის მხრივ იქნებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის მეთოდოლოგიურ-ინსტრუქტორული ზეგავლენის ქვეშ, რაც პრაქტიკულად უნდა გამოიხატოს უწყებების რაციონალიზაციის პროექტების, გეგმების, პროგრამების და რაციონალიზატორულ მეთოდების მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებაში. მხოლოდ ასეთი დამოკიდებულება მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან მისცემს ორგბიუროებს საშუალებას გამოიყენონ ინსპექციის მთელი გამოცდილება რაციონალიზატორულ მუშაობის დარგში და ასეთი მუშაობა აწარმოონ გარკვეული და სწორი ხაზით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის განზრახული აქვს პირველ ხანებში ასეთი ორგბიუროები მოეწყოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, განათლების, იუსტიციის, ჯანმრთელობის, მიწათმოქმედების და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან.

ხსენებულ უწყებათა მეთაურები, გამოსთქვამენ რა დიდ სურვილს მათთან ორგბიუროების დაარსებაზე, დაბრკოლებებს ამის განხორციელებაზე ხედავენ თავიანთი შტატების სიმცირეში.

ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ აღძრულ იქნა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე ორგბიუროებისათვის საჭირო შემდეგი შტატის დამტკიცების შესახებ:

1. ს. მ. უ. საბჭოსათვის—4 კაცი.
2. იუსტიციის სახ. კომისარიატისათვის—1 კაცი.
3. განათლების სახ. კომისარიატისთვის—2 კაცი.
4. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისათვის—2 კაცი.
5. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისათვის—2 კაცი.
6. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისათვის—1 კაცი.

სულ 12 კაცი.

ორგბიუროს თანამშრომლების ხელფასი უნდა განისაზღვროს იმავე წესით, როგორითაც იძლევათ ამა თუ იმ უწყებაში მომუშავე თანაბარ თანამდებობის პირებს.

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. აღიძრას შუამდგომლობა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სახელმწიფო აპარატების რაციონალიზაციის ბიუროების დაარსების მიზნით ნება მიეცეს განათლების, იუსტიციის, ჯანმრთელობის, მიწათმოქმედების, და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს თავიანთი შტატი გაადიდონ ორ-ორი კაცით.
2. წინადადება მიეცეს საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ზემოაღნიშნულ ბიუროს ფუნქციების შესრულება დააკისროს თავის საგეგმო საწარმოო განყოფილებას, შტატის გაუდიდებლად.

სოციალური დაზღვევა

სოციალური დაზღვევის შესახებ ლიტერატურის გასავრცელებლად რესპუბლიკის სოციალურ სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს წიგნები, პლაკატები და ბროშურები სოციალურ დაზღვევის დარგში. ეს ლიტერატურა გავრცელდება საქართველოში დამზღვევ სალაროების, პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციების საშუალებით.

უახლოეს ხანში რესპუბლიკის [illegible] სამმართველომ ქართულ [illegible] პროფ. ვიქტოროვის შრომას: „ინვალიდობის უზრუნველყოფა დასახიჩრების და პროფესიონალურ დაავადების შემთხვევებში“. ამას გარდა სოც. დაზღვევის სამმართველო შეუდგა შემდეგი წიგნების გამოცემას: „სოციალური დაზღვევა“, „დაზღვეულთა წრე და შრომის უნარის დროებით დაკარგვა“. ვ. ქვინტოშვილის.

მომავალში სისტემატიურად გამოიცემა წიგნები და ბროშურები სოციალურ დაზღვევის შესახებ.

პროფკავშირებში

პროფკავშირები და შრომის დისციპლინა

წარმოება - დაწესებულების აღორძინების საქმეში შრომის დისციპლინას დიდი მნიშვნელობა აქვს. უდავოა, რომ სადაც შრომის დისციპლინა არაა, იქ არც შრომის ნაყოფიერება იქნება თავის სიმაღლეზე დაყენებული. შრომის უდისციპლინობა ეს ის სენია, რომელიც მთლიანად თუ არა ნაწილობრივად მაინც ღუპავს და საგრძნობ ზარალს აყენებს წარმოებას.

— რაში გამოიხატება ეს?—შრომის უდისციპლინობა გამოიხატება—სამსახურისადმი გულგრილობაში, როგორც არის: სამუშაო დღეების გაცდენა, სამსახურში დაგვიანება და სხვა.

მუშა, რომელიც მუშაობს 8 საათს, ამ ხნის განმავლობაში იგი უნდა იყოს თავის დაზგასთან და შესრულოს პირნათლად დაკისრებული მოვალეობა. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში ეს ასე არ არის. მუშა თუ იგვიანებს სამსახურში, კავშირობა, ადგილკომები ან ქარხკომები ამას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ეს კი დაუშვებელია.

შრომის დისციპლინის საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული მომჭირნეობის საკითხთან.

— აქვს თუ არა რაიმე საერთო მომჭირნეობასთან ამ საკითხს და თუ აქვს, რაში გამოიხატება იგი?

თუ მუშა - მოსამსახურე სამსახურში თავის დროზე არ გამოცხადდება, გაიცდენს დღეებს და სხვა, ცხადია, მუშების მიერ აღებული თოლი აკლდება წარმოებას და დაუმსახურებლად გაცემული ფული სახელმწიფო დოვლათის უთავბოლოდ ხარჯვას იწვევს.

მართალია, ზოგიერთ პროფკავშირებმა იციან თავის წარმოებაში შრომის დისციპლინის მდგომარეობა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ, არ აწარმოებს დაგვიანებულ და გაცდენილ დღეების აღრიცხვა. აღნიშნული საქმეები ზოგჯერ შინაურულად „უპარადდება“, რაც ყოვლად დაუშვებელია.

საჭიროა პროფკავშირებმა სასტიკი ბრძოლა აწარმოონ შრომის დისციპლინის დამყარებისათვის და ერთხელ და სამუდამოდ უნდა განმტკიცდეს მუშებს შორის შრომის დისციპლინა, მას უნდა მიეცეს გარკვეული სახე.

ქარხკომებმა და ადგილკომებმა სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ და თვალყური ადევნონ შრომის დისციპლინასთან დაკავშირებით შრომის ნაყოფიერების ზრდას.

პროფკავშირებმა რკინის სიმკაცრით უნდა დაიცვან და მოაგვარონ შრომის დისციპლინის საკითხი, რაც უეჭველად დიდ ნაყოფს გამოიღებს ჩვენს აღმშენებლობაში.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

საზამთრო საჰაერო მიმოსვლა

რეგულარული რეისები კავკასიონის ქედზე.

ვინაიდან ზამთარში დიდი თოვლისა და მეწყერების გამო შეწყდება ავტომობილების მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე, უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სააქციო საზოგადოებას („უკრვოზდუხპუტ") განზრახვა აქვს მოაწყოს საჰაერო მიმოსვლა თბილის-მინერალური წყლების ხაზზე. ეს ხაზი გაივლის კავკასიონის მთავარ ქედზე.

მიმოსვლა ამ ხაზზე იწარმოებს ახლად შეძენილ აპარატით—„დორნიე-მერკურ"; ეს აპარატი ერთხელ უკვე გადაფრინდა კავკასიონის ქედზე.

ამას გარდა, განზრახულია მოწყობილი იქნეს საზამთრო საჰაერო მიმოსვლა თბილის-ბაქოს ხაზზე. ამ ხაზზე იმუშავებენ „დორნიე-კომეტა"-ს სისტემის აპარატები.

ამ ხაზებზე საზამთრო საჰაერო მიმოსვლის მოწყობის საკითხი ჯერ-ჯერობით დამუშავების სტადიაში იმყოფება, რადგან კავკასიონის მთავარ ქედზე გადაფრენა მჭიდროთ არის დაკავშირებული რადიოკავშირის სათანადო სიმაღლეზე დაყენებასთან და მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან ტეხნიკურ დაბრკოლებების დაძლევასთან.

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღებული იქნება მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში; ამ დროისათვის თბილისში მოელიან უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სააქციო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს — ამხ. ლიუბშეისტერს.

ალფერისათვის

სრულიად საკავშირო ალფერის უნიკალო ჩასატარებლათ ცენტრალურმა სტატ. სამმართველომ დაავალა შინაგან საქმეთა კომისარიატს საშუალებით მიმართოს მაზრებს წინადადებით ჩაატარონ ყველა საქალაქო ტიპის დასახლებულ ადგილებში არქიტექტურულ ბინების დანომრვა.

დანომრვას უნდა ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი აღმასკომები.

შავი ზღვის გზატკეცილი

სოხუმიდან თბილისში დაბრუნდა ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ინჟ. ჯორჯაძე, რომელმაც დაათვალიერა შავი ზღვის გზატკეცილის აფხაზეთის უბანი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ინჟ. ჯორჯაძემ გზის მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— შავი ზღვის გზატკეცილის აფხაზეთის უბანი იწყება ინგურიდან და მიდის [illegible]; გზის სიგრძე უდრის 200 ვერსს.

გზა ამჟამათ ცუდ მდგომარეობაშია. გზაზე ბევრია ხის ხიდები, ზოგიერთი ხიდის სიგრძე უდრის 2 ვერსს. ამ ხიდებს ესაჭიროება გამოცვლა, დიდი ხიდები გადაკეთებული უნდა იქნეს რკინის ან ქვის ხიდებათ, რადგან იქაურ [illegible] ჰავაში ხის ხიდები დიდხანს ვერ სძლებს.

ამისათვის საჭიროა დიდი თანხა—ორ მილიონ მანეთამდე; ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევი თანხა არ არის საკმაოისი, ამიტომ აღძრულია შუამდგომლობა განსაკუთრებული თანხების გადადების შესახებ.

უარეს მდგომარეობაშია შავი ზღვის გზატკეცილის ნაწილი ახალ-სენაკიდან ინგურამდი; ამ გზაზე ავტომობილების მიმოსვლა თითქმის შეუძლებელია. გზის შეკეთების მიზნით, განზრახულია გამოყენებული იქნეს ადგილობრივი მოსახლეობა შრომის სავალდებულო ბეგარის წესით.

ომის წინა ხანებში თვითეული ვერსი გზატკეცილის შენახვა ჯდებოდა 500 მანეთი, ეხლა ჩვენ გვეძლევა 1000 მანეთი, მაგრამ ეს თანხა არ კმარა, რადგან ჩვენს გზებს შენახვის გარდა ესაჭიროება აღდგენა, რადგან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გზები არ შეკეთებულა.

1926—27 წელში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების შესანახავად და აღსადგენად ამიერ-კავკასიისათვის გადადებულია 2.900.000 მანეთი. ამ დღეებში მოხდება ამ თანხის განაწილება ცალკე რესპუბლიკების გზატკეცილების სამმართველოებს შორის.

გამოკვლევა

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება შეუდგა საქართველოში არსებულ მსხვილ და საშუალო წარმოებებისა—ფაბრიკა-ქარხნების გამოკვლევა - დათვალიერებას სანიტარულ-ტეხნიკურ პირობების გამოსარკვევად. გამოკვლევას აწარმოებს შრომის ტეხნიკური და სანიტარული ინსპექცია.

გამოკვლეული იქნება სახელმწიფო წარმოებები და ფაბრიკა-ქარხნები. გამოკვლევის შემდეგ შრომის სახალხო კომისარიატი დასდებს წარმოებებთან ხელშეკრულებას, სადაც აღნიშნული იქნება ყველა ის მოთხოვნილება, რომელსაც კომისარიატი წაუყენებს წარმოებას სანიტარულ-ტეხნიკურ და შრომის დაცვის საერთო პირობების ირგვლივ. თბილისში უკვე დაიწყო გამოკვლევა და ამ დღეებში დაიწყება პროვინციაშიც.

ახალი ხიდი მტკვარზე

მოწონებულია ყველა სათანადო ინსტანციებში ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილების პროექტი მდ. მტკვარზე ახალი ხიდის აგების შესახებ (სადგურის ქუჩის ბოლოში).

ამ ხიდს დიდი მნიშვნელობა ექნება ქალაქის გაფართოების და არსებული, საკმაოდ მოძველებული ხიდების განტვირთვის საქმეში.

ამჟამად საშუალო მანძილი მტკვრის ორივე ნაპირის დასახლებულ რაიონებს შორის არსებულ ხიდზე გავლით აღემატება 8 ვერსს. ახალ ხიდის აგება კი ამ მანძილს შეამოკლებს 1-2 ვერსამდე; ვაგზალზე და საბურთალოზე ცხოვრობს მრავალი მუშა, რომელთა სამსახურის ადგილი მდ. მეორე ნაპირზეა. ის გარემოება, რომ ქარხნები და ფაბრიკები, უმთავრესად, მტკვრის მარცხენა ნაპირზეა, იწვევს იმას, რომ ქალაქი იზრდება ამ მხრიდან, სადაც იაფისი მიწები ცოტაა, მეორე მხარეზე კი, მისი სიშორის გამო, ქალაქი მეტად ნელის ტემპით იზრდება.

აღსანიშნავია, რომ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მოსახლეობის რიცხვი [illegible] 100.000 სულს.

ახალი ხიდი, რომელიც აგებული იქნება სადგურის ქუჩის ბოლოში, საგრძნობლად განტვირთავს ელბაქიძის სახელობის ხიდს, რომელზედაც მუდამ დიდი მოძრაობაა; ამჟამად მდინარის მარჯვენა ნაპირზე სადგურიდან ყოველწლიურად იგზავნება 3 მილიონამდე ფუთი ტვირთი და ამ ტვირთებს უხდება 5—8 ვერსის ზედმეტი მანძილის გავლა, რაც იწვევს უნაყოფო ხარჯებს და ქუჩების გაფუჭებას.

ახალი ხიდის აგება გამოწვეულია იმითაც, რომ ისეთი დიდი დაწესებულებები, როგორიც არის საარტილერიო საწყობები, სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლინიკები, წყლით სამკურნალოები და სხვა თითქმის მოწყვეტილია მარცხენა ნაპირიდან.

წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვით, ხიდის აგება დაჯდება 500.000 მანეთი. ხიდის პროექტის შესადგენად გამოცხადებული იქნება კონკურსი საკავშირო მასშტაბით.

ამჟამად სწარმოებს წინასწარი მუშაობა იმ ადგილის გამოსაკვლევად, სადაც აგებული უნდა იქნეს ახალი ხიდი.

გლეხკომები

დახმარება. სოციალურ უზრუნველყოფის სახალ. კომისარიატის ცნობით ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში 210 თავის წევრს აღმოუჩინა უფასო სესხით დახმარება; 23 სამუშაო დღით 5 კაცს აღმოუჩინა შრომით დახმარება, დაზარალებულ 11 ოჯახს ფულათ დახმარება მისცა 389 მანეთი და უფასოთ მისცა სახლების შესაკეთებლად ხე-ტყის მასალა, გლეხის სახლში ღამე გაათევია უფასოთ 598 კაცს, იურიდიული რჩევის მიცემით დაეხმარა გლეხკომის 18 წევრს.

მეურნეობის აღსადგენად

მიმდინარე საოპერაციო წლის ბიუჯეტიდან გადებული იყო 160.000 მანეთი სასოფლო მეურნეობის აღსადგენად. აღნიშნულ თანხიდან 140.000 მანეთი გასანაწილებლად გადაეცა „სოფლის კავშირის" საორგანიზაციო ბიუროს სოფლის მეურნეობათა სხვადასხვა დარგების გასაძლიერებლად. დანარჩენი თანხა ამ დღეებში გადაეცემა „სოფლის კავშირს". ამ თანხის 14.3 პროცენტი მიეცემა საქართველოს სამ ავტონომიურ რესპუბლიკას.

„სოფლის კავშირის" საორგანიზაციო ბიურო უკვე შეუდგა განაწილების პროექტის შედგენას. ეს თანხა განაწილდება სოფლის მეურნეობის შემდეგ დარგებს შორის: მეღვინეობა, მერძეობა, მეთამბაქოობა და მეაბრეშუმეობა.

მეღვინეობაზე გადადებულ თანხის ორი მეს. მიეცემა სპეციალისტ-მეღვინეთა კავშირს „საქართველოს ღვინო"-ს, ხოლო ერთი მესამედი ნაწილი კი თვით „სოფლის კავშირს" ღვინის დასამზადებლად.

ქრონიკა

მიწის იჯარის საკითხი

მიწათ-მოქმედების, იუსტიციის და მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთაგან შემდგარმა საუწყებათაშორისო კომისიამ დაამთავრა საქართველოში მიწის იჯარის საკითხის გამოკვლევა. კომისიის ნაშრომი განსახილველად გადაეცა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატების კოლეგიას.

საქართველოს სატყეო ტრესტში

საქართველოს სატყეო ტრესტის გამგეობამ დაადგინა გააფართოვოს თავის მოქმედება მიმდინარე 1926—27 საოპერაციო წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში გათვალისწინებული აქვს ტრესტმა გამოიმუშაოს 5.600.000 მანეთის პროდუქცია.

შარშან სატყეო ტრესტის პროდუქცია ნაკლები იყო აღნიშნული თანხაზე 30 პროცენტით.

თბილისის აღმასკომში

◆ ტაბახმელის სამრეწ. სადგურის მუშაობის გასაძლიერებლად აღმასკომმა გადასდო 12.000 მ.

◆ პლეხანოვის გამზირის კუთხოვანი ქვით მოსაკირწყლავათ და საერთოდ მის კეთილმოსაწყობათ გადაიდო 152.000 მან.

◆ ტრამვაის სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად ახალი ხარჯთ-აღრიცხვით გადადებული იქნა 24.477 მან.

◆ ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის გამგეთ დაინიშნა ექ. ზანდუკელი.

◆ ტუბერკულიოზის სამდღიური. შემოდგომაზე ჯანმრთელობის განყოფილება თბილისსა და მის მაზრაში აწყობს ტუბერკულიოზის სამდღიურს.

◆ სადეზინფექციო ბაზას დაევალა გაამკაცროს ზედამხედველობა ჯანმრთელობისათვის მავნე ბინებზე.

◆ ქალაქის თურქულ სკოლებში პირველ და მეორე ჯგუფში შემოღებული იქნა ახალი თურქული ანბანი.

◆ სკოლის გარეშე. განათლების განყოფილება შეუდგა სკოლებში მიღებულთა და სკოლის გარეშე დარჩენილთა რიცხვის გამოკვლევას.

სოც. უზრ. სახ. კომისარიატში

◆ პენსია. გასულ საანგარიშო წელში თბილისსა და მის მაზრაში პენსია მიეცა 460 ინვალიდს 28.998 მ. რაოდენობით. ეროვნების მიხედვით პენსია მიეცა: 174 ქართველს, 143 სომეხს, 115 რუსს, 7 თურქს და 21 სხვადასხვა ეროვნებისას.

◆ ერთდროული დახმარება გასულ წელს თბილისში მიეცა 1.274 მოქალაქეს 9.839 მან. რაოდენობით.

◆ შეღავათი. კომუნალური და სახელმწიფო შეღავათი გასულ წელს მიეცა 1.268 ინვალიდს.

◆ პენსიონერები. წელს განზრახულია გადიდებული იქნას პენსიონერთა რიცხვი.

სოციალური დაზღვევა

◆ მოჯამაგირეთა დაზღვევა. სოც. დაზღვევის სამმართველოს განზრახული აქვს წელს გააფართოოს მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმე.

◆ დამზღვევი სალაროები. ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება 21 დამზღვევი ერთეული, მათ შორის 14 დამზღვევი სალარო და 7 სამაზრო დამზღვევი პუნქტი.

◆ კამპანია. სოც. დაზღვევის სამმართველო შეუდგა მთელ რესპუბლიკაში დაზღვევის კამპანიის ჩასატარებლად წინასწარ სამზადისს.

◆ ლაბის სანატორიუმი. თბილისის დამზღვევი სალარო შეუდგა ლაბის სანატორიუმის მოწყობას. სანატორიუმის მოწყობა ჯდება 80 ათასი მანეთი.

◆ საზამთრო სეზონი. სოც. დაზღვევის სამმართველო შემოდგომა ზამთრის სეზონში სანატორიუმებში გაგზავნის 405 დაზღვეულ ავადმყოფს.

შემთხვევები

ბოძიდან გადმოვარდნა

გუშინ, კამოს ქუჩაზე, № 38, ელექტრო ქსელის შეკეთების დროს ბოძიდან გადმოვარდა მონტიორი ივანე შახოვი, რომელიც მძიმედ დაშავდა. შახოვი გაიგზავნა რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

◆ მკვლელობა. სოფ. პრიორის და კოჯორის შუა დიმიტრი გონჩაროვმა რევოლვერით მოკლა ნიკოლოზ აგანოვი. მკვლელი შეიპყრეს.

◆ ქურდობა. 15 ოქტომბერს პლეხ. გამზირი, № 91, დარო გადელაის ბინიდან მოიპარეს 700 მან. ნივთები.

— ამავე ღამის გაქურდეს გოგოლევის ქ., № 55, მარიამ ანდრეევის ბინა.

— ამავე დღეს ნერისოვის ქ., № 2, გაქურდეს [illegible] ბინა.

— ამავე დღეს ყორღანოვის ქ. № 15, გაქურდეს ნიკოლოზ პეტროვის ბინა.

ხელოვნება

წითელი თეატრი.

წელს წითელ თეატრში იმუშავებს სამი სექტორი: ქართული, რუსული და სომხური. რუსულმა სექტორმა წინასწარი მუშაობა სავსებით დაამთავრა. სეზონი გაიხსნა გუშინ პიესით „ღალგა".

რაც შეეხება ქართულ სექტორს, წარმოდგენების გამართვას დაიწყებს დეკემბრის პირველს. ხელმძღვანელად მოწვეულია რეჟისორი მ. ქორელი. სეზონის განმავლობაში ხანგამოშვებით წარმოდგენებს დასდგამს კ. მარჯანიშვილი და ა. წუწუნავა. წითელ თეატრში წელს იმუშავებს სომხური სახელმწიფო დრამის დასი.

შიათურის თეატრის იუბილე

წელს გადახდილი იქნება შიათურის სახალხო თეატრის არსებობის 20 წლის იუბილე.

სატყეო მრეწველობა

ხელოვნების ქრონიკა.

„აიდა". დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ოპერა „აიდა".

რაჟდენ გვეტაძის საბავშვო ლექსების წიგნი გამოვა ნოემბრის შუა რიცხვებში. წიგნი დასურათებული იქნება მხატვარ ალექსანდრე [illegible] მიერ.

„დათვური კორწილი". დღეს წითელი თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება ლუნაჩარსკის პიესა „დათვური კორწილი".

ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. საკავშირო სამეცნიერო აკადემიამ ა.-კ. ისტორიო-საარქეოლოგო ინსტიტუტს დაავალა გამოსცეს ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი.

მცენარეების დაცვა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი მცენარეთა დაცვის მუზეუმი, რომელიც მოთავსებულია მუშტაიდში, მეაბრეშუმეობის ცენტრალურ სადგურთან, შესამჩნევად გაფართოვებულია. მუზეუმში შეკრებილია მინდვრის, ვენახის, ბაღის, ბოსტნის მავნებლები და ხე. მავნებელთა ბევრ-ნაირი კოლექციები.

მუზეუმთან მუდმივათ მუშაობს სპეციალისტი და პრეპარატორი. აქვე მუშაობს მცენარეთა დაცვის საქმის ექვსი სპეციალისტ-ინსტრუქტორი.

მუზეუმი ამზადებს მცენარეთა დაცვის სხვადასხვა კოლექციებს. ასეთი 250 კოლექცია დამზადებულია და გაიგზავნა მაზრებში, ადგილობრივ აგრო-ორგანიზაციების განკარგულებაში. ამას გარდა, დამზადებულია 100 ასეთივე კოლექცია სასწავლებელთა საჭიროებისათვის.

არალეგალური სტამბა

1919 წელს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ თბილისში მოაწყო არალეგალური სტამბა. ეს სტამბა დღემდეა დაცული. თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: გამოისყიდოს შენობა, რომელშიაც სტამბაა მოთავსებული და როგორც შენობა, ისე სტამბა რა სახითაც იგი დღეს არის, ჩაბარდეს რევოლიუციის მუზეუმს. საქ. ცაკმა აღმასკომს აღნიშნულ სტამბის შეძენის ნება დართო.

მებამბეობა

პური მებამბეებს

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი მებამბეებს ამიერ-კავკასიაში მიმდინარე წელში მიაწოდებს პურს შემდეგი რაოდენობით:

ხორბალი: აზერბეიჯანს—900.000 ფუთი, სომხეთს—480.000 ფ., საქართველოს—130.000 ფუთი.

ახალი ქარხანა

მუშაობა დაიწყო ამ.-კავ. მებამბეობის კომიტეტის ახალმა ზეთის სახდელმა ქარხანამ ერევანში. ქარხანა საშუალოდ 2 მილ. ფუთ ბამბის თესლს ამუშავებს წელიწადში.

ლომბარდი

ვინაიდან ცენტრალური ლომბარდი ვერ აკმაყოფილებს მთელი თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, თბ. აღმასკომმა გადაწყვიტა ლომბარდის მთავარი განყოფილება გახსნას პლეხანოვის გამზირზე. იმ შენობაში, რომელიც ამჟამად უჭირავს ცეკავშირის სტამბას. ეს შენობა მეტად მოხერხებულია ლომბარდისათვის. სტამბა კი გადატანილი იქნება სხვა ადგილას.

საერთოდ ლომბარდის მუშაობის გასაცხოველებლად და მოსახლეობისათვის შეღავათის მისაცემად, თბ. აღმასკომის დადგენილებით, საკომისიო მიტანილ ნივთებზე დაკლებული იქნა პროცენტები.

აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ნივთების სწორად შეფასებას.

ბრძოლა მეძაობასთან

უკანასკნელ ხანებში თბილისში გამრავლდა მეძავები, რომლებიც ავრცელებენ სხვადასხვა ვენერიულ ავადმყოფობას. თბ. ჯანმრთელობის განყოფილებამ გადაწყვიტა მეძაობის წინააღმდეგ აწარმოოს სასტიკი ბრძოლა. ამ მიზნით დაარსდა მეძაობასთან მებრძოლი ბიურო, რომელშიაც შედიან სხვადასხვა დაწესებულებების და ადმინისტრატიული სამმართველოს წარმომადგენელნი. ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია სოციალურ სენებთან მებრძოლი ქვე-განყოფილების გამგე ლ. წერეთელი.

მანქანის გამოცდა

გუშინ, დილით, პლეხანოვის პროსპექტზე შესდგა წყალსადენის სამუშაოების მექანიზაციისათვის შეძენილ მანქანის გამოცდა.

ეს მანქანა-აპარატი მუშაობს ავტომობილის მზგავსი მამოძრავებელით, რომელიც კომპრესორში გუბავს ჰაერს. ეს დაგუბული ჰაერი რეზინის მილის საშუალებით გადის მომუშავე აპარატებთან, როგორც არის რკინის კეტი, ნიჩაბი, სატკეპნი აპარატი, ბურღი და სხ. ჩამოთვლილი ხელსაწყოები მუშაობენ სწორედ ამ დაგუბული ჰაერის დაწოლით.

გუშინ დილით გამოსცადეს: რკინის კეტი, რომელიც ამტვრევს ასფალტს და თხრის მიწას. გამოცდამ ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო.: რკინის კეტი მსუბუქად იღებს ასფალტს, ქვებს და იქ, სადაც 5-6 კაცს უნდა ემუშავა, საკმარისია მხოლოდ რკინის კეტი. ქვაფენილის გარდა, რკინის კეტი თავისუფლად კუმშავს აგრეთვე გზატკეცილზე.

საინტერესო იყო აგრეთვე ბურღის გამოცდა, რომელიც ერთი წუთის განმავლობაში ბურღავს ქვაფენილზე დაგებულ სქელ ქვებს. გამოსცადეს აგრეთვე სატკეპნი მანქანა. გამოცდამ აქაც ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. მანქანამ ისე მაგრად დატკეპნა სილა და ხრეში, რომ უბრალო ნიჩაბით შეუძლებელი გახდა მისი მოთხრა.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თავის 1926-27 საოპერაციო წლის საწარმოვო გეგმაში შეიტანა ახალ დაწესებულებების დაარსება ხილეულის და ბოსტნეულის ტეხნიკურად გადასამუშავებლად.

ეს დაწესებულებები შემდეგია:

ხილის სახმობები სოფ. მერეთში და მეჯვრისხევში (ქართლი) და ქ. სამტრედიაში, თხილის სარჩევი და საკონსერვო ქარხნები სამტრედიაში და ხილის სანახ-საწყობი სოფ. მერეთში. საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ მოწონებულ ხარჯთაღრიცხვით, დასახელებულ დაწესებულებათა მოსაწყობად საჭიროა 307 ათასი მანეთის გაღება.

სასამართლო

მურადოვის და მაცუკატოვის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით და ამხ. ქავთარაძის პროკურორობით დასრულდა მოქ. ნიკოლოზ კონსტ. მურადოვის და ნიკოლოზ ხარლამპის მაცუკატოვის საქმის გარჩევა; აღნიშნულ პირებს ბრალდებათ პაველ ავთანდილოვის მოკვლა.

საქმის შინაარსი ასეთია:

გასულ წლის ზამთარში სოფ. კლდეისიდან ექვსი ვერსის მანძილზე, მდინარე ხრამში აღმოაჩინეს მოკლული მამაკაცის გვამი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ყოფილა სოფელ კლდეისის მცხოვრები კომკავშირელი პავლე ავთანდილოვი. გვამი აღმოაჩინა ადგილობრივმა მილიციამ.

წინასწარი გამოძიების დროს გამოირკვა შემდეგი: 1925 წლის თებერვალში, ავთანდილოვი თავის ამხანაგებთან—მაცუკატოვთან და მურადოვთან ერთად წასულა მდინარე ხრამში სათევზაოთ. თევზაობის შემდეგ ისინი დაბრუნებულან სოფელში, მაგრამ ავთანდილოვი მათთან აღარ იყო.

იმ ღამისვე შეუდგნენ ძებნას, დაიარეს ტყეები და ახლო-მახლო ადგილები, რამოდენიმეჯერ მივიდნენ იმ ადგილას, სადაც მოკლული ავთანდილოვი მდინარეში ეგდო, მაგრამ წყალში ვერაფერი შეამჩნიეს.

მხოლოდ მესამე დღეს შესძლეს გვამის აღმოჩენა. მოკლულს თოფი ზედვე ჰქონდა მიკრულ. და იქვე ეგდო ნაჯახი. მკვდარს შუბლი გატეხილი ჰქონდა. გამოირკვა, რომ მკვლელობა ჩადენილი ნაჯახით. იქვეთ შეიპყრეს მაცუკატოვი და მურადოვი, რომლებმაც თავი დამნაშავედ არ სცნეს.

მათი საქმე გაირჩა ოლქის სასამართლოში, რომელმაც ბრალდებულებს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი აღძრეს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც მიიღო რა მხედველობაში, რომ ოლქის სასამართლოს განაჩენი არ არის დამყარებული სარწმუნო ფაქტებზე, გააუქმა ეს განაჩენი და საქმე გადასცა სასამართლოს სხვა შემადგენლობას ხელახლა გასარჩევად.

ოლქი სასამართლოს მეორე შემადგენლობამ ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით ბრალდებულები—მაცუკატოვი და მურადოვი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

აპარინის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოში ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით და ამხ. გრიგოლიას პროკურორობით დაიწყო მოქ. აპარინის და ქაჯაიას საქმის გარჩევა; აპარინს ბრალად ედება 5.000 მანეთზე მეტის გაფლანგვა.

აპარინს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი—ლამბაროვი, ქაჯაიას—ი. ბარათაშვილი.

გუშინდელ სხდომაზე წაკითხული იქნა საბრალდებლო დასკვნა და დაკითხული იქნა მოწმეები.

საქმის გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე დღე.

ბ. ციხისთავის საქმე

ბიქტორ ციხისთავმა, რომელმაც მიმდინარე წლის ზამთარში სასტუმრო „ნოე"-ში მოკლა ქაჯაიას ასული და რომელსაც ოლქის სასამართლომ მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, საკასაციო საჩივარი აღძრა უზენაეს სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ გუშინ განიხილა ციხისთავის განცხადება და 10 წლის მაგიერად მას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

რკინის გზებზე

კვალიფიკაციის ასაწევად

უკანასკნელი გამოკვლევით რკინის გზის სპეციალისტებიდან 75 პროცენტი ტეხნიკოსებია, დანარჩენი 25 პროცენტი კი ინჟინერები. ტეხნიკოსებს უმთავრესად უჭირავთ, როგორც ადმინისტრატიული, ისე ტეხნიკური თანამდებობანი. მათ კვალიფიკაციის ასაწევად საგზაო კომიტეტმა დაავალა რკ. გზ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციას, რკ. გზ. პროფგანათლების განყოფილებასთან ერთად მოაწყოს ერთწლიანი გადასამზადებელი კურსები. ეს დადგენილება უმთავრესად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რკ. გზაზე საკმაოდ მცირეა კვალიფიკაციური ტეხნიკური ძალები და გზას ხშირად უხდება ასეთების მოწვევა საბჭოთა რესპუბლიკების სხვა გზებიდან.

კურსების გახსნის საკითხი უკვე დადებითად არის გადაწყვეტილი. კურსები გაიხსნება პირველ ნოემბრიდან. კურსებზე ჩარიცხულია 60 ტეხნიკოსი. კურსები შესდგება—საადმინისტრაციო და საექსპლოატაციო დარგებისაგან. ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა სამმართველოს წინაშე, რათა აღნიშნულ კურსების შენახვა მან იკისროს.

ამხ. ანდრეიჩიკი თბილისში

ორშაბათს, 18 ოქტომბერს, პლეხანოვის სახ. კლუბში თბილისის უბნის რკინის გზის პროფაქტივის კრებაზე რკ. გზ. პროფკავშირების მორიგ ამოცანების შესახებ, მოხსენებას გააკეთებს საბჭოთა კავშირის რკინისგზელთა პროფკავშირის ცენტრ. კომ. წევრი ამხ. ან. ანდრეიჩიკი.

გუშინ ამხ. ანდრეიჩიკი გაემგზავრა ლიბანში სანატორიუმის დასათვალიერებლად.

მატარებლის გაწყვეტა

14 ოქტომბერს სად. განჯიდან გასვლის დროს, გაწყდა მატარებელი № 306. მიმოსვლა არ შეფერხებულა.

დოლი

საქართველოს საჯიშოს ცხენები ბაქოს იპოდრომზე

მიწსახკომის მიერ ბაქოდან მიღებულ დეპეშის თანახმად, ბაქოს იპოდრომზე გამართულ დოლში პირველად მივიდნენ საქართველოს სახელმწიფო ცხენსაშენის ცხენები „სარდარი" და „იაიჯა-ქვათურელა", ხოლო მეორედ—„კვარცი".

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრობა მზის სინათლიდან

ალბათ მკითხველს, ბნელ ღამეში გაუნათებელ ქუჩებით სახლში დაბრუნების დროს, ხშირად უფიქრნია—რა კარგი იქნებოდა, რომ ადამიანს მოეხერხებია იმ სხივების თუგინდ ნაწილის მომარაგება ღამისათვის, რომელსაც მზე ასე უხვად გვიგზავნის დღის განმავლობაში.

ერთ ამერიკულ ჟურნალს—„პოპულიარული მეცნიერება" (1926 წ. ივლისი)— დაეყრდნობით, ეს გაბედული ოცნება—მზის სინათლის შეკრებასა და გამოყენებაზე—ახლოა განხორციელებასთან. ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა—ვილიამ კობლენცმა, ამერიკული სასტანდარტო პალატის რადიო-მეტრიულ ბიუროს გამგემ, მრავალი წლების დაუღალავი მუშაობის შემდეგ მოახერხა ისეთი შესანიშნავი ნივთიერების პოვნა, რომელსაც, ჩვენთვის ჯერ უცნობი თვისებების წყალობით, შეუძლია დღის სინათლის გადაქცევა ელექტრო-დენათ.

ეს ნივთიერება მოიპოვება ერთ მინერალში—მოლიბდენიტში, რომელშიც იგი ნაპოვნია პატარა მარცვლების სახით.

თუ მოლიბდენიტის პატარა ნატეხს მოვათავსებთ კოლოფში ორ გამტარს შუა და ამ კოლოფში მოვახვედრებთ მზის სხივს, მავთულების ბოლოში მიმაგრებული გალვანომეტრი აღნიშნავს სუსტ ელექტრო-დენს.



აქ მოყვანილ სურათზე (ზევით) დახატულია თვით კობლენცი თავის ლაბორატორიაში მუშაობის დროს, ქვევით კი—პროექტი მზის ელექტრონული მანქანის, რომელიც, შესაძლებელია, ხვალ რეალობათ გადაიქცეს.

ამ მანქანას მაშინ ექნება სამი ფართე დისკოს, რომლის ზედაპირი დაფარული იქნება პატარა უჯრედებით. ამ უჯრედებში მოთავსებული იქნება მოლიბდენიტის ნაჭრები. მოლიბდენიტის ნაჭრები მავთულებით შეერთებული იქნება ელექტრონის ენერგიის შემკრებ მანქანებთან, რომელთა ენერგიით სარგებლობა შესაძლებელი იქნება ღამით.

თუ მართლა მოახერხეს და გააკეთეს ეს შესანიშნავი ფოტო-ელექტრო-გენერატორი და თუ მისი დამზადება არ დაჯდა ძვირი,—შესაძლებელია ვთქვათ, რომ ჩვენ ვიმყოფებით ელექტრონული ენერგიის მოპოვების დარგში ახალი, უდიდესი გარდატეხის წინაშე. ვ. ვ.

ნ ა რ ე ვ ი

კატორღელების კუნძულები

ვინაიდან ამერიკის ციხეების უმრავლესობა პატიმრებს ვეღარ იტევს, შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა ისეთი კუნძულის ძებნას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ბოროტმოქმედთა გადასახლება. ასეთი კუნძული იპოვეს. ეს არის ე. წ. „ქარიშხლების კუნძული", რომელიც მდებარეობს წყნარ ოკეანეში სამასი კილომეტრის მანძილზე ამერიკის ნაპირებიდან. ამ კუნძულზე იქნებიან გადასახლებული ის ბოროტმოქმედნი, რომლებსაც 15 წლის (და მეტი) ციხე აქვთ მისჯილი. გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმს"-ის ცნობით, ბოროტმოქმედთ უფლება ეძლევათ წაიყვანონ კუნძულზე თავისი ოჯახები და წაიღონ საჭირო ნივთები.

მეცნიერები ჯალათების სამსახურში

ნიუ-იორკის ბურჟუაზიულ გაზეთ „ეხო"-ში მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები ბოროტმოქმედთა ახალი საშუალებით სიკვდილით დასჯის შესახებ.

ნევადას შტატში უკვე მეორეჯერ ისარგებლეს გაზით ბოროტმოქმედის სიკვდილით დასჯის დროს. მსჯავრდადებულმა [illegible] წამზე უკვე დაჰკარგა გრძნობა, 2½ წუთის შემდეგ კი მოკვდა.

მსჯავრდებულის აგონიისათვის თვალყურის სადევნებლად ოთახის კედელში გაკეთდა ჰუბრუტანები. მეცნიერებმა, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ სიკვდილით დასჯას, გაიკეთეს ყურზე ტელეფონის მილები, რომლების საშუალებით სუსტი ფაჩუნის გაგონებაც კი შეიძლება. მიკროფონების საშუალებით მათ ესმოდათ მომაკვდავის უკანასკნელი სუნთქვა და გულის უკანასკნელი ძგერა.

„ცოლიანი შტატი"

ასეთი სახელი მონათლეს ამერიკაში ტეხასის შტატი, სადაც ძლიერ განვითარებულია მრავალცოლიანობა და ხშირია საქორწილის გაცილების შემთხვევები. ქ. ტეხასში, ტეხასის სატახტო ქალაქში, ყოველდღიურად ცოლიანი (ცოლების მიერ დატოვებული) 1.000-ზე კაცი ჩამოდის.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან

15 ოქტომბერი, 1926 წ., № 28. ქ. თბილისი.

1. თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის და თბილისის სამაზრო სამხედრო კომისარიატის ა. წ. 14 სექტემბრის თარიღით № 21 განცხადების დამატებით, ამასთანავე ცხადდება, რომ 1904 წ. დაბადებული ყველა მოქალაქენი, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო გაწვევაზე აქამდე არ გამოცხადებულან, ვალდებული არიან გამოცხადდნენ თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქ., № 24), დილის 8 საათისათვის ქვემოდ აღნიშნულ შემდეგ დღეებზე:

მცხოვრებნი ქ. თბილისის 1, 2, 3, 8, 9 და 10 სამ. უბნებში—18 ოქტომბერს; მე-4, 5, 6, 7, 11 და 12 სამილ. უბნებში 19 ოქტომბერს. თბილისის მაზრის გარე-კახეთის, ყარაიის, ასურეთის, მცხეთის, ერწოს, თიანეთის, მანგლისის, აღბულაღის და წალკის რაიონებში—20 ოქტომბერს.

2. სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი და წარმოებანი და აგრეთვე სამოქალაქო ხელისუფლების პირნი ვალდებულნი არიან მიიღონ მათგან დამოკიდებული ყოველგვარი ზომები, რათა ჯარში გასაწვევი ყველა მოქალაქენი თავის დროზე გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტზე და შეამოწმონ, რომ ყველა მათგანს ჰქონდეს სათანადო საბუთები ჯარში გაწვევაზე გამოცხადების შესახებ.

3. ამ განცხადების 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადები საბოლოოა და ყველა სამხედრო ვალდებულნი, რომლებიც არ გამოცხადდებიან ამ ვადაზე, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში, როგორც მორიდებულნი, საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარის თან. ამშ. ფანჯიკიძე.

სამობილიზაციო ნაწილის უფროსი სიდამონ ერისთავი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში 19 ოქტ. დღის 12 საათზე (ოთ. № 10) მოწვეულია მეთოდბიუროს სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისათვის:

ქ. სულაკველიძე, დუდუჩავა, კვიცარიძე, ხაჰაპურიძე, თათარიშვილი, ჯაფარიძე, ბუდილიევი, ორახელაშვილი (გ. კომ.) მაჭავარიანი, ხუნდაძე, ხიტაროვი, ალავერდიანი, მუშანია, მეძმარიაშვილი.

ს. კ. პ. (ბ) აგიტპროპის მდივანი მამალაძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 18 სექტემბერს, დღის 1 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

მეორე რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრებსა და კანდიდატების დაუყოვნებლივ დასწრება სავალდებულოა.

მდივანი ფანცულაია.

— ქართულ მუშფაკთან არსებულ ახალ. კ. კ. უჯრედთა ბიუროს კოლექტივი ამით აცხადებს ყველა წევრების და კანდიდატების საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 18 ოქტომბერს შესდგება უჯრედების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგი ბიუროს კოლექტივის ანგარიში და მისი გადარჩევა. დასწრება სავალდებულოა ყველა წევრების და კანდიდატების.

— ლენინრაიკომის საავ. საპროპ. განყოფილება იუწყება, რომ 18 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ლენინის რაიონის პოლიტ-სკოლების ხელმძღვანელების პირველი თათბირი.—ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გამო ყველა ქვემო აღნიშნულ პირების დასწრება, როგორც ხელმძღვანელებისა სავალდებულოა.

ა.-კ. კავკასიის კომ. უნივერსიტეტიდან: 1. სახელაშვილი, 2. ხოტაია, 3. დავიდოვი, 4. კაჰარავა, 5. ჰანტურია, 6. მეტონიძე, 7. მაგიტაძე, 8. აშინი, 9. ზერგმანი ანა, 10. ველიბეგოვი, 11. დავიდოვი, 12. დოლიძაშვილი, 13. კენისბერგი, 14. პაპავა (სახელმწიფო უნივერსიტეტი), 15. მენაბდე (საქ. ც. ა. კ. ი.), 16. ვასაძე (პროფკურსები). 17. შევცოვი (სამმართველო). 18. ბობოხიძე (სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი). 19. კალაძე ალექსანდრე (თბილისის საბ. პარტსკოლა), 20. ლებედევი (თბილისის ფეხოსანთა სკოლა), 21. კოდიშნოვი (ა.-კ. რკ. გზის სამმართველო), 22. ამოსოვი.

ლენრაიკომის საავ. საპროპ. განყ. მდივანი ნორაკიძე.

ფილიპე მგელაძის

გარდაცვალებიდან ორი წლის თავის აღსანიშნავად

კვირას, 17 ოქტომბერს, დღის პირველ საათზე, ვერის ნაკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს ცოლი მისი ანა მგელაძე

ღრმად დამწუხრებულნი: ვასილი, ივანე, დათიკო, მარიამი და ნინა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა. წ. 15 ოქტომბერს ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენთა საყვარელი დედა

ელისაბედ (სოფიო) ალიაშვილი
(მჭედლიშვილისა)

პანაშვიდი დღეს, 17 ოქტომბერს 5 ნახ. საათზე, ყოფილ მიხეილის საავადმყოფოში. გამოსვენება ამავე საავადმყოფოდან მოხდება ორშაბათს 18 ოქტომბერს დღის 3 საათზე. ქვ. 224

დღეს, 17 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, საყვარელ და დაუვიწყარ

ვალოდია გეხტმანის

გარდაცვალების წლის თავზე კუკიის სასაფლაოზე გარდაცვალებულის საფლავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც იტყობინებიან დედა, მამა, ცოლი, ქალიშვილი, ძმა და რძალი. 213

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სოფიო თომას ასული, შვილი ექიმი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ძმა დეკან. ნესტორ შვილებით, რძლები: ეკატერინე, ოლღა და ვერა მაჭარაშვილები, დაი პელაგია თეთრაძისა ქმარ-შვილით, შვილისშვილები: კლარა, საშურკა და ვერუსია. აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ალექსანდრე სიმონის ძე
მაჭარაშვილი

15 ამ ოქტომბერს ქ. სურამში. გამოსვენება თავის ბინიდან ორშაბათს, 18 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე.

კვირას, 17 ოქტომბერს, წმ. ნინოს სასაფლაოზე პირველ საათისთვის გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

მარიამ (მარუღო) გიორგის ასული
სიმონიშვილის

მოსაგონად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის შვილები—ირაკლი, ვიქტორი, ვახტანგი, ქსენია, ალექსანდრა და რძალი ქეთევან სიმონიშვილები, 215

საქართ. სახელმწ. კინომრეწველობის სააქციო საზოგადოება

სახკინმრეწვი

რწმუნებულები საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ცენტრში

გამგეობა და კინო-ფაბრიკა, პლეხან.
№ 164. გამქირავებელი კანტორა
თბილისი რუსთავ. პრ. № 10

წარმომადგენლობა საბ. ს. რ. კ.-ში:
მოსკოვი, ტვერსკაია № 38

სამხატვრო ფილმების წარმოება და გაქირავება. სამეცნიერო, სამეურნეო, წარმოებითი და სხვ. ფილმებისა და ქრონიკის წარმოება. კინო-თეატრები: მოსკოვში, ლენინგრადში და თბილისში

1926—27 წ. წ. სეზონში საქართველოს სახკინმრეწვი უშვებს საქირაოდ თხუთმეტ სამხატვრო ფილმს

სავურ საფლავი
რეჟის. ი. ნ. პერესტიანი.
ოპერატ. ა. დ. დიღმელოვი.
მთავარ როლებში: ს. ჟოზეფი, ს. ლიუკს, ა. ბიხოვა, პ. ესიკოვსკი, კ. ბენ-სალიბ.

თავ. შირვანსკის ასულის დანაშაული
(აზერბეიჯანი)
რეჟის. ი. ნ. პერესტიანი.
ოპერატ. ა. დიღმელოვი.
მთ. როლებში: მ. შირაი, ს. ჟოზეფი, ს. ლიუკს, პ. ესიკოვსკი, ა. შირაი, მ. იაკობინი, კ. ბენ-სალიბ.

სასჯელი
(აზერბეიჯანი 2)
რეჟის. ი. ნ. პერესტიანი.
ოპერატ. ა. დიღმელოვი.
მთ. როლებში: მ. შირაი, ს. ჟოზეფი, ს. ლიუკს, პ. ესიკოვსკი, ა. შირაი, მ. იაკობინი, კ. ბენ-სალიბ.

ხ ა ნ უ მ ა
რეჟის. ა. წუწუნავა.
ოპერატ. ს. ზაბოზლაევი.
მთ. როლებში: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, [illegible] ბოლქვაძე, ლ. კავსაძე, კ. მიქაბერიძე, მ. ჭიაურელი, ი. ტრაპაიძე, ვ. გუნია.

ორი მონადირე
რეჟისორი: ა. წუწუნავა.
ოპერატორი: ს. ზაბოზლაევი.
მთ. როლებში: თ. კალანდაძე, ე. ჩერქეზიშვილი, მ. გელოვანი, კ. მიქაბერიძე.

სამანიშვილის დედინაცვალი
რეჟის. კ. მარჯანიშვილი და ბერიშვილი ზ.
ოპერატორი: ენგელსი.
მთ. როლებში: ქ. ჯაჯანაშვილი, ც. წუწუნავა, ა. ვასაძე, შ. დამბაშიძე, მ. ლორთქიფანიძე, ალ. ჟორჟოლიანი.

იბრაჰიმ და გოდერძი
რეჟის. ზ. ბერიშვილი.
მთ. როლებში: ა. ქიქოძე, ა. იმედაშვილი, ლ. კავსაძე, ტრაპაიძე.

იულან-დილი
რეჟისორი: ი. ნ. პერესტიანი.
ოპერატორი: დიღმელოვი.
მთ. როლებში: ს. ჟოზეფი, ს. ლიუკს, კ. ესიკოვსკი, კ. ბენ-სალიბ.

გაფლანგვა
რეჟისორი: ი. ნ. პერესტიანი.
ოპერატორი: ა. დ. დიღმელოვი.
მთ. როლებში: ს. ჟოზეფი, მ. ტენაზი, მ. პრიბალოვა, პ. მორსკოი, ი. კრუჩინინი, კ. ლავრეცკი, მ. იაკობინი.

ბ ე ლ ა
რეჟის. მ. ბარსკი.
ოპერატორი: პოლიკევიჩი.
მთ. როლებში: თ. მაჭავარიანი, ნ. პროზოროვსკი, ა. თაყაიშვილი, ვ. ოგოლევსკი.

ა მ ო კ
რეჟის. კ. მარჯანიშვილი.
მთ. როლებში: თ. თარხან-მოურავი, ც. წუწუნავა, პრესმანი, ვ. გუნია.

ჩვენი დროის რაინდი
რეჟისორი: ვ. ბარსკი.
ოპერატორი: ა. პოლიკევიჩი.
მთ. როლებში: თ. ბოლქვაძე, ზ. ბელიცკაია, ნ. პროზოროვსკი, ზ. დავითაშვილი, ა. თაყაიშვილი.

გ ი უ ლ ი
რეჟისორი: ლ. პუში და შენგელაია.
ოპერატორი: მ. კალატოზიშვილი.
მთ. როლებში: ნატა ვაჩნაძე, ა. იმედაშვილი, ქ. ყარალაშვილი, მელიავა, ა. თაყაიშვილი, ვარდოშვილი.

ზ ვ ი რ თ ი
(ირუბახანი)
რეჟისორი: ი. ნ. პერესტიანი.
ოპერატორი: ა. დ. დიღმელოვი.
მხატვარი: ვ. სიდამონ-ერისთავი.
მთ. როლებში: მ. შირაი, მ. ჩიმიშკიან, ნ. ქარუმიძე, ა. შირაი, პ. ესიკოვსკი, მ. იაკობინი, ი. კრუჩინინი.

დოღლაძის მეუღლე
რეჟის. ი. ნ. პერესტიანი.
ოპერატ. ა. დ. დიღმელოვი.
მხატვარი: ვ. სიდამონ-ერისთავი.
მთ. როლებში: ნატა ვაჩნაძე, ნ. ქარუმიძე, აბაშიძე, ს. ლორთქიფანიძე, შერვაშიძე, დ. ქიფიანი.

საქართველოს სახკინმრეწვი 1927 წლის განმავლობაში ამზადებს უდიდეს დადგმებს

ჰაჯი მურატი
ლევ. ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით
რეჟისორი: ა. წუწუნავა.
ოპერატ. ზაბოზლაევი.
მხატვარი: ვ. სიდამონ-ერისთავი და ე. ლანსერე.

ჯოჯოხეთი და სამოთხე
სცენარი მ. შარაშიძისა
რეჟისორი: კ. მარჯანიშვილი.
ოპერატორი: ვ. ენგელსი.
მხატვარი: ლ. გუდიაშვილი.

სამეცნიერო, სამეურნეო, წარმოებითი და სამხედრო ფილმები:

ზ ა ჰ ე ს ი
3 ნაწილად.
ოპერატორები: დიღმელოვი, ზაბოზლაევი, ენგელსი, პოლიკევიჩი, კერესელიძე, კალატოზიშვილი.

ს ვ ა ნ ე თ ი
(ზნე და ბუნება)
ოპერატორი: ვ. კერესელიძე.

ბამბის კულტურა
3 ნაწილად
ოპერატ. მ. კალატოზიშვილი.

ხევსურეთი
2 ნაწილად (ზნე და ბუნება)
ოპერატორი: ა. პოლიკევიჩი.

წითელი არმიის წვრთნა
3 ნაწილად
ოპერატორი: მ. კალატოზიშვილი.

ქალების როლი წითელ არმიაში
3 ნაწილად
ოპერატ. მ. კალატოზიშვილი.

საბჭ. საქართველო
(აღმშენებლობა, ბუნება, ზნეჩვეულება)
8 ნაწილად
ოპერატორები: დიღმელოვი, ზაბოზლაევი, ენგელსი, პოლიკევიჩი, კალატოზიშვილი, კერესელიძე.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 17 ოქტომბერს ბოგოლეპოვას, დამსახურებულ მსახიობ ქალი ხკიბიცკისა, შარაშიძის, ვიტტინგისა და ქარცივაძის პირველი გამოსვლისათვის „აიდა"

19 ოქტომბერს ევგენი ონეგინი

ნ. 87

აპოლო არფასტო სოლეი

უკანასკნელი დღე

„ხანუმა" (ქეთო და კოტე)

რეჟის.—ა. რ. წუწუნავა. ოპერ.—ს. ზაბოზლაევი.
სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი.

ანონსი: ზვალ—აპოლოში „Навстречу жизни", არფასტოში,—„ცრუმორწმუნოების მონა"

პრემიერა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

„ცნობილი უცხოელი"

გარრი პილის მონაწილეობით
2 სერია, 12 ნაწილი ერთ საღამოს
ჩვენება გრძელდება 18, 19 და 20 ოქტომბერს.
პროგრამის გარეშე: კინოებში აპოლო, სოლეი და არფასტო: „სახალხო არტისტის ვასო აბაშიძის დასაფლავება".

---

21 ოქტომბ. ხუთშაბათიდან 21 ოქტომბ.

კინო-თეატრებში

სოლეი-არფასტო-მინიონ

პროცესი სამი მილიონის შესახებ

რეჟისორი ი. ა. პროტოზანოვი.
მთავარ როლებში: იგორ ილინსკი, ჟიზნევა, კტოროვი და კლიმოვი.

„НАША ГАЗЕТА" პირველი სექტემბრის ნომერში სწერს: „მაყურებელი მიდის თეატრიდან მოჯადოებული სურათით"

ნ. 86

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 17 ოქტომბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა, გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 62

საპატენტო გადასახადი

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებათა და კერძო ვაჭარ-მრეწველთა საყურადღებოთ, რომ თანახმად საკავშირო ფინსახკომის დადგენილებისა მიმდინარე წლის 27 სექტემბრიდან № 137, ყველა დაწესებულებებმა და პირებმა, რომლებიც ვალდებულნი არიან 1926-27 წლისათვის შეიძინონ სარეწავი პატენტები, უნდა შეიტანონ შ/გ. სალაროში პატენტის ნახევარი ღირებულება არა უგვიანეს 1926 წლის 1 ნოემბრისა იმ რაოდენობით, რომელიც დაწესებულია ახალი დებულებით (იხ. გაზ. „იზვესტია" 26/9 1926 წ. № 222).

წინად შეტანილი ავანსი ჩათვლილი იქნება პატენტის ღირებულების მეორე ნახევრის შეტანის დროს, რომლისთვისაც დაწესებულია ვადა არა უგვიანეს 1927 წლ. 2 იანვრისა. საწყობების, ფუფუნების საგნებით ვაჭრობისათვის და პირად სარეწავი საქმიანობისათვის ასაღები პატენტების ღირებულება შეტანილი უნდა იქნეს სალაროში ერთდროულად არა უგვიანეს მიმდინარე წლის I ნოემბრისა.

ამავე ვადაში უნდა იქნეს შეტანილი აგრეთვე იმ პატენტების ღირებულებაც, რომლების წინად შეტანილი ავანსი უდრის ან აღემატება პატენტის წლიური ღირებულების ნახევარს.

საპატენტო გადასახადი უნდა შეტანილ იქნეს შ/გ. სალაროში დაწესებული ფორმების განცხადებით (№—1—ა) და ფინინსპექტორის ვიზით.

ყოველივე საჭირო ცნობების მიღება შეიძლება სათანადო უბნის ფინანსთა ინსპექტორის კანცელარიაში.

ფინანსთა სახ. კომისრის მოადგილე **ფანცხავა.**

გადასახადთა განყოფილების მმართველი **ბეზირგანიშვილი.**

ნ. 85

„ტელას"-ი (თბილისის ელექტრო-ანაგებთა სამმართველო)

მისამართი: თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლის შენობა.

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, ა. წ. 20 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, „ტელას"-ის სადგომზე დანიშნულია საჯარო შეჯიბრება, თბილისის ფარგლებში დაბალი ძაბვის ქსელის ელ-გაყვანილობის საჰაერო შემტანების სახლებში მოწყობის სამუშაოების შესრულების ერთეულ ფასებში გაცემაზე.

ტეხნიკური და სამუშაოს შესრულების დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება „ტელას"-ის ელექტრო-ტეხნიკურ განყოფილებაში, ყოველდღე დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე.

სამმართველოს გამგე **მგელაძე**

ნ. 88. საქმეთა მმართველი **გრომაშვილი.**

იყიდება

ძველი ეტლები, თვლები და სხვადასხვა ნაწილები

დათვალიერება შეიძლება 10—12 საათამდე ყოველდღე უქმეების გარდა მალაკნის ქ. № 48, ეზოში

მოქ. ი. მეგრელიშვილთან

განცხადებები მიიღება ბორჯომის მინერალური წყლის სამმართველოში რუსთაველის გამზ. № 10 ტელეფ. 6—78.

ნ. 79 3—1

ყველა სამეურნეო, კომუნალურ, კოოპერატიულ დაწესებულებების და იმ პირთა

საყურადღებოდ

რომელთაც აქვთ კავშირი აღმშენებლობასთან

ცხადდება

რომ. ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან ყოფილი სამთოქიმიის აგურ-კრამიტის ქარხანა სადგურ ქსანში გადმოვიდა დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში. ყოველგვარი შეკვეთებით და ცნობებისთვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: სადგ. ქსანი, აგურ-კრამიტის ქარხანა.

დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის

საანგარიშო მეცნიერებათა (საბუხჰალტრო) კურსები

დაიწყო მეცადინეობა, მსურველთა მიღება გრძელდება ახალ ჯგუფში საღ. 5—8 საათამდე.

220 ჰავჰავაძის ქ. № 9.

თბილისის წიგნის მთავარ მაღაზიებში

იყიდება

პოპულიარულად დამუშავებული შემდეგი წიგნები:

1. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი, 1926 წლის გამოცემა . . . . . 50 კ.
2. არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწილთა თეორია . . . . . 50 კ.
3. ფუნქციონალური დამოკიდებულება და მისი ახსნის მათემატიკური საშუალებანი, 1926 წ. გამოცემა . . . . . 50 კ.
4. ტრიგონომეტრია, მეთოდიური ცდა, მასწავლებელთათვის, 1926 წლის გამოცემა . . . . . 1 მ.
5. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის . . . . . 30 კ.
6. ძველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი. . . . . . 40 კ.

წიგნების გამოწერა და შეძენა შეიძლება ავტორისაგანაც, სოფლის მასწავლებელთათვის 50 % ფასდაკლებით: თბილისი, ავლაბრის ფოსტის განყოფილება.

15—3 ქვ. 10 ი. ჯიშკარიანი

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ტყავეულობის ტრესტი

აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს დღის 12 საათზე ტრესტის შენობაში კომუნალურ ქუჩაზე № 82, შესდგება

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიყიდება სხვადასხვა გვარი არა ლიკვიდური ქონება, როგორიც არის საგულეები, საცხენოსნო სარტყლები, უღლები და სხვ.

ნ. 84 გამგეობა.

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს, დღის 11 საათზე, დავით და გერმანე კალანდაძეების კონიაკის და არაყის ქარხანაში ხოდგურის ქ. სახლი № 13, ის პირველი საჯარო ვაჭრობით გაყიდის მათ, კალანდაძეების შემდეგ ქონებას, რომელიც გასასყიდათ შეფასებულია 255 მანეთად: კონიაკის და არაყის საწვენდი აპარატი, 2 რკის და 3 ხის ბოჭკა პირველი კონიაკისათვის, მეორე არაყისათვის, აგრეთვე 2 საწერი მაგიდა. 223

ქ. თბ. მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 1, 2 მუხრანის და რუსის ქ.ქ. კუთხეში (მე-3 სამილიციო უბანი) საჯარო ვაჭრობით გაყიდის ამ სახლების 1 | 16 (ერთი მეთექვსმეტედ) ნაწილის უფლებას, რომელიც ეკუთვნის გიორგი ივანეს-ძე ხატისოვს, კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრის ვალის დასაკმაყოფილებლად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 30 აპრილს 1924 წ. თარიღით № 22954, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით. აშენებული სახლები არის სამსართულიანი, დახურული თუნუქით, აშენებულია ქალაქის მიწაზე ზომით 152 ოთხკ. საჟენი. შიგ არის 28 საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო. ეს 1 | 16 ნაწილი შეფასებულია ას თუმნად (1000 მან.) მყიდველებმა უნდა დაიცვან სამოქ. საპრ. კოდ. 311, 312, მუხლებში აღნიშნული წესები. 211

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს 1926 წ. დღის 10 საათზე ადგილობრივ ქ. გორში დანიშნულია მოქ. მიხეილ მერებაშვილის ქონების საჯარო ვაჭრობა. ქონება შეიცავს ფიცრულის ბოსელს, ფიცრულის საბძელს, ერთ ხალიჩას, ფირტახტს და სხვ. შეფასებულს 760 მ. ვალის სანაზღაუროთ გიგაურის, ჩიხლაძის, საურთიერთო ნდობის საზ. და სხვ. თანახმად გორის უბნის სახ. სასამარ. აღმასრ. ფურცლისა და სარმ. ბრძანებისა 1926 წ. № 1936, 1937 და სხვ. ნ. 80

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 5724 გამოცემული ქ. ფოთის სატრანსპორტო კავშირის მიერ გრიგოლ მიხეილის ძე ფრუიძის სახელზე, ჩ. გ. 214

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 438884, ანდრია გაგნიძეს სახელზე, ჩ. გ. 216

დაკარგა მეტრიკული ამოხაწერი და რეგისტრაციის წიგნაკი ხარიტონ იოსების-ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 221

დაკარგა უვადო პასპორტი № 2525, ჰაზარაპეტ მირზაზ-ძე ვართანოვის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა უვადო პირადობის მოწმობა № 187, ხელოსანთა საზოგადოების კავშირის წიგნაკი № 121, ვარდენ ვასილის-ძე მარგველაშვილის სახელზე, ჩ. გ. 212

დაკარგა უვადო პასპორტი და ინვალიდობის მოწმობა მოც. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატიდან ნესტორ ჩახვაძის სახელზე, ჩ. გ. 218

დაკარგა მირზოევის სახელზე ღვინის გად. მოწმ. № № 3, 20409, 6540, 6030, 6550, 965, 763, 22648, 8528, თბილისის ფინგანის საწ. ქვ. № № 783, 1631, 1221 და 15711, ჩ. გ. 219

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 21 ოქტომბერს 1916 წ. დღის 2 საათზე სახლში 28 რიყის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის „არმაზის" მეპატრონე გ. ბაღდასაროვის მოძრავ ქონებას: რომელიც შესდგება ლიმონათის ქარხნის მანქანებს თავისივე მოწყობილობით, აგრეთვე, ავტომობილი, ფურგუნები და ორი ცხენით შეფასებულს 2632 მანეთად, სურსათ-გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 ივლისს 1926 წ. თარიღით, № 3009 და 15 ოქტ. № 3830 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 222

საქართველოს ს.მ.უ.ს. საპნის, ზეთის და საფეიქრო ტრესტის „საპონ-ზეთის"

ბალანსი

1925 წლ. 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი.

ქონება		
1. შენობანი და ნაგებობანი	345.009—13	
2. გაწყობილობა და მანქანები	485.901—77	
3. იარაღი	8.352—24	
4. ინვენტარი	19.755—80	
5. ტრანსპორტი	6.362—91	865.381—85
მასალა		
1. წარმოებითი		
ა) ძირითადი	97.759—01	
ბ) დამხმარე	37.474—35	
გ) სათბობი	3.697—57	
დ) გზაში	29.197—90	168.128—83
2. არა წარმოებითი		57.349—34
3. სათადარიგო განყოფილება, იარაღ. და მანქ. ნაწ.		35.431—87
ნახევარ-ფაბრიკატები		
1. საწყობებში		29.798—02
საქონელი და დამზადებული ნაკეთობა		
1. საწყობებში და მაღაზიებში		204.065—05
ფულადი სახსარი და ფასიანი ქაღალდ.		
1. სალარო და მიმდინარე ან-ში	13.584—04	
2. პაიები და აქციები	10.400—	23.984—04
ანგარიშ-სავალდებულო თანხები		8.489—85
სამისალებო ვალდებულებანი და დოკუმენტები		
1. სამისალებო თამასუქები	72.760—34	
2. განაღდებული თამასუქები	183.744 43	
3. სამისალებო პროტესტქმნილი თამასუქები	18.752—28	
4. სამისალებო დოკუმენტები	2.856—89	278.113—94
დებიტორები		
1. ავანსი მუშა-მოსამსახურეთ	7.775—43	
2. ავანსი ნარდათ მომუშავეთ და გამყიდველ-მიმწოდებელთ	83.068—42	
3. მყიდველნი	97.903—04	
4. სხვა და სხვა დებიტორი	5.804—91	
5. საეჭვო მოვალენი	5.261—82	199.813—62
დაუმთავრებელი წარმოება		121.005 51
დამთავრებული ნამზადი		15.229—44
კაპიტალური რემონტი		
1. დაუმთავრებელი		68.164—14
დაუმთავრებელი შენობანი:		18.255—78
მომავალი წლის ხარჯები.		8.615—84
საწესდებო კაპიტალის შემცირება:		
1. საბრუნავის		107.015 59
ბალანსი	— ——	2 208 842—71
ბალანს გარე მუხლები		
მიწა 13.446 კვ. საჟენი	— ——	26.892— —

პასივი

კაპიტალები		
საწესდებო:		
ა) ძირითადი	653.162—57	
ბ) საბრუნავი	183.812—95	836.975—52
საამორტიზაციო		87.719—53
სარეზერვო (სათადარიგო)		11.851—
მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი		9.093—73
ფონდი საეჭვო ვალების ზარალის დასაფარავად.		2.630—91
სესხი და კრედიტები		
1. სპეც. მიმდინარე ან-ში ბანკებში	124 967—99	
2. ბანკები თამასუქების განაღდებისათვის	183.744—43	
3. სესხი	219.330—	528.042—42
გაცემული თამასუქები		283.594—01
კრედიტორები		
1. მუშა-მოსამსახურენი	15.410—28	
2. ნარდათ მომუშავენი და გამყიდველ-მომწოდ.	42.149—40	
3. მყიდველთა ავანსები	42.829—58	
4. სხვა და სხვა კრედიტორი	36.528—91	
5. ფინანსთა სახ. კომისარიატი	62.890—90	199.809—07
საწესდებო კაპიტალის გადიდება		
1. ძირითადის		137.751—45
მოგება		
1. საანგარიშო წლის		111.375—07
ბალანსი	— ——	2.208.842—71

ტრესტის მმართველი: **კობახიძე**

მთავარი ბუხჰალტერი **ლიუტი**

მოგებისა და ზარალის ანგარიში

ზარალი.

	%%	
1. სავაჭრო ხარჯები	5,5	14.044 97
2. გამგეობის საერთო საადმინისტრაციო ხარჯები	20,6	52.969 05
3. გადახდილი პროცენტები	12.2	31.540 90
4. ზარალი ფას. ქაღალ. რეალიზაციისა	0,0	57 09
5. ზარალი არასაიმედო ვალებისა და სარეზერვოდ მოქცეული საეჭვო ვალების ჩამოწერის გამო	3,3	8.542 59
6. გადახდილი ჯარიმა, საურავი და პირგაუტ. ჯარიმა	1,5	3.880 10
7. ზარალი მასალისა და საქონლის გადაფასების გამო	35,0	90.142 12
8. ზარალი საქონლის, მასალის და სხვა ნაკლებობის გამო	9,1	23.494 43
9. დახურული - დაუშლელი საწარმოთა შენახვა	1,1	2.922 10
10. ზარალი ფაბრიკების მოცდენის გამო	0,2	625 —
11. შემთხვევითი სხვადასხვა ხარჯები	11,5	29.487 36
სულ	100,0	257.705 71
12. მოგება საანგარიშო წლის		111.375 07
ბალანსი		369.080 78

მოგება.

	%%	
1. მოგება საქონლისა და ნაკეთების რეალიზაციისა	60,8	224.654 64
2. მიღებული პროცენტები	2,6	9.455 78
3. გადანამეტი მასალა, საქონელი და სათბობი	13,7	50.648 28
4. მიღებული საურავი და პირგაუტეხლობის ჯარიმა	0,1	317 30
5. მოგება საქონლის და მასალის ზედნართული შეფასების გამო	18,5	68.226 85
6. შემთხვევითი და სხვა შემოსავალი	4,3	15.777 93
სულ	100.0	369.080.78
ბალანსი		369.080 78

ბუხჰალტერი **ლიუტი**

მოგების განაწილება

1. საშემოსავლო გადასახადი	10 %	— 11.137—50
2. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი	10 „	— 11.137—50
3. სარეზერვო ფონდი	20 „	— 22.275—02
4. ანარიცხი ხაზინის სასარგებლოდ	25 „	— 27.843—77
5. საბრუნავი კაპიტალ. გასაძლიერებლად	35 „	— 38.981—28
სულ	100 %	—111.375—07

ეს ბალანსი განხილულია ს.მ.უ.ს. ცენტრალურ ბუხჰალტერიაში, დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიისა და საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ და ნება დართულია გამოსაქვეყნებლად.

ნ. 81 საქ. ს.მ.უ.ს. მთავარი ბუხჰალტერი **პ. ა. ჯანელიძე**

ბალანსი

საქ. ს. მ. უ. ს. ტყავტრესტისა

1925 წლის 1 ოქტომბრისათვის

აქტივი

I ქონება		
1. შენობები და ნაგებობანი	235.957.42	
2. განყოფილება და მანქანები	356.73[illegible]8	
3. ინვენტარი	10.65[illegible]8	
4. ტრანსპორტი	21.572.89	
5. ქონება სხვა და სხვა	20.038.88	644.951.35
მასალა		
1. წარმოებითი:		
ა. ძირითადი	71.491.02	
ბ. დამხმარე	190.887.83	
გ. სათბობი	1.453. 96	263.832.81
2. სათადარიგო მოწყობილება, იარაღი და მანქანის ნაწილები		26.054.29
II საქონელი და დამზადებული ნაკეთობა		
1. საქონელი გამგეობის და განყოფილ. საწყობებში და საკომისიოდ:		
ა) საწყობებში და მაღაზიებში	229.654.05	
ბ) საკომისიოდ გადაცემული	11.237.19	240.891.24
2. დამზადებული ნაკეთობა ქარხ. საწყობ.		14.999.06
3. გზაში		1.207.89
III ფულადი სახსარი და ფასიანი ქაღალდები		
1. სალარო და მიმდინარე ანგარიშები	13.812.40	
2. ფასიანი ქაღალდები	1.615.—	15.427.40
IV ანგარიშ სავალდებულო თანხები		3.729.95
V სამისალებო ვალდებულებანი და დოკუმენტები		
1. სამისალებო თამასუქები	13.528.47	
2. განაღდებული თამასუქები	24.401.35	
3. სამისალებო პროტესტქმნილი თამასუქ.	3.400.—	41.329.82
VI დებიტორები		
1. ავანსი მუშა-მოსამსახურეთ	20.052.18	
2. ავანსი ნარდათ მომუშავ. და გამყიდ. მიმწოდ.	34.094.01	
3. მყიდველნი	67.442.11	
4. სხვა და სხვა დებეტორი	9.975.55	
5. საეჭვო მოვალენი	11.503.79	143.067.64
VII დაუმთავრებელი წარმოება		285.831.01
VIII კაპიტალური რემონტი		24.945.60
IX დაუმთავრებელი შენობები		14.421.13
X მომავალი წლების ხარჯები		6.563.06
X1 ზარალი საანგარიშო წლამდე		39.663.65
ბალანსი		1.766.915.90

პასივი

I კაპიტალები		
1. სახელმწიფო		
ა) ძირითადი	624.912.47	
ბ) საწესდებო	531.271.28	1.156.183.75
2. საამორტიზაციო		148.108.83
II მუშა მოსამსახ. ყოფა ცხოვრ. გასაუმჯობ. ფონდი		3.785.97
III ფონდი საეჭვო ვალების ზარალ. დაფარვის		11.503.79
IV სესხი და კრედიტები		
1. სპეც. მიმდ. ანგარიშ. ბანკებში	6.299.50	
2. ბანკები თამასუქების განაღდებისთვის	24.401.35	30.700.85
V მიცემული თამასუქები		125.134.61
VI კრედიტორები		
1. მუშა მოსამსახურენი	16.882.87	
2. ნარდათ მომუშავენი და გამყიდველ-მიმწოდ.	4.950.61	
3. ავანსები მყიდველებისაგან	419—	
4. ფინანს. სახ. კომ-ტი		
ა) გადასახადი და გამსაღები	2.933.79	
ბ) ანარიცხი ხაზინ. სასარგებლ.	8.136.49	
5. სხვა და სხვა კრედიტორები	55.344.48	88.667.24
VII მოგება საანგარიშო წლისა		202.830.86
ბალანსი		1.766.915—90

ბალანს იქითა მუხლები

დებიტორები საგარანტიო თამასუქებით	30.000—
სულ	1.796.915.90

გაცემული საგარანტ. თამასუქებით	30.000—
სულ	1.796.915.90

საქართვ. ტყავ. ტრესტის მმართველი
სავატკოვი ს. ნ.
მთავარი ბუხჰალტერი
ხაჩიკოვი ს. ი.

ბალანს გარეშე მუხლები:

მიწა 17.325 კვ. საჟ. 40.715

მოგების განაწილება

1. მუშა-მოსამსახ. ყოფა ცხოვრებ. გასაუმჯობესებელი ფონდი	10 %	20.283.08
2. სარეზერვო ფონდი	20 „	40.566.17
3. საშემოსავლო გადასახადი	10 „	20.283.08
4. ანარიცხი ხაზინის სასარგებ.	30 „	60.849.28
5. საბრუნავი კაპიტალის გასაძლიერებლად (ამ თანხაში შედის 23/24 წ. ზარალის დასაფარავად 39.663.65)	30 „	60.849.25
სულ	100 %	202.830.86

ეს ბალანსი განხილულია ს. მ. უ. ს. მთავარ ბუხჰალტერიაში, დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიისა და საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქართველოს ს. მ. უ. ს. მთ. ბუხჰალტერი **პ. ჯანელიძე**

მოგების და ზარალის ანგარიში

ზარალი

	%%	
1. სავაჭრო ხარჯები	23,2	50.491.61
2. გამგეობის საერთო ადმინისტრატ. ხარჯები	40,8	88.564.42
3. გადახდილი პროცენტები	4,4	9.452.16
4. ზარალი არასაიმედო ვალებისა და სარეზერვო მოქცეულთ საეჭვო ვალების ჩამოწერის გამო	16,9	36.675.85
5. ზარალი მასალის და საქონლ. გადაფ. გამო	8,0	17.432.62
6. ზარალი მამულისა, საქონლისა და სხ. ნაკლებობის გამო	3,1	6.812.94
7. დახურულ დაუშლელი საწარმოთა შენახვა	2,6	5.640.70
8. შემთხვევითი და სხვა ზარალი	1,0	2.119.80
	100 %	217.190.10
9. მოგება საანგარიშო წლისა		202 830.86
ბალანსი		420.020.96.

მოგება

	%%	
1. საქონელ. და ნაკეთობის რეალიზაციისა	89.0	374.016.39
2. მიღებული %%-ი	0.3	1.416.29
3. გადანამეტი მასალა საქონელი და სხვა	1.4	5.688.18
4. მოგება საქონლისა და მასალის ზედნართული შეფას. გამო	0.0	40.80
5. შემთხვევითი შემოსავალი	9.3	38.859.62
სულ	100 %	420.020.96
ბალანსი		420.020.96

ს. მ. უ. ს. ტყავტრესტის მთავარი ბუხჰალტერი **ს. ხაჩიკოვი**

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68